# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 17 ივლისი, 2008 წელი.

№ 132 (5990)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხელის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## არ მინდა, რომ ჩემს ქვეყანას გასაკანლურებელი პრეზიდენტი ჰყავდეს! ③ ④



ოპოზიციას სძულს და ეშინია ხელისუფლების (მიმიხვდებით, რის შიშსაც ვგულისხმობ), ხელისუფლებას სძულს და ეშინია ოპოზიციის, პლუს ეშინია მედიის, ანუ მართალი სიტყვის და, რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, მედიასაც ეშინია ხელისუფლების...

## რატომ დაიჭირეს ზაქარია ქუცნაშვილის მამა? ⑤



2007 წლის 7 ნოემბერს აქციის დარბევისას რეზინის ტყვიების გამოყენებისთვის ყველა თანამდებობის პირმა, მათ შორის შინაგან საქმეთა მინისტრმა, პასუხი უნდა აგოს ③

## რისთვის სჭირდება სააკაშვილს ახალი ჯარისკაცები? ⑩

## ცყისჭამიები ⑧

ნომრის კარიკატურა



◉ სახელმწიფო მინისტრი

# იულონ გაგოშიძე: თურქეთის ქართველობა კარგად ცხოვრობს...



**საქართველოს სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში იულონ გაგოშიძე თურქეთში ინეგოლის ფოლკლორულ ფესტივალს დაესწრო. ვიზიტის ფარგლებში სახელმწიფო მინისტრი თურქეთში მცხოვრებ ქართველებს შეხვდა და მათ მიერ მოწყობილ ღონისძიებებს დაესწრო. იულონ გაგოშიძე თურქეთში მცხოვრები თანამემამულეების პრობლემებს გაეცნო. თურქეთში ვიზიტისა და იქ მცხოვრები ქართველების პრობლემებთან დაკავშირებით „ჯი-ეიჩ-ენი“ საქართველოს სახელმწიფო მინისტრს ესაუბრა.**

**— რა მნიშვნელობა ჰქონდა თქვენთვის ამ ვიზიტს?**

— თურქეთში ინეგოლის ფოლკლორულ ფესტივალზე დასასწრებად გავემგზავრეთ. შეთანხმება ფესტივალზე ჩვენი სტუმრობის შესახებ მოხდა ჯერ კიდევ ჩემი პირველი ვიზიტის დროს თურქეთში. იქაურმა ქართველობამ დაგვპატიჟა. გარდა ამისა, ვიზიტის მიზანი იქაურ ქართველებთან შეხვედრა იყო. ინეგოლში 170 ათასი მცხოვრებია. აქედან 50 ათასზე მეტი ქართველია. ქართველებს რომ აქ განსაკუთრებული მდგომარეობა აქვთ, იქიდანაც ჩანს, რომ ქალაქის მერი ქართველია და საერთოდ ადმინისტრაციაში ძალიან ბევრი ქართველი მუშაობს. ბოლო 20 წელიწადია, იზნიქის მერი ყოველთვის ქართველია. ინეგოლის გარშემო 18 ქართული სოფელია. ჩვენ ოთხი სოფელი ვნახეთ.



**— როგორ ცხოვრობენ იქაური ქართველები და ქართულად თუ მეტყველებენ?**

— სოფლებში დღემდე შენარჩუნებული აქვთ ქართული ცხოვრების წესი და ქართული ენა. მაგალითად, ოილატიდან რომ მოვდიოდით, დაგვემგზავრა ორი იქაური ქართველი — რძალი და მამამთილი, რომელიც ქალს ექიმთან მიჰყავდა. ეს ქალბატონი გამართული ქართულით ლაპარაკობდა აჭარულ კილოზე. ლექსიკა სრული ჰქონდა, თვლაც იცოდა ქართულად. რატომღაც თვლას ყოველთვის ივიწყებენ ხოლმე, მაგრამ მას ეს ყველაფერი შენარჩუნებული ჰქონდა. იქაურ სოფლებში ბავშვები იზრდებიან ქართულად, ქართულენოვანები არიან.

სოფელში საგანგებოდ დაგვხვდნენ. იქ თავი მოიყარა ქართულმა მოსახლეობამ მეზობელი სოფლებიდან, რამდენიმე ათასი კაცი ესწრებოდა. მეც მომიხდა სიტყვით გამოსვლა. ქართულად ვესაუბრე, ვცდილობდი, რაც შეიძლებოდა ნელა და გასაგებად მელაპარაკა. ოვაციებით შემხვდნენ. ისინი რაღაცას ელიან ჩვენგან, ყურადღების მეტი განსაკუთრებული არაფერი სჭირდებათ.

**— რამ განაპირობა, რომ თურქეთის ქართველობა ქართული ხალხური ცეკვის შესწავლით განსაკუთრებით არის დაინტერესებული?**

— მათ აქვთ გრძნობა, რომ დაკავშირებული არიან შორეულ სამშობლოსთან. ეს გრძნობა კარგად ჩანს მათ სურვილში — შეისწავლონ ქართული ცეკვა. ამიტომ დიდი მოთხოვნილებაა ქართული ცეკვის ქორეოგრაფებზე. ქორეოგრაფიასთან ერთად იქ შედის ქართული ენაც. ქართველი ქორეოგრაფისგან ნელ-ნელა სწავლობენ ენას. ქართულ ენას პერსპექტივა არ აქვს, თუ მას არ გაუჩნდა ფუნქცია. ქართული ენის ფუნქცია კი აღდგება იმ შემთხვევაში, თუ კონტაქტი მეტი იქნება საქართველოსთან და ერთ-ერთი გზა ეს ქორეოგრაფიაც არის. ჩვენმა აპარატმა უნდა იზრუნოს ამაზე. ქორეოგრაფები უნდა გავგზავნოთ კარგი ანაზღაურებით, რომ სწორი ქართული ასწავლონ. კარგი იქნება, თუ მათ მიჰყვება ქართული ენის მასწავლებელიც.

თურქეთში მცხოვრები ქართული მოსახლეობა გამოდგება დამაკავშირებელ ხიდად თურქეთსა და საქართველოს შორის და არის კიდეც. ისინი ისწრაფიან ორმაგი მოქალაქეობისკენ, ბევრ მათგანს უნდა, რომ საქართველოში ბიზნესი ჰქონდეს.

**— თურქეთის სხვა ქალაქებში თუ შეხვდით ქართველებს?**

— ქალაქ იზნიქში ვიყავით. ეს არის ყოფილი ნიკეა, სადაც მოსახლეობის ერთი მესამედი ქართველია. იზნიქი პატარა ტურისტული ქალაქია, 25 ათასი მოსახლეობით. ეს ძველი, ტრადიციული, ისტორიული ქალაქია. მოგეხსენებათ, ნიკეას საეკლესიო კრება იქ ჩატარდა. ეს იყო სელჩუკების პირველი დედაქალაქი მე-11 საუკუნეში. იქ ძალიან ბევრი არქეოლოგიური და კულტურული ძეგლია. იზნიქი ცნობილია კერამიკული წარმოებით, რომელსაც რამდენიმე ასეული წლის უწყვეტი ისტორია აქვს. იქაურ ქართველთაგან ბევრი მონაწილეობს ამ საქმიანობაში. ბევრს აქვს პატარა საწარმო, თავისი მაღაზიით ქალაქის ცენტრში.

შესანიშნავი ფოლკლორული ანსამბლი აღმოვაჩინეთ, რომელსაც რუსთაველი ბიჭი მურთაზ ფისაძე ხელმძღვანელობს. ფისაძე 10 წელია იქ მოღვაწეობს, იქაურ ბავშვებს წვრთნის. რამდენიმე თაობა უკვე გაზარდა. ჩვენთან ერთად იყვნენ ისეთი შემფასებლები, როგორებიც არიან ანზორ ერქომაიშვილი და თამაზ გოგოტიშვილი და ისინიც ძალიან კმაყოფილები დარჩნენ ანსამბლით. გაიმართა დიდი კონცერტი, რომელიც პირდაპირ ეთერში მთელ თურქეთს გადაეცემოდა.

იზნიქში შევხვდით ქალაქის მერსა და მთავრობის რწმუნებულს. გამოითქვა სურვილი, რომელიმე ქართულ ქალაქთან ამ ქალაქის დაძმობილებისა.

ორჰანგაზის მერმა, სპეციალურად მიგვიწვია ქალაქში. ორჰანგაზი საპორტო ქალაქია, 75 ათასი მოსახლეობით, რომელთა ერთი მესამედი ქართველია. შევხვდით მერს და ძალიან თბილი საუბარი გვქონდა თურქეთ-საქართველოს ურთიერთობაზე. თვითონ მერი ქართველი არ არის, მაგრამ დიდი სურვილი აქვს, ადგილობრივმა ქართველებმა ქართული ცეკვა ისწავლონ.

**— როგორ ცხოვრობენ ქართველები იმ რეგიონებში, სადაც თქვენ იყავით?**

— ქართველები აქ ნორმალურად ცხოვრობენ. ისინი კარგი მოქალაქეები არიან.

დამოუკიდებელმა საქართველომ მათ აღუდგინა ძველი სამშობლოს მოჭარბებული განცდა და ამის საუკეთესო გამოხატულება ის იყო, რომ როდესაც აფხაზეთთან დაკავშირებით რუსეთთან გამწვავდა ურთიერთობა, თურქეთის ქართველობა გამოვიდა და რუსეთის აგრესია გააპროტესტა. საპროტესტო აქციები გაგრძელდება და უფრო დიდ მასშტაბს მიიღებს. როდესაც ხიდი ვახსენე, სწორედ ამას ვგულისხმობდი, ეს ხალხი ჩვენი ლობისტები ხდებიან აქ და არიან კიდეც.

**— ბატონო იულონ, თურქეთში ბევრი აფხაზი ცხოვრობს, როგორი ურთიერთობა აქვს თურქეთის ქართველობას მათთან?**

— ყველა იმ ქალაქში, რომელზედაც ზემოთ ვისაუბრე, ცხოვრობენ აფხაზებიც. მათ ძალიან კარგი ურთიერთობა აქვთ ქართველებთან. საერთო წარმომავლობას ისინი ყველგან გრძნობენ. მაინც გამოირჩევიან კავკასიელები და განსაკუთრებით აფხაზები. რთულია ეს ურთიერთობები, მაგრამ პერსპექტიულია ჩვენთვის. არათუ ღირს, არამედ ვალდებულები ვართ, ეს ურთიერთობა გავაღრმავოთ, უფრო ინტენსიური გავხადოთ და სისტემური ხასიათი მივცეთ. ეს ჩვენი მოვალეობაა.

ესაუბრა
**გიორგი ბობღიაშვილი**

◉ ექსპერტის აზრი

# კახა კაციტაძე: მოვლენათა ყველა შესაძლო სცენარით განვითარებისთვის მზად რომ უნდა ვიყოთ, ცხადია

**აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის მიერ ვითარების გამწვავების რეალურ მიზეზებზე და იმაზე, თუ როგორ უნდა იმოქმედოს ქართულმა მხარემ საქართველოსათვის მოვლენათა უარესი სცენარით განვითარების შემთხვევაში, „ინტერპრესნიუსი“ სამხედრო ექსპერტს კახა კაციტაძეს ესაუბრა.**

**— რუსულ-ქართული ურთიერთობები უკიდურესად გამწვავებულია. რუსეთი არ ერიდება იმის დემონსტრირებას, რომ იგი ღიად უჭერს მხარს სოხუმსა და ცხინვალს. თქვენი აზრით, რა პოლიტიკურ მიზნებს ისახავს რუსეთი დაპირისპირების ესკალაციის ინსპირირებისას?**

— მე მეეჭვება, რომ სრულმასშტაბიანი ომის დაწყება რუსეთსაც აწყობდეს. შემიძლია გითხრათ, რატომ ამწვავებს და რატომ არ უნდა აწყობდეს რუსეთს სრულმასშტაბიანი ომი.

ახლა რუსეთი მიდის დოზირებულ ესკალაციაზე, ანუ, როდესაც ესკალაცია ზღვარს არ უნდა გადაცდეს. რუსეთს ესკალაცია ხელს აძლევს შიდაპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე. ახალმა პრეზიდენტმა უნდა დაამტკიცოს, რომ იგი ძველ პრეზიდენტზე არანაკლებ მაგარი ბიჭია, როგორც რუსები იტყვიან — крутои парень, მეორე, საქართველო კიდევ ერთხელ დასაჯონ ნატოში გაწევრების მიდრეკილების გამო, მესამე მომენტი გახლავთ ის, რომ რუსეთი დასავლეთს უჩვენებს, რომ იგი დასავლეთის სურვილებს მხედველობაში არ იღებს და არ ითვალისწინებს. ეს არის ის მიზეზები, რის გამოც რუსეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ვითარების ესკალაციას ახდენს.

ახლა იმაზე, თუ რატომ არ სურს რუსეთს გადავიდეს ზღვარს პირველი. კონფლიქტის ზღვარს გადასვლა რუსეთს საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს, მეორე — არავინ არ იცის როგორი გამოძახილი ექნება ამ კონფლიქტს ჩრდილოეთ კავკასიაში, მესამე — სოჭის ოლიმპიადამდე არც ისე დიდი დროა და რუსეთს არ უნდა დააფრთხოს ოლიმპიადის სავარაუდო ინვესტორები. ეს არის ის სამი მიზეზი, რის გამოც ამწვავებს რუსეთი ვითარებას საქართველოში და ასევე ის სამი მიზეზი, რის გამოც მოსკოვი ზღვარს არ გადალახავს. თუმცა დაზღვეულები არაფრისაგან არა ვართ და არავინ იცის, ადგილზე სამხედროები რას მოიმოქმედებენ და რამდენად იმართებიან ისინი.



**— ქართულ პრესაში საომარი მოქმედების დაწყების სავარაუდო სცენარები გამოჩნდა. რამდენად შესაძლებელია ამა თუ იმ, ჩვენთვის არასასურველი სცენარით მოვლენათა განვითარება და რა უნდა გააკეთოს ქართულმა მხარემ იმისათვის, რომ პროვოკაციები თავიდანვე გამოვრიცხოთ.**

— შესაძლოა, ყველაფერი ისე მოულოდნელად დაიწყოს, არც აღმოჩნდე მომზადებული. მთავარია, რომ ზოგად შტრიხებში გვქონდეს მოხაზული ყველაფერი, რათა ვიცოდეთ ყველა სავარაუდო სიტუაციაში რას გავაკეთებთ.

მე შეგნებულად, ფართომასშტაბიანი კონფლიქტის სცენარით მოვლენათა განვითარების ალბათობას გამოვრიცხავ, იმ მიზეზთა გამო, რაც გითხარით. მაგრამ, ადგილზე მოვლენათა სპონტანურ განვითარებას არ გამოვრიცხავ, რადგან ძნელია იმაზე საუბარი, თუ რას მოიმოქმედებს დაბალი რანგის სამხედრო ხელმძღვანელობა. არადა, ასეთმა მოქმედებამ შეიძლება უმართავი პროცესები გამოიწვიოს.

მთვრალმა რუსმა სამხედრო მოსამსახურემ რომ სროლა ატეხოს, ამას ვერ განსჭვრეტ და თავიდან ვერ აირიდებ, მაგრამ ყველა შესაძლო სცენარი სახელმწიფო დონეზე უნდა იყოს გათვლილი და უნდა იყოს გაწერილი. ყველა უწყებამ უნდა იცოდეს, კრიტიკულ ვითარებაში თუ რას აკეთებს ესა თუ ის უწყება.

**— ხელისუფლებამ პრევენციული ზომების სახით ჯარისკაცთა რაოდენობა 5 ათასით გაზარდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამგვარი სცენარები ხელისუფლებას შემუშავებული აქვს?**

— 5 ათასი კაცით ჯარის გაზრდას მე პრევენციას ვერ დავარქმევდი, ვინაიდან ჯარისკაცთა რაოდენობა მომავალი ბიუჯეტით, ანუ მომავალი წლიდან გაიზრდება. პრევენციული ზომების მიღება დაპირისპირების სავარაუდო ხაზზეა მისაღები, 5 ათასი კაცით წინა ხაზს ვერ გაზრდი, ამის მომზადებას დროის მონაკვეთი სჭირდება. რეალურად რამდენი ჯარისკაცი გვჭირდება და რა ტექნიკა, მე არ ვიცი, არა მაქვს იმ დონის ინფორმაცია, რომ ვიმსჯელო, თუ რამდენი 5 თუ 10 ათასი ჯარისკაცით გვჭირდება ჯარის რაოდენობის გაზრდა.

ხელისუფლება რომ ყველაზე უარესი სცენარებისთვის გარკვეულ ნაბიჯებს დგამს, ეს ასეც უნდა იყოს. საერთოდ, სამხედრო საქმის დაგეგმვა ითვალისწინებს მოვლენათა განვითარების უარეს და არა უკეთეს მდგომარეობას. ღმერთმა არ ქნას უარესი სცენარით განვითარდეს პროცესები, მაგრამ ჩვენ მოვლენათა ყველა შესაძლო სცენარით განვითარებისათვის მზად რომ უნდა ვიყოთ, ცხადია.

ესაუბრა
**კობა ბენდელიანი**

№ 132. ხუთშაბათი, 17 ივლისი, 2008 წელი.

სახალხო დამცველი

## სოზარ სუბარი:

# სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის თვალსაზრისით, 2007 წელს განსაკუთრებული დარღვევები იყო



### საქართველოს სახალხო დამცველის მოხსენება პარლამენტში

**ბატონმა სოზარ სუბარმა მოხსენება, რომელიც 2007 წლის ორივე ნახევრის პერიოდს მოიცავს, მედიაზე ზეწოლის ფაქტებით დაიწყო.**

„სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის თვალსაზრისით 2007 წელს განსაკუთრებული დარღვევები იყო. ის რაც 2007 წელს ტელეკომპანია „იმედზე“ მოხდა, სცილდება ყოველგვარი შეფასების ზღვარს. ეს იყო დანაშაულებრივ ქმედებათა მთელი კასკადი“, – განაცხადა სუბარმა.

ომბუდსმენმა ტელეკომპანიის შენობაში მყოფ ჟურნალისტებსა და სხვა პირებზე სპეცრაზმის თანამშრომლების მიერ „უმოწყალო“ დამოკიდებულებაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ტელეკომპანიის შენობაში მყოფ ადამიანებს უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება.

„დაუდგენელი ფორმირების სამოქალაქო პირები შეიჭრნენ შენობაში. იქ მყოფ ჟურნალისტებს და პარლამენტის წევრებსაც დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში აღუკვეთეს თავისუფლება. ჟურნალისტები აიძულეს პირქვე წოლილიყვნენ იატაკზე. აყენებდნენ შეურაცხყოფას. გაანადგურეს ძვირადღირებული ტექნიკა, ნაწილი გაიტანეს. მას შემდეგ რაც ჟურნალისტები შენობიდან გამოვიდნენ გააგრძელეს მათზე ნადირობა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. შენობიდან გამოშვების შემდეგ მათ დამიზნებით ესროდნენ რეზინის ტყვიებს. ჟურნალისტებზე ნადირობა რამდენიმე კილომეტრზე გაგრძელდა. ეს იყო ძალიან ძვირადღირებული დანაშაული, რომელსაც ჯერჯერობით არც შეფასებნა მისცემია და არც გამოძიებაა დაწყებული და შესაბამისად არც დამნაშავეები არიან დაკავებულნი“, – განაცხადა სუბარმა და აღნიშნა, რომ ტელეკომპანია იმედის მიმართ ჩადენილი უკანონობები ამით არ ამოწურულა.

„13 ნოემბერს გამოჩნდა თბილისის ადმინისტრაციული სასამართლოს ბრძანება „იმედის“ ქონების, მათ შორის სიხშირის დაყადაღების შესახებ, რომელიც დათარიღებულია 7 ნოემბრით, მაგრამ მარტივი არითმეტიკით ცნობილია, რომ წარმოუდგენელია საათნახევრის შემდეგ, რაც პატარკაციშვილმა განცხადება გააკეთა გამომძიებელს შეედგინა დოკუმენტი, მოსამართლეს განეხილა, მომზადებულიყო სპეცრაზმი და შეჭრილიყო ტელეკომპანიაში. ამიტომ ცნობილია, რომ ეს განცხადება მანამდე იყო შედგენილი და დათარიღებულია მომდევნო რიცხვით. იგივე შეიძლება ითქვას, კომუნიკაციების დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომლის არსებობა საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა 15 ნოემბერს, თუმცა ორივე გადაწყვეტილება 7 და 8 ნოემბრით არის დათარიღებული. თუმცა, „იმედთან“ დაკავშირებით რაღაც დოკუმენტები მაინც შეიქმნა, თუნდაც უკანონო მაგრამ მაინც შეიქმნა“, – განაცხადა სუბარმა.

მოხსენების წარდგენისას სუბარმა იმედი გამოთქვა, რომ სახალხო დამცველის აპარატსა და საქართველოს პარლამენტს შორის მომავალი თანამშრომლობა ნაყოფიერი იქნება.

* * *

სუბარი ტელეკომპანია „კავკასიისა“ და „მაესტროს“ საკითხსაც შეეხო. მისი თქმით, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ფაქტები გრძელდება და ამის დამადასტურებელია ის, რაც ხდება ტელეკომპანია „კავკასიასთან“, სტუდია „მაესტროსთან“ და რადიო „ჰერეთთან“ დაკავშირებით.

„ტელეკომპანიები – „კავკასია“, ბათუმში არსებული ტელეკომპანია და რადიო „იმედი“ ყოველად უსაფუძვლოდ შეაჩერეს. მეტიც, ბათუმში ადგილობრივი პოლიციის უფროსი მას შემდეგაც არ აძლევდა ეთერში გასვლის უფლებას, რაც საგანგებო მდგომარეობა მოიხსნა. მათი ეთერში გაშვება მას შემდეგ გადაწყდა, რაც მე საქმის კურსში ჩავაყენე ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში პიტერ სემნები“, – განაცხადა სუბარმა და, აღნიშნა, რომ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ფაქტები კვლავ გრძელდება.

„ამის დამადასტურებელია ის, რაც ხდება ტელეკომპანია „კავკასიასა“ და „ჰერეთთან“ დაკავშირებით. ბიზნესმენებს აიძულებენ გაიტანონ რეკლამები. ასევე, ტელეკომპანია „მაესტროს“ რომელიც მხოლოდ საკაბელოთი მაუწყებლობს და არ აქვს სიხშირე, კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია არ აძლევს უფლებას გადასცეს ინფორმაცია. ამის უფლებას მას არ აძლევს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია. მიზეზი მარტივია, მაესტროს არ აქვს საერთო მაუწყებლობის ლიცენზია, ანუ მას არ აქვს ინფორმაციის გაცემის უფლება. ის ითხოვს ამ ლიცენზიას, მაგრამ მარეგულირებელი კომისია მას არ აძლევს. სასამართლო კი რამდენიმე თვის განმავლობაში იჭიმება“, – განაცხადა სუბარმა.

სახალხო დამცველი, სოზარ სუბარი, პარლამენტში 2007 წლის ანგარიშის წარდგენისას საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტებსაც შეეხო. სუბარის განცხადებით, საკუთრების უფლებების დარღვევის ფაქტები მის წინა მოხსენებაშიც იყო წარმოდგენილი, თუმცა კონკრეტულ ფაქტებზე შესაბამისი რეაგირება არ მომხდარა.

სახალხო დამცველის განცხადებით, დაფიქსირებული იყო არაერთი კანონიერი ნაგებობის ნგრევა, თანამდებობის პირების მხრიდან შანტაჟის გზით მფლობელებისგან საკუთრების სახელმწიფოსთვის „საჩუქრად გადაცემა“ და საკუთრების განადგურება.

„ხდებოდა სრულიად კანონიერი ნაგებობების ნგრევა, ადამიანების დაშინება, მოქალაქეთა დაბარება პროკურატურაში და იქ მათი შანტაჟი, რომ თუ ისინი არ აჩუქებდნენ ქონებას სახელმწიფოს, მას მოუძებნიდნენ კომპრომატს და დააპატიმრებდნენ. ხდებოდა საკუთრების განადგურება. ამ მხრივ აღსანიშნავია „ბადაგონისა“ და „შინჯოფერის“ განადგურება, რამაც უარყოფითად იმოქმედა ქვეყნის საინვესტიციო იმიჯზე. ორი თვით დააყადაღეს „შინჯოფერის“ ქონება. მოგვიანებით კი აღმოჩნდა, რომ ეს დაყადაღება უკანონოდ მოხდა. ჩნდება ეჭვი, რომ ის ორგანოები, რომლებმაც „შინჯოფერი“ გააჩერეს, პირადი ინტერესებით მოქმედებდნენ“, – განაცხადა სუბარმა.

სახალხო დამცველმა ყურადღება გაამახვილა შსს-ის თანამშრომლების მიერ მოქალაქეებისათვის ძვირფასი ავტომანქანების ჩამორთმევისა და სარგებლობის ფაქტებზე.

სუბარის განცხადებით, შექმნილია დაუსჯელობის სინდრომი, რომელიც მაღალჩინოსნებს კანონდარღვევის სტიმულირებისკენ უბიძგებს.

* * *

შემდეგ სოზარ სუბარმა ციხეებში არსებულ ვითარებაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ციხეებში წამების არაერთი ფაქტი დაფიქსირდა.

„2005 წლიდან მოყოლებული საქართველოში მკვეთრად იკლო პოლიციის საკნებში წამებისა და ცემის ფაქტებმა. თუმცა, ასეთი ფაქტები კვლავ გვხვდება და ეს ფაქტები სათანადოდ არ გამოიძიება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ პროკურატურის მიზანია ამ საქმეების დაფარვა. ამის ბევრი მაგალითებია. ჩვენ შევისწავლეთ არასრულწლოვანთა წამებით ფაქტი მარტყოფის ბავშვთა სახლში. ეს ფაქტი დღემდე არ არის გამოძიებული. აგრეთვე არ გამოიძიეს წამების ფაქტი ლევან ბუხაიძესა და სანდრო გირგვლიანთან დაკავშირებით, რაც საბოლოოდ გირგვლიანის მკვლელობით დასრულდა“, – განაცხადა სუბარმა.

იხ. 4 გვ.

პოზიცია

# არ მინდა, რომ ჩემს ქვეყანას გასაპანღურებელი პრეზიდენტი ჰყავდეს!

*ნოდარ დუმბაძე ამბობდა, ადამიანი ფრესკა არ არის და, რომ შეაფასო, ერთი კუთხიდან კი არ უნდა უცქირო, გარს უნდა შემოუარო და იმ მხრიდან დაინახო, რომლიდანაც უკეთ მოჩანსო. მაგრამ... ბევრი ამ შეგონების სტანდარტში რომ არ თავსდება? უარე გარშემო რამდენიც გინდა: „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების“... ვისაც დღეს ილიაობა სურს (ასეთები კი მრავლად არიან), სკოლის შემდეგ არც კი ჩაუხედავს მის წიგნებში. იქნებ ამ ბატონებმა ცოტა მეტი გონება დაატანონ თავიანთ სათქმელს, ანუ გონივრულად ნააზრევ-ნაფიქრით „გვაიმედონ და „გვმოძღვრონ“? რატომ ჰგონიათ, რომ ხალხი ისე დაბეჩავდა, თუ ვიღაცამ არ უჩიჩინა, თვითონ ვერ ხედავს და ვერ გრძნობს, რის გამო, რა ჭირს?*

უწინარეს ყოვლისა, ხალხი ბრძენია, გვერდში დგომაც გულიანი იცის და თავგანწირვაც, გაბრიყვებას არავის შეარჩენს, გვერდიდან გამოცლას არავის აპატიებს და როგორც აგამაღლებს, ისევე დაგცემს...

ილიაობას ყველას ვერ მოსთხოვ, მით უფრო ერის მამობას ნუ იჩემებ, პარლამენტის ყოფილო თუ ამჟამინდელო თავმჯდომარევ, ნურც თბილისის მერო თუ საკრებულოს თავკაცო და ნურც პარტიისა თუ ფრაქციის ლიდერო, ან რიგითო პარლამენტარო! ნურც თქვენ – აღმასრულებელი, თუ სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებო, რადგან თუ რამ ნაკლი გვაქვს, ამაში მეტნაკლებად წვლილი ყველას ერთიანად მიგიძღვით.

ილიაობისა არც შენა გცხია რა დღევანდელო ნალდო, თუ ფსევდოოპოზიციავ. ყიჟინას რომ სცემდი, მე ვარ და ჩემი ნაბადიო. ნაბადწამოსხმული რომლებიც გამოვიდნენ, კი სხედან აგერ პარლამენტში და უმრავლესობისგან გარიყულნი არიან ერთ ჭაპანწყვეტაში... ვინ რა და როგორ მოირგო, ეგ სხვა თავშისაცემია, მაგრამ თქვენი ერთობაც რომ არ გამოდგა ქვიტკირით ნაგები და „ფაჩიკოს გარმონივით“ დაიშალა, ეს რაღა უბედურებაა?

რა და ის, ჩემო „ქართვლის ჭირის“ დიდო ქომაგნო, რომ იმდენად ჩამოუყალიბებელნი აღმოჩნდით, ვერც ვერაფერი შეცვალეთ და არც არაფრის შეცვლა არ ძალგიძთ! თუნდაც იმიტომ, რომ აქამდე ნათლად არ გაქვთ ჩამოქნილი ის მიზანი და პოზიცია, რისთვისაც იბრძვით. ამიტომაც რჩება შთაბეჭდილება, რომ საკუთარი პირველობისთვის უფრო



ირჯებით. ამას თქვენი კამათის კულტურაც მოწმობს: თქვენ კი არ უნდა იყოთ მანდ, სათავეში, არამედ ჩვენო, ეუზნებით ხელისუფლებას და, თუ რატომ, ამას „ბილწებისა ღვართაით“ „განმარტავთ“.

სად არის ლოგიკური მსჯელობები, დამაჯერებლობა? ხომ არ შეიძლება, ლიდერი მუდამ ექსპრომტად ელაპარაკებოდეს ერს?

ვერც ხელისუფლების თავკაცებს მოვნათლავ დიდ ორატორებად. საამისო გაქანება, სამწუხაროდ, არც მათ აქვთ.

შენ კი მეუბნები, რაც საჭიროდ მიგაჩნია, ოპოზიცია ხარ თუ ხელისუფლების წარმომადგენელი, მაგრამ მე რომ ხალხი ვარ, ხომ უნდა გაითვალისწინო, რომ ჩემეული ალქმა და შეფასების უნარი მაქვს? დაფიქრებულხართ ოდესმე, რას ამბობთ, როგორ ამბობთ და როგორ გაგიგებთ მსმენელ-მაყურებელი? არ გაინტერესებთ, რადგან გჯერათ, ხალხი ქვევრია, რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებს. განსაკუთრებით, ემოციურ ფონზე. პირველ ეტაპზე ეს შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ხალხი, რომელიც დასაბამიდან ქმნიდა საზოგადოებას, რომელშიც ადამიანები ყალიბდებიან პიროვნებებად, იზრდებიან და იმავე მოვალეობებს ასრულებენ, რაც წინაპართაგან ეკისრებოდათ, შიშველ ემოციას მეორედ აღარ აჰყვებიან. ამიტომაც არის, ერთხელ შემოჯარული ასიათასობით მომხრე თანდათან რომ შემოიფანტება.

ხალხი გონიერია, და ის, რასაც თქვენ მხადაჭერას უწოდებთ, გამოუვალი მდგომარეობით წაქეზებულ ადამიანთა ემოციაა მხოლოდ. ისიც – შედეგის დანახვამდე. თუ შედეგი არ დადგა... ნურც ზურგშექცევას გაიოცებთ და ნურც თქვენი გარჯის გაუნიავებლად გალევას... გამოუვალი მდგომარეობა ცუდი მრჩეველია, იგი ოსტატურად ბინდავს გონებას და უმთავრესს გვერდზე მიაგდებინებს ადამიანს. ესაა დღეს პოლიტიკურ არენაზე საქართველოს სახიფათო ტორტმანის ძირითადი მიზეზი.

ოპოზიციას სძულს და ეშინია ხელისუფლების, ხელისუფლებას სძულს და ეშინია ოპოზიციის, პლუს ეშინია მედიის, ანუ მართალი სიტყვის და, რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, მედიასაც ეშინია ხელისუფლების...

იხ. 4 გვ.

## სახალხო დამცველი

(მესამე გვერდიდან)

სუბარი ასევე შეეხო ციხეებში სიკვდილიანობისა და მკურნალობის გულგრილობის ფაქტებს და აღნიშნა, რომ წლეულს ამ სფეროში ცვლილება მოხდა.

„არის დადებითი ძვრები ამის შემდეგ, მაგრამ არის პრობლემები. გამოსწორების საფუძველს მაძლევს ის, რომ იუსტიციის მინისტრი ნიკა გვარამია ხედავს ამ პრობლემებს და ცდილობს მათ გადაჭრას. ვფიქრობ, რომ მდგომარეობა გამოსწორდება. ამას მარტო იუსტიციის მინისტრის მონდომება არ უშველის, დაფინანსების მხრივ პარლამენტმა უნდა თქვას თავისი სიტყვა", – განაცხადა სუბარმა.

მისი თქმით, მსგავსი ფაქტები 7 ნოემბრის შემდეგაც ხდებოდა, კერძოდ, 2007 წლის 29 დეკემბერს, ზუგდიდში, განსაკუთრებული სისასტიკით დაარბიეს ოპოზიციის მიტინგი.

„ზუგდიდში, ოპოზიციის მიტინგის დარბევისას სასტიკად სცემეს, როგორც რიგით მოქალაქეებს, ასევე პარლამენტის წევრებს, მათ შორის განსაკუთრებული სისასტიკით ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ბიძინა გუჯაბიძეს, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში საავადმყოფოში იმყოფემაურა და აღნიშნა, რომ რამდენიმე სახელმწიფო უწყებას საკმაოდ ბევრი დავალიანება აქვს. მისი თქმით, ამ მხრივ ყველაზე მეტი პრეტენზიები შსს-ის, თავდაცვისა და გარემოს დაცვის სამინისტროების მიმართ არსებობს.

„როდესაც ყოფილი თანამშრომლები ამ უწყებებს დავალიანების დაფარვის თხოვნით მიმართავენ,ყოველთვის ერთსა და იმავე პასუხს იღებენ – სამინისტროებში აცხადებენ, რომ ისინი ამ თანხის გაცემაზე უფლებამოსილები არ არიან, ეს მხოლოდ ფინანსთა სასერიოზული დარღვევა დაფიქსირდა ქუთაისში, როდესაც მერიის შენობაში ტელეკამერების თანხლებით ადგილობრივი ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელი დააკავეს.

„ამ შემთხვევაში დაირღვა უდანაშაულობის პრეზუმფცია, რადგან დაკავებისთანავე კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თავმჯდომარემ ეს ადამიანები დამნაშავეებად გამოაცხადა და აღნიშნა, რომ მათ სახელმწიფოს 600 ათასი ლარი მოპარეს. მისი თქმით, ეს თანხა ბიუჯეტს და-

სუბარმა იმედი გამოთქვა, რომ წამების წინააღმდეგ ბრძოლის გეგმა, რომელიც ახლახან დამტკიცდა, საგრძნობლად შეცვლის მდგომარეობას.

* * *

2007 წლის 7 ნოემბერს აქციის დარბევისას რეზინის ტყვიების გამოყენებისთვის ყველა თანამდებობის პირმა, მათ შორის შინაგან საქმეთა მინისტრმა, პასუხი უნდა აგოს. განაცხადა სახალხო დამცველმა პარლამენტში საანგარიშო მოხსენების წარდგენისას, „7 ნოემბერს რეზინის ტყვიების გამოყენება სრუ-



სოზარ სუბარი:

# სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის თვალსაზრისით, 2007 წელს განსაკუთრებული დარღვევები იყო

* * *

სოზარ სუბარმა განაცხადა, რომ შეკრებისა და მანიფესტაციის გამართვის უფლების შელახვამ მკვეთრად გამოკვეთილი სახე მიიღო, „7 ნოემბერს ხელისუფლებამ მშვიდობიანი მანიფესტაციის დასაშლელად წყლის ჭავლი, რეზინის ტყვიები და ხელკეტები გამოიყენა. განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებოდნენ არა მარტო აქციის მონაწილეებს, არამედ შემთხვევით, მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფ ადამიანებსაც. ნოემბრის აქციის დარბევისას უხეშად დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 3,10 და 11 მუხლები, რომლებიც კრძალავს არაადამიანურ მოპყრობას, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვასა და შეკრების უფლების შელახვას", – განაცხადა სუბარმა.

ბოდა. ასევე აღსანიშნავია, 8 ნოემბერს ბათუმში, სტუდენტთა აქციის დარბევა, როდესაც სასტიკად სცემეს სტუდენტები, მათ შორის ფეხმძიმეებიც", – განაცხადა სუბარმა.

მისი თქმით, ნოემბერში შეისწავლეს აქციათა დარბევისა და განსხვავებული შეხედულების მქონე ადამიანთა ცემის 10 ფაქტი, რომლებსაც მაისის არჩევნების შემდეგ მომხდარი კიდევ 14 საქმე ემატება. აღნიშნული სტატისტიკა კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ მანიფესტაციისა და გამოხატვის თავისუფლების შელახვის თვალსაზრისით ქვეყანაში რთული ვითარებაა.

სუბარმა იმედი გამოთქვა, რომ სახალხო დამცველის აპარატსა და საქართველოს პარლამენტს შორის მომავალი თანამშრომლობა ნაყოფიერი იქნება.

* * *

ბატონი სოზარი სახელფასო დავალიანებების საკითხსაც გამოეხმინისტროს პრეროგატივააო", – განაცხადა სუბარმა და დასძინა, რომ მთავრობა ერთი გუნდია და დავალიანებების გასტუმრება სწორედ ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე, დროულად უნდა მოხერხდეს.

სუბარის განცხადებით, სახელმწიფოს მხრიდან არ აღსრულდება ის სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც კერძო პირების მიმართ დავალიანების დაფარვას შეეხება.

მოხსენების წარდგენისას სუბარმა იმედი გამოთქვა, რომ სახალხო დამცველის აპარატსა და საქართველოს პარლამენტს შორის მომავალი თანამშრომლობა ნაყოფიერი იქნება.

* * *

საანგარიშო მოხსენებაში წარმოჩნდა „საჩვენებელი დაპატიმრების" საკითხიც.

ომბუდსმენის განცხადებით, შარშან ამ მხრივ განსაკუთრებით უბრუნდება და პენსიები დარიგდება, რაც კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის გადასაწყვეტი არაა. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე პირი ადრევე ჰყავდათ დაკავებული, ისინი ავტომობილებით მიიყვანეს მერიის შენობაში, სადაც მოხდა მათი საჩვენებელი დაპატიმრება", – განაცხადა სოზარ სუბარმა.

მისი თქმით, სახალხო დამცველის აპარატმა ამ ფაქტზე გამოძიების დაწყება მოითხოვა, თუმცა საქმეს მსვლელობა არ მისცემია.

* * *

„იმის მიზეზი, რომ საქართველომ ვერ მიაღწია დიდ წარმატებას წამების წინააღმდეგ ბრძოლაში, არის ის, რომ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა გამოცხადებულია პრიორიტეტად, ხოლო წამების ფაქტების გამოძიება და დასჯა არ ხდება, ან სასჯელი არაადეკვატურია", – განაცხადა მან.

ლიად უსაფუძვლოდ მოხდა. საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ ზუსტად განსაზღვრავს, თუ როდის შეიძლება რეზინის ტყვიების გამოყენება. პოლიციას არ აქვს უფლება გასცდეს ამ კანონს და იარაღი სურვილისამებრ გამოიყენოს".

მისი თქმით, ყველამ, ვისაც კი წვლილი მიუძღვის პოლიციის რეზინის ტყვიებით შეიარაღებაში, პასუხი უნდა აგოს. მათ შორის შინაგან საქმეთა მინისტრმაც, რადგან პოლიციის შეიარაღება სწორედ მის პრეროგატივაში შედის.

ანგარიშის წარდგენისას სუბარმა იმედი გამოთქვა, რომ სახალხო დამცველის აპარატსა და საქართველოს პარლამენტს შორის მომავალი თანამშრომლობა ნაყოფიერი იქნება.

ცნობისთვის: სახალხო დამცველი პარლამენტს წელიწადში 2-ჯერ წარუდგენს ანგარიშს, რომელიც ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს შეეხება.

## პოზიცია

# არ მინდა, რომ ჩემს ქვეყანას გასაპანღურებელი პრეზიდენტი ჰყავდეს!

(მესამე გვერდიდან)

არადა, არც ერთს არ უნდა ეშინოდეს ერთურთის, მაგრამ... მაშინ ძლიერი უნდა იყო, ძლიერი – გონებით, სიბრძნით, პირიდან გესლი და ბალღამი არ უნდა გადმოგდიოდეს, ბრაზი ხომ უსუსურობის იარაღია. ამიტომაც ბუნებამ შხამი იმათ არგუნა, ვინც ხოხავს და ცოცავს. ძლიერებს იგი არ სჭირდებათ...

ჰოდა, გადახედეთ თქვენს ლექსიკას, ბატონებო!

დღეს საქართველოში პროფესიონალთა დეფიციტია. ასეთ დროს „ფშუტე თავთავები" ყელყელაობენ: როგორც ხელისუფლებაში, ისე ოპოზიციაში საშუალო ან უფრო დაბალი ინტელექტუალური მონაცემების მქონე ამბიციური ადამიანები ჭარბობენ.

ჟურნალისტიკა ხომ წალეკა დილეტანტიზმმა. ამიტომაც ვერ ქმნიან ამინდს ინტელექტუალები. სამწუხაროდ, ასეა და სხვაგვარად როგორ ვთქვა?

სადღაა ღრმა, შთამბეჭდავი, პუბლიცისტური აზროვნება, რომელიც აუდიტორიაზე ზემოქმედებით ჯანსალი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს? სულერთია, ვინ ხარ შენ, ხელისუფლება, ოპოზიცია თუ მედია – სიტყვის თქმის ოსტატი უნდა იყო, ეს არის და ეს! სიტყვასა და აზრს უდიდესი ძალა აქვს, გამარჯვებაც მხოლოდ ძარღვიანი, მართალი სიტყვის მხარესაა.

დღეს კი ვინ ვინც არის, ნათლად ჩანს აუდიტორიის წინაშე მდგარი ნებისმიერი მქადაგებლის აზროვნება-მეტყველებით.

სუსტები ხართ, ბატონებო, სუსტები და უსუსურნი. ხელისუფლება თავის სისუსტეს იმ ბერკეტებით გადაფარავს, ხელთ რომ უპყრია... მართალია, დღეს ხელისუფლება ისე ძლიერია, როგორც არასდროს (ეს უნდა ვაღიაროთ!ძ, მაგრამ მისი უმწეობაც აშკარაა. ხელისუფლება, რომელიც თავის გადარჩენას მედიაზე დესპოტური ზემოქმედებით ცდილობს, განწირულია დასაღუპად. ეს ხელისუფლების კრიზისის მაჩვენებელია!

რაც შეეხება მედიას, ჟურნალისტებმა რაც უნდა გვარწმუნოთ, „მაგრები" ვართო, თქვენც გვარიანად უმწეონი ხართ, ძვირფასო კოლეგებო! ხელისუფლება ისე გათამაშებთ – როცა უნდა დაგხურავთ, როცა უნდა თავში ჩაგარტყამთ – როგორც უნდა. არადა, ძლიერ სიტყვასთან ბრძოლა იოლი არ არის. გავიხსენოთ, ჯერ კიდევ როდის თქვა ძლევამოსილმა, ლამის მსოფლიოს ფეხქვეშ გამგებმა ნაპოლეონმა – ქვეყნად ორი ძალა არსებობს, ხმალი და კალამი და ბოლოს ყველაფერს მაინც კალამი დაამარცხებსო.

რამდენი გაერთიანებაც უნდა შექმნათ, რამდენი აქციაც უნდა გამართოთ, რამდენი ოპოზიციონერიც გინდა გამოგექომაგოთ, ხელისუფლება, როგორც თვითონ სურს, მაინც ისე ჩამორეკავს. თუნდაც იმიტომ, რომ სამწუხაროდ, ვისაც სიტყვაც უჭრის და გონებაც, ან საკუთარი ნებით ზის ჩრდილში, ან მათი მიგნებითა და მიწვევით არავინ იწუხებს თავს და ბრუნავს ერთი და იგივე მოყირჭებული სახე და ხმა ტელეარხებსა თუ გაზეთებში. ხალხმა ზეპირად იცის, ვინ რის შემდეგ, რას იტყვის...

დღეს მთავარია, ლაპარაკი შეგეძლოს, იმის თქმა, რაც ენაზე მოგადგება. რა ლოგიკითა და ქართულით, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რაც შეიძლება მეტი ლაფი შეასხა მოპაექრეს. ამ დროს კი ხალხი შენგან სულ სხვა რამეს ელის, არა იმის გამეორებას, რაც თვითონაც იცის, არამედ ახალ აზრს, კონკრეტულ ამოცანებს.

მედიამ, დიახაც რომ, მუდმივად უნდა აჯანჯღაროს არა მხოლოდ ხელისუფლება, არამედ ოპოზიციაც, ანუ ნებისმიერი ის, ვისაც ქვეყნის სვე-ბედზე ზრუნვის პრეტენზია აქვს. აიძულოს ისინი, იყვნენ ფხიზლად და იყვნენ პატიოსანნი, იყვნენ სიტყვის კაცნი, ზნეობრივნი და არა ფლუგერივით აქეთ-იქით მოქანავენი. მედია საზოგადოებას ხელისუფლების ნებისმიერი თვითნებობისგან უნდა იცავდეს.

ქვეყანას კი მოჭირნახულე, პრინციპული, უშიშარი და მამაცი პრეზიდენტი უნდა ჰყავდეს, რომელსაც არც ჯანსაღი ოპოზიცია დაუკარგავს მოსვენებას და არც ბასრი მედია დაუფრთხობს ძილს. თორემ, კვლავ ნაპოლეონს მოვიშველიებ: იგივე ხალხი ისეთივე სიხარულის ყიჟინით გააპანღურებს, როგორი ტრიუმფითაც გამარჯვებულს აღაზევებს...



მე არ მინდა, რომ ჩემს ქვეყანას გასაპანღურებელი პრეზიდენტი ჰყავდეს!

**რუსუდან ლორთქიფანიძე**

ინფორმაცია

# რა აუცილებელი იყო ომარ ქუცნაშვილის დაჭერა?

## მშენებლობის ექსპერტთა საქართველოს ასოციაციის გამგეობის განცხადება

როგორც მეხი მოწმენდილ ცაზე, ისე გავარდა ხმა – იზოლირებულია გეოლოგია-მინეროლოგიის მეცნიერების დოქტორი, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო გეოლოგიისა და ჰიდროგეოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, საქართველოში პირველი საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე, შპს „გეოინჟინერინგის" დირექტორი, პროფესორი ომარ ქუცნაშვილი.

იგი საქართველოში სამშენებლო კომპლექსის მონაწილეთათვის ცნობილია, როგორც უმაღლესი რანგის პროფესიონალი, ობიექტური და პრინციპული, დინჯი და დარბაისელი კაცი, სარგებლობს დამსახურებული პატივისცემით, სიმართლისათვის აქტიურად მებრძოლი, კრისტალური პატიოსნების მქონე პიროვნების სახელით.

ჩვენ, ღრმად ვართ დარწმუნებული: იგი შეგნებულ დანაშაულს არ ჩაიდენდა და არც არასდროს ჩაიდენს. ამასთან, თუკი სამართალდამცავები ეჭვობენ, ან აქ რომელიმე ფაქტში ამჩნევენ დანაშაულის ნიშნებს, ჩვენ მათ მოვუწოდებთ უდიდესი სიფრთხილით და გულისხმიერებით, მაქსიმალურად ობიექტურობით გამოიძიონ ეს ფაქტები.

ჩვენ გამოვთქვამთ სურვილს და მზადყოფნას, ჩვენი საზოგადოების სახელით განვახორციელოთ და დავდოთ განსახილველად საექსპერტო დასკვნა ნებისმიერ ფაქტზე, მაქსიმალური ობიექტურობის გარანტიით, ყოველგვარი დაკვეთისა და ანაზღაურების გარეშე.

ასეთი პიროვნების იზოლირება არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს, იგი ჩვენი ღრმა რწმენით ხელს არ შეუშლის გამოძიებას, პირიქით, თვითონ აქტიურად ითანამშრომლებს სიმართლის დასადგენად.

დარწმუნებული ვართ, რომ გათვალისწინებული იქნება ჩვენი ასოციაციის თხოვნა ბატონი ომარ ქუცნაშვილისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის თაობაზე.

„მესას" გამგეობის სახელით

თავმჯდომარე **ბიძინა მურღულია,** მოადგილეები: **ლერი მეძმარიაშვილი, ზაურ ხომერიკი,** წევრები: **მალხაზ ბედიაშვილი, ჯონი გიგინეიშვილი, თამაზ შილაკაძე, გურამ ჩიქოვანი, ზაურ ბერუაშვილი, გურამ გედევანიშვილი, თენგიზ ქუთათელაძე, მარინა ხოფერია.**

გლობუსი

# სხვისი მოიმედეობა საქმეს ვერ უშველის

**უკვე ისტორიას ჩაბარდა დიდი რვიანის საპოროს სამიტი, კონდოლიზა რაისის საქართველოში ვიზიტი, სხვა მნიშვნელოვანი თუ ნაკლებმნიშვნელოვანი საერთაშორისო მოვლენები.** რაც მართალია, საქართველოს ხელისუფალთა წყალობით, ყველა მათგანზე ლაპარაკი იყო საქართველოს შესახებ. პიარის თვალსაზრისით საქართველოს ხელისუფლება ბევრს აკეთებს, მაგრამ მისი შედეგი ბზიკისას უფრო ჰგავს, ვიდრე ფუტკრის.

**მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ პიარი უფულოდ არ კეთდება. მას ისიც კარგად მოეხსენება, რომ წარმატებული პიარისათვის უცხოური ვოიაჟებია საჭირო, ყოველ შემთხვევაში ხელისუფლება ამით ამათლებს გამუდმებულ მოგზაურობას. ეს ის შემთხვევაა, როდესაც საქმის, ანუ პიარის კეთების პროცესი ძალიან მოსწონთ მოხელეებს და ღმერთს სთხოვენ — „ამაღამდელო ღამეო, ნუ გათენდები მალეო"? ხელისუფლება საშურ ნიჭს ავლენს სამოგზაურო მიზეზების გამოძებნაში. მათ შორის რუსეთთან დაპირისპირების და სეპარატისტულ რეგიონებთან ურთიერთობების საკითხები მთავარია. ნატოში გაწევრიანების თემაც ხომ აქტუალურია. ყველა მათგანი კვირაში თითო ვიზიტს მაინც მოითხოვს მძლე საქართველოს ხარჯზე.**

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ყველა აღნიშნული საკითხი მოგვარებულია, რას გააკეთებდა ხელისუფლება? დარწმუნებული ვარ, ახალს გამოიგონებდა სულისა და ორგანიზმის დასაგრილებლად. მოხელეებმა მადლობა უნდა შესწირონ უფალს ასეთი რუსეთის არსებობისათვის. ანტირუსულად განწყობილ დასავლურ პოლიტიკურ წრეებს რუსეთისათვის წამოსაძახებლად შესანიშნავი პარტნიორი ჰყავს, ისე, როგორც საბჭოთა კავშირის დროს ოფიციალურ მოსკოვს ამერიკისათვის — ზანგებს რატომ ავიწროვებთო. ნაკლებად დასაჯერებელი იყო ამერიკელი ზანგების ბედით მოსკოვის გულდათუთქულობა. ისე, როგორც დასავლეთის დღევანდელი ინტერესი საქართველოს ბედით.

მოსახლეობისათვის ერთობ მოსაბეზრებელია ეუთოს, ევროკავშირის, სხვა მილიონი კავშირის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ქვეყნების მაღალ-დაბალი რანგის პოლიტიკოსების ამოუცნობი სახის განცხადებები, რომელთაც არც თავი აქვს და არც ბოლო, არც წყალია და არც ღვინო. 15 წლის განმავლობაში მხარეთა მიმართ მოწოდებამ — არ დაუშვან ვითარების ესკალაცია ისეა გაუფასურებული, როგორც მოხელის მიერ ნათქვამი —„დემოკრატია".

**როგორც მასმედიამ გვაცნობა, ბუშ-მედვედევის საპოროს შეხვედრაზე ბუშმა ჰკითხა მედვედევს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ, რაზეც მედვედევმა მიუგო, რომ რუსეთი მზადაა ამისათვის, საქართველო კი — არა. ნაკლებად დასაჯერებელია, რომ იმ საუბრის დროს მეტი სიტყვები დახარჯულიყო საქართველოზე, ვინაიდან სხვა განსახილველ საკითხთა მნიშვნელობა და სიჭარბე მეტყველებს ამის შეუძლებლობაზე. საპოროს შემდეგ რა დავალება მისცა ქალბატონმა კონდოლიზამ საქართველოს პირველ პირს, ძნელი გამოსაცნობია. ერთია ჟურნალისტების წინაშე გაკეთებული ტრაფარეტული განცხადება, რომ საქართველოს პრობლემები კონფლიქტურ რეგიონებთან მხოლოდ დიპლომატიური მოლაპარაკებით უნდა გადაიჭრას და მეორეა პირისპირ საუბარი.**

განვლილი წლები გვიკარნახებენ, რომ შეუფერხებლად მომუშავე პიარის მანქანა მომავალშიც დიდ დახმარებას გაუწევს საქართველოს ხელისუფლებას. წლები კი მიდის. პერსპექტივაში უკეთესი ცხოვრების მოსურნეთა მიზერული იმედიც ქრება. ახლახანს დაფუძნებული დემოკრატიული ფონდის წარმომადგენლების ტელეკომპანია „კავკასიისთვის" გაკეთებულმა განცხადებამ მთლად გადაგვიწურა წყალი. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საქართველოში დემოკრატიული მშენებლობის პროცესია და ის სამარადისოდ საჭიროებს პერმანენტულ ძიებას, დახვეწას, რისთვისაც დაფუძნდა ფონდი. სწორედ ის იქნება ახალი დემოკრატიული იდეების გენერატორი. **შევარდნაძის მეორედ მოსვლიდან დაწყებული დემოკრატიას ვაშენებთ, მაგრამ მარტო ნათესავებით არ ხერხდება ამის კეთება,** საბჭოთა წარსულში აღზრდილი ხალხისათვის ჭირს აბსტრაქტული დაპირებების ისე აღქმა, როგორც ფონდელებს სურთ, მითუმეტეს, როდესაც ფონდელთა განცხადებით დემოკრატიის უკიდეგანო სივრცესთან გვაქვს საქმე. დემოკრატიული მშენებლობის უსასრულობა კომუნიზმის მშენებლობას წააგავს — სოციალიზმით, განვითარებული სოციალიზმით, სხვა რეალობისაგან დაშორებული ეტაპებით. დემოკრატიის აშენებას, რომ დრო სჭირდება ეს რაისმაც შეგვახსენა თბილისში ყოფნის დროს, რაც იმას ნიშნავს, რომ ხალხმა უნდა შეუნდოს ხელისუფლებას შეცდომები.

საზოგადოებისათვის თვალში ნაცრის შეყრა მხოლოდ იმათ აძლევთ ხელს ვინც ხელისუფლებაშია ან სამომავლოდ აპირებს ამ საშურ საქმეს. ამერიკელებთან შეთანხმებით შექმნილი **ფონდის მიზანიც ის არის, რომ პლაცდარმი შექმნას ხელისუფლებაში მოსასვლელად. ისე, როგორც დღევანდელები იჩემებენ, დემოკრატიას ვაშენებთო, ახლებიც, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, იგივეს გაიმეორებენ. ენას ძვალი არ აქვს, მით უმეტეს, როდესაც ყველა სახის ბჟუტური გადის, დემოკრატიის მშენებლობის საბაბით, საკუთარი მიზნები ფეხქვეშ გათელავს დემოკრატიას.**

სამწუხაროდ აბრაკადაბრა ოპოზიციასაც დასჩემდა. ამას წინათ ერთ-ერთ გაზეთში ერთი ოპოზიციონერი, ცხადია არა საპარლამენტო, არამედ პარლამენტს გარეთ მყოფი, არჩევნებში დამარცხებას იმით ხსნიდა, რომ ოპოზიციამ დასავლეთს ვერაფრით გააგებინა ვინ არის კარგი – ოპოზიცია თუ ხელისუფლება. რესპონდენტის სიბრძნემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, როდესაც გამარჯვების ერთადერთ ბარიერად უცხოეთთან უშედეგო კავშირები დაასახელა. მისი განმარტებით ხელისუფლების დემოკრატიული ცვლა მხოლოდ საზღვარგარეთზეა დამოკიდებული. **გამოდის, რომ ოპოზიციამ დასავლეთი ვერაფრით დაარწმუნა, რომ მას უფრო მეტად უნდა ნატოში შესვლა, ვიდრე ხელისუფლებას, მას უფრო მეტად ხიბლავს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია, ვიდრე ხელისუფლებას, რომ ისინიც ლაპარაკობენ ინგლისურად, როგორც ხელისუფლება, რომ ისინიც მიაწვებიან პროდასავლურს, როგორც ხელისუფლება, ისინიც ანტირუსები არიან და იმაზე მეტად, ვიდრე ხელისუფლება.**

მაგრამ ძველი სიმღერით არ იხილება უცხოეთი, მით უმეტეს, როდესაც ეს ყველაფერი ცნობილია დღევანდელი ხელისუფლების ძალისხმევით. დასავლეთისათვის მთავარია არა დემოკრატიის ხარისხი, მითუმეტეს ამ თვალსაზრისით ნორჩ ქვეყანაში, არამედ საკუთარი ინტერესები. დემოკრატიის მშენებლობა ხანგრძლივი პროცესია, რომლის დროს გადახრებიც ხდება, მაგრამ საკუთარი ინტერესები კონკრეტულია. მას დღეს უნდა ჩაეყაროს საძირკველი. ამდენად დასავლეთისათვის პრინციპული არ არის საქართველოს დღევანდელი დემოკრატია. მისთვის მთავარია საკუთარი ინტერესების გატარება რეგიონში. მიზანს შესანიშნავად ეხმიანება ოფიციალური თბილისი. ექსპერიმენტი პირველის შეცვლის თვალსაზრისით მაშინ გაკეთდებოდა, ქვეყანას რომ მხცოვანი პრეზიდენტი ჰყოლოდა. დასავლეთს ხელს აძლევს რყევების გარეშე ცვლა. **ამისათვის შეიქმნა დემოკრატიის ფონდი. არჩევნებამდე კარგა ხანია დარჩენილი, რაც ხელს შეუწყობს ფონდის ხელმძღვანელს ჩამოირეცხოს პოლიტიკური ჭუჭყი და ქართული საზოგადოების თვალში გათეთრება მოახერხოს. მას (დასავლეთს) კარგად აქვს შესწავლილი ქართველთა გულმავიწყობის, ავადმყოფური მიმტევებლობის, ფარისევლობის ამბავი. დასავლეთი კონკურენტული საარჩევნო გარემოს შესაქმნელად ბურჯანაძის გარდა სხვა კანდიდატებსაც მოგვივლენს. არც სხვა ვარიანტია უგულველსაყოფი ანუ კონსტიტუციის შეცვლა, ქვეყნის საპარლამენტო მმართველობაში შეყვანა — უუფლებო პრეზიდენტით და ძალაუფლების მქონე პრემიერით. ამ შემთხვევაში პრემიერად პრეზიდენტს ვიხილავთ. დაუჯერებელია 5 წლის შემდეგ პოლიტიკისათვის უაღრესად ახალგაზრდა პრეზიდენტმა, რომელსაც ხიბლავს ძალაუფლება, უარი თქვას ასეთ ხიბლზე, და ნაადრევ პენსიონერობას შეეგუოს.**

მოკლედ, საქმე გვაქვს ვაშინგტონიდან მართულ პროცესთან, რაზეც ცხადია ნაკლებად იმოქმედებს თეთრ სახლში მოსალოდნელი ცვლა. რუსეთ-კავკასიის მიმართ პოლიტიკა ისეთივე იქნება (ოდნავ განსხვავებით), რაც აქამდე, იყო. ის, რომ ვაშინგტონი აშკარად მხარს უჭერს საქართველოში მისი ინტერესების გამტარებელ ხელისუფლებას, გამოჩნდა ბოლო ორი არჩევნებს დროს. ერთ მარტივ მაგალითს მოვიყვან — ნაცნობი გერმანელი, რომელიც საპარლამენტო არჩევნებს აკვირდებოდა, არ დაინტერესდა ოპოზიციის მიერ გამოვლენილი დარღვევით და არ მივიდა საარჩევნო უბანზე, ვინაიდან მას თავისიანების მხრიდან დავალება ჰქონდა, არ დაენახა ასეთი დარღვევები. **ასე გვიწყობს ხელს დასავლეთი დემოკრატიის აშენებაში, ასე შემოგვთავაზებს დემოკრატიის ფონდის ხელმძღვანელს საპრეზიდენტოდ და იმ ხელმოცარულ პოლიტიკოსთა, მლიქვნელთა დიდი არმიის დახმარებით, მოსახლეობაც არჩევნებში მას „დაუჭერს" მხარს.** ქუჩაში დარჩენილი ოპოზიცია, რომლის თვალთახედვა მრავალ საკითხში ხელისუფლების იდენტურია, შეძლებს ორ ფრონტზე ხელისუფლებისა და შემცვლელის, უფრო ზუსტად — ჩამნაცვლებლის საწინააღმდეგო მოქმედებას? ძალიან საეჭვოა.



იხ. 7 გვ.

SIC!

# ახალი საეთნო-ფაბრიკაციო პოლიგონისათვის

## განათლების ცენტრი „კოლხიდა“ ეროვნულ სულში ხრწნის შემოპარებას ცდილობს

ქვემოთ დამოწმებული ამონარიდი აგრესიული გლობალიზმისა და რუსიზმის კოალიციური შემოტევების მესამე ტალღა გახლავთ.

როგორც ყველაფრიდან ჩანს, დღეს რუსეთი ემზადება საქართველოსთან ახალი ომისათვის, საომარი მოქმედებები, ბუნებრივია, განვითარდება უკვე სამეგრელოს მიწაზე, საომარი მოქმედებები საჭიროებს წინასწარ საზოგადოებრივი აზრის შემზადებას იმისათვის, რათა საზოგადოებრიობა დარწმუნდეს, თითქოს სამეგრელო არაა საქართველო. ამ სტერეოტიპმა კარგად იმუშავა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში), როცა რუსეთის აგრესიას „ქართულ-აფხაზური„ ომი დაერქვა, რითაც: 1) შეინიღბა რუსეთის დიდმპყრობელური ძალისხმევა; 2) აფხაზეთის „არაქართულობა“ არა მარტო გაუთვიცნობიერებელმა საზოგადოებრიობამ დაიჯერა მსოფლიოში, არამედ ქართველებმაც ირწმუნეს ეს დივერსიული სტერეოტიპი.

როდესაც ვეცნობით სამეგრელოში მძვინვარე განუკითხაობაზე ვითომ მზრუნველების საქმიანობას, პირველი, რაც თვალში საცემია, ის გახლავთ, რომ სამეგრელოსათვის თავსმოხვეული პარტახი, რომელიც მონდეალისტური აგრესიის ძალისხმევით დათარეშობს საქართველოს ყველა კუთხეში, ამ „მზრუნველთა“ შეფასებით მეგრელთა, ანუ „ეროვნული უმცირესობის“ წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობაა“. ასე უფრო ხელსაყრელია, ჩანს „უმცირესობა“ და მის დასაცავად პირველსავე სახმობზე თავქუდმოგლეჯით მოისწრაფიან ფულიც, ქვეგამხედვარობაში გამობრძმედილი „განმანათლებლებიცა“ და ჯერჯერობით არა, მაგრამ საჭირო დროს შემოგვეჩრება ველიკოდერჟავული ტორიც.




ამ ვითარებაში, ეს შთაგონებული მოხალისეები, დღე ერთია და ათობით საჩივარს აგზავნიან, სადაც გზაც ჯანდაბამდი გქონიათო, გვისაგზლებენ ხოლმე. იქ ამ საჩივრებს გულდაგულ ინახავენ, რათა საჭირო დროს ასეთ მოხალისე რეგვენთა ჯოგში შეაკოწიწონ სამეგრელოს ხსნის კომიტეტის მაგვარი, რომლის ხელებით აღიმართება იმპერიებში შეკერილი ეგრისის საოკუპაციო დროშა:

**მოხსენებითი ბარათი**

**განათლების ცენტრი „კოლხიდა“-ს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 100-131.

**ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ**

**განათლების ცენტრი „კოლხიდა“ მიზნად ისახავს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ ადამიანის უფლებების საკითხებზე მიღებული საერთაშორისო საკანონმდებლო აქტების პროპაგანდას და ამ პრინციპებზე სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში მონაწილეობის მიღებას.**

**როგორც მოგეხსენებათ, სამეგრელოს რეგიონი დასახლებულია ხალხით, რომელთა სასაუბრო რეგიონალურ ენას წარმოადგენს მეგრული.**

**აქედან გამომდინარე განათლების ცენტრი „კოლხიდა“-ს სახელმძღვანელოს წარმოადგენს ევროპის ქარტია რეგიონალურ და უმცირესობათა ენების შესახებ: ქარტია ითვალისწინებს, რომ ევროპის ისტორიული რეგიონალური და უმცირესობათა ენების დაცვა, რომელთაგან ზოგიერთი დროთა ვითარებაში შეიძლება გაქრეს, ხელს უწყობს ევროპის კულტურული ტრადიციებისა და კულტურის მონაპოვართა შენარჩუნებასა და განვითარებას, რაც ემყარება დემოკრატიის და კულტურათა მრავალფეროვნების პრინციპებს, ეროვნული სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ფარგლებში.**

**ზემოთ ხსენებული ქარტიის პრინციპების და იდეალების ცხოვრებაში განხორციელების საქმეში მხარდაჭერისათვის მივმართეთ წერილით №2 19.09.2005 წ. / დანართი №1 თან ერთვის/ფაქსით.**

**1. ევროსაბჭოს წარმომადგენლობას საქართველოში.**
**2. საფრანგეთის საელჩოს.**
**3. რუსეთის საელჩოს.**
**4. ამერიკის საელჩოს.**
**5. გერმანიის საელჩოს.**
**6. ფონდ „ჰორიზონტს“.**
**7. ფონდ „ღია საზოგადოება საქართველო“-ს განმეორებით 2005 წლის 22 სექტემბერს მივმართეთ 1) ევროსაბჭოს წარმომადგენლობას საქართველოში და 2) ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველო“-ს.**

**აგრეთვე ჩვენს მიერ საზოგადოებაში გავრცელდა საინფორმაციო ფურცელი, (დანართი №2 თან ერთვის) სადაც მოცემული იყო მოკლე განმარტება ევროპის ქარტიისა რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ.**

* * *

ამ მოცულობაში მთავარი ისაა, რომ ასეთი ჯოგური სიმრავლის ვერც ერთ საქმეს თუ საქციელს ვერ დამისახელებთ, მამულიშვილის ძალისხმევა და თუნდაც სამეგრელოს შინაარსის მოთვალსაწიერება რომ ახლდეს. მათ სძულთ ქართველი ერი და ეს სიძულვილი წესით მათი შუროზუმუს — სამეგრელოს გაუპატიურების მცდელობით იწყება. დიახ, მათ ეზიზღებათ ქრისტიანული ცნობიერება, ამიტომ სურთ გაემიჯნონ მას და დაგვამსგავსონ უვინაო სახელმწიფოებს, რომელთა მოსახლეობასაც ეროვნება არ გააჩნია. ისინი უარყოფენ ეროვნულ ღირებულებებს, როგორც ადამიანთა მახასიათებელს.

რა თქმა უნდა, ისინი ვინც ქვემორე საჩივარში დამოწმებულ ღონისძიებათა გამტარებლებს უჩივიან, როდი ამხელენ იმას, რომ მსგავსი ზეიმები საქართველოს კუთხეებში ტარდება არა ეროვნული მოღვაწეების მიერ, არამედ ქართველი ერის (მათ შორის მეგრელთა) სულიერების გადასაჯეგად დარაზმულთა მითითებით.

**...„მოხსენებიდან“ ნათლად ჩანს სახელმწიფოს აგრესიული, ეთნიკურად დისკრიმინაციული პოლიტიკა რეგიონალური მეგრული ენის ამოსაშლელად საზოგადოებრივი და კერძო ცხოვრებიდან, რაც წარმოადგენს საბჭოთა იდეოლოგიის, ასიმილაციის პოლიტიკის გაგრძელებას.**

**სახელმწიფოს პასიური პოლიტიკა ვერ შეაჩერებს სხვა ქვეყნის აქტიურობას და სურვილს, მოახდინოს ეთნიკური ჯგუფების მართვა.**

**აფხაზეთის კონფლიქტი ნათლად გვიჩვენებს, რომ სახელმწიფომ თავის დროზე ვერ აიცილა ურთიერთდაპირისპირება მარტივი მიზეზის გამო, არ გაითვალისწინა საწყის ეტაპზე ეთნიკური აფხაზების სამართლიანი ინტერესები, ვერ შეძლო მათი ინტეგრაცია ქართულ სახელმწიფოში. ამ შემთხვევაში და ყოველთვის, მსგავსი პოლიტიკა მარცხდება. პრობლემის არდანახვა არ ნიშნავს პრობლემის მოგვარებას.**

**დღეს სახელმწიფო იმყოფება ჩამოყალიბების და განვითარების საწყის ეტაპზე და ყოველი მიძინებული პრობლემები იწყებს გამოღვიძებას და თუ, არ მოხერხდა საწყის ეტაპზე მათი მართვა, კონფლიქტი სამეგრელოში გარდაუვალია.**

* * *

**შეიძლება ვინმემ თქვას; ჯერ ადრეა სამეგრელოში კონფლიქტზე საუბარი, მე კი ვიტყოდი, ჯერ კიდევ გვიან არ არის!**

**მიგვაჩნია, რომ მეგრული ენის შენარჩუნებისათვის და განვითარებისათვის სახელმწიფომ უნდა გადადგას გაბედული ნაბიჯები.**

**საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი (მათ შორის არიან აფხაზეთიდან დევნილები) საუბრობს მეგრულ ენაზე. ანუ არის ტერიტორია-სამეგრელოს რეგიონი, არის ხალხი, რომელთა სასაუბრო რეგიონალურ ენას წარმოადგენს მეგრული, მაგრამ მეგრულ ენას დღემდე არ გააჩნია სტატუსი, ანუ ლეგიტიმაციის არანაირი სამართლებრივი ფორმა. შესაბამისად, ამ ენაზე მოსაუბრე მოსახლეობის ლეგიტიმურობა არის გაურკვეველი, აქედან გამომდინარე კი — თვით სახელმწიფოსიც.**

**ვინაიდან სახელმწიფო თავის მოქალაქეებს არ ასწავლის მეგრულ ენას, მაშინ სად, რომელ ქვეყანაში და როგორ სწავლობენ მეგრელები მეგრულად საუბარს და რა ჰქვია ამ ქვეყანას?**

**საზოგადოებრივ აზრს ბიბლიის მეგრულად თარგმნის შესახებ მოჰყვა საპატრიარქოს დაუფარავი აგრესია,-როგორ შეიძლება ბიბლიის მეგრულად თარგმნა, აღშფოთებას არ მალავდა საპატრიარქო.**

**სამეგრელოში კი პირიქით, ხალხი გაკვირვებული იყო რატომ არ შეიძლება ბიბლიის მეგრულად თარგმნაო?**

**დღემდე ეს კითხვები უპასუხოდ რჩება. კონფლიქტი უკვე დაიწყო!**

**მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების იგნორირება საფრთხეს უქმნის თვით სახელმწიფოს ლეგიტიმაციას.**

**ასე შესაძლებელია სამოქალაქო დაპირისპირების განვითარება და არა სახელმწიფოსი.**

**ევროპული ქვეყნების მაგალითები გვიჩვენებენ, რომ ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაციის პოლიტიკა წარმოადგენს ყველაზე ეფექტურს და უსაფრთხო სახელმწიფო განვითარების მოდელს.**

**ზემოთ აღნიშნული უაღრესად პრობლემატური საკითხების მოუგვარებლობიდან გამომდინარე გთხოვთ, „ევროპის ქარტია რეგიონალურ და უმცირესობათა ენების შესახებ“ იდეალებისა და პრინციპების განხორციელებაში.**

**პატივისცემით**

**იური ღვინჯილია,**
**გამგეობის თავმჯდომარე.**

* * *

**ასოციაცია განათლების ცენტრი „კოლხიდა“-ს მიმართვა მსოფლიო საზოგადოებისადმი**

**მოგახსენებთ, რომ საქართველოს სახელმწიფოში სამეგრელოს რეგიონი წარმოდგენილია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის სტატუსით, სამეგრელოს რეგიონი დასახლებულია ხალხით, რომელთა სასაუბრო რეგიონალურ ენას წარმოადგენს მეგრული.**

**ქართულ სახელმწიფოში იგნორირებულია რეგიონალურ მეგრულ ენაზე მოსაუბრე მოსახლეობის ინტერესები, რაც გამოიხატება იმაში, რომ მეგრულ ენას არ გააჩნია ენის სტატუსი. შესაბამისად, ენის შენარჩუნება-განვითარებისათვის და ამ ენის საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოყენებისათვის არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა.**

**საქართველოს კონსტიტუცია, კანონმდებლობა არ ცნობს მეგრულ ენას და იგი განდევნილია საზოგადოებრივი ცხოვრებიდან.**

**მაგალითად, საზოგადოებრივ აზრს, ბიბლიიის მეგრულად თარგმნის შესახებ, მოჰყვა საპატრიარქოს დაუფარავი აგრესია, როგორ შეიძლება ბიბლიის მეგრულად თარგმნა, აღშფოთებას არ მალავდა საპატრიარქო. სამეგრელოში კი პირიქით, ხალხი გაკვირვებული იყო, რატომ არ შეიძლება ბიბლიის მეგრულად თარგმნა, როცა ბიბლია ნათარგმნია მსოფლიოს სხვა და სხვა ენებზე. ერთ-ერთ გავლენიან პოლიტიკურ რადიო „იმედი„-ს ეთერში იმართებოდა პოლიტიკური თოქ-შოუები, სადაც დაგმობილი იყო არა მარტო ბიბლიის მეგრულად თარგმნის მცდელობა, არამედ თვით მეგრულის ენად აღიარება, რომ არ გავრცელებულიყო მეგრულ ენაზე ევროპის ქარტიის რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ ის აუცილებელი ნორმები, როგორიცაა განათლება, კულტურა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და სხვა.**

**საზოგადოებრივ ცხოვრებაში რეგიონალური ენის გამოყენების წახალისების გარეშე შეუძლებელია ენის შენარჩუნება-განვითარება.**

**სამეგრელოს რეგიონს აქვს თავისი ისტორიული წარსული, იგი წარმოადგენს კოლხიდის სამეფოს (ძვ. წ. XII ს) ანუ ოქროს საწმისის კულტურის ქვეყნის პოლიტიკურ და ისტორიულ მემკვიდრეს. აქვს გეოგრაფიული საზღვრები, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უძველესი და ლექსიკური მარაგით ყველაზე უმდიდრესი სალაპარაკო მეგრული ენა (9 მილიონზე მეტი).**

**სამეგრელოს დამოუკიდებელი პოლიტიკური სტატუსი იძულებით იქნა გაუქმებული 1867 წელს რუსეთის იმპერიის ოკუპაციის შედეგად.**

**მიუხედავად ადგილობრივი და ფედერალური ხელისუფლებისადმი არაერთგზის მიმართვისა, ზემოთ აღნიშნული პრობლემები იგნორირებულია მათ მიერ. პირიქით, ჩვენს მიმართ ხორციელდება ირიბი მუქარები.**

**შექმნილმა ვითარებამ გვაიძულა მიგვემართა მსოფლიო საზოგადოებისადმი.**

**გთხოვთ, დაინტერესდეთ მეგრული ეთნოსის ტრაგედიით და დაგვეხმაროთ მეგრული ენის შენარჩუნება-განვითარების საქმეში.**

SIC!

* * *

რა თქმა უნდა ამ წლებში სამეგრელოსათვის თავს დამტყდარ ღვთისწყრომაზე გაცილებით მეტის დაწერა შეიძლება, ვიდრე ამ მახათმომარჯვებულს მოუხერხებია და ეს საჭიროა, მაგრამ იგი არ უნდა აკეთოს ჩასაფრებულმა, ავმოსურნე და მიზნობრივად დაინტერესებულმა, მეტიც ცნობიერებაშემორაგულობაში მომწყვდეულმა კაცმა, რომელმაც არც იცის (თუ იცის, მაშინ სხვის დავალებას ასრულებსძ, თუ რა სჭირს და რა ლაგამი ამოსდეს დოყლაპია ხახაში. სამეგრელოზე მოჭირისუფლემ უნდა იცოდეს, რომ პარტახი, რომელიც მოახვიეს მას, სრულიად საქართველოს პარტახია, იგი ყოველთა ქართველთა ტკივილია, ცალკე მას ვერანაირად ვერ უწამლებ ისე, როგორც სხეულიდან ამოგლეჯილ გულს, საქართველო არის გაერთსხეულებული სული. როგორც ზოგჯერ ლოზუნგებით მოაზროვნეები ამბობენ, სამეგრელო ხერხემალია მისი. ცალკე ეს ხერხემალი ძვლის გროვაა, ხოლო ეროვნულ-სახალხო სხეულში ცნობიერი ვინაობა, ანუ ერი გახლავთ.

სამეგრელოში საუკუნეების მანძილზე შექმნილ სახალხო სულიერებას მზრუნველობა და სრულიად საქართველოს ცნობიერ მიმოქცევაში არა ცენტრნაცმენური, არამედ გამშობლიერებული დამკვიდრება სჭირდება, მაგრამ ამას აბრკოლებს არა ეროვნული ნება, არამედ დივერსიული ეთნოფაბრიკაციების პოლიგონად მოაზრებულ სივრცეში მოთარეშე იმპერიული ჩექმა.

ორი აზრი არ უნდა იყოს იმაზე, რომ ქვეყანას სჭირდება ეროვნული ენისა და სამხარეო მეტყველებათა დაცვის, გამდიდრებისა და ყოფით ყოველდღიურობაში ეროვნულ-სახალხო ხასიათის შესაბამისად დამკვიდრება.

...და ერთიც... საქართველოს გაერთსხეულების წინააღმდეგ საფრთხემ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამოიყლორტოს სამეგრელოს მოსახლეობის სახალხო სულისკვეთებაში, ეს საფრთხე აგრესიული გლობალიზმის და რუსიზმის ეთნოდივერსიებსა თუ ადგილობრივ მონუკათა შეუწონარ სირეგვნეში უნდა ვეძებოთ.

* * *

ე.წ. გაზეთ „შუროზუმუში“ დაბეჭდილია რინოს კვარაცხელიას ლექსები. ბატონი რინოსი გამწარებული მამაა, რომლის თვალწინაც საქართველოს სხვა კუთხეებიდან, უპირატესად იმერეთიდან მორეკილი უგუნურების ხელებით არაერთგზის გასწორდა მიწასთან სამეგრელო ისევე, როგორც დანარჩენი საქართველო, მაგრამ ეგრისის „გადახვნა“ ისეთი ხაზგასმული გულმოდგინებით ხდებოდა, თითქოს ნაალაფარი მიწა ყოფილიყოს და არა სამშობლო. მეზობლების ჩათრევა ამ ღვთისწყრომაში შორსგამიზნული წინდახედულებით მოხდა — სამისდღემშიო შუღლი უნდა ჩამოეგდოთ მეგრელსა და იმერელს შორის. ამ მცდელობამ ვერ გაიდგა ფესვები, თუმცა აქა-იქ მაინც სცადა ფეხმოდგმა.

მიზანიც ეს იყო, — მეგრელს ქართველი არ ვარო, უნდა ეთქვა! მაშინ ამ საქმისთვის საქართველოს მტრებმა ერთჯერადი მოხმარების საგნად გამოიყენა ჯაბა იოსელიანი. ის და მისი ბანდა სამეგრელოს ქალაქებში ასე ბღაოდნენ: **„ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და რაჭა, ყველა ჩემი სამშობლოა სამეგრელოს გარდა“**. ეს ყველაფერი ჩვენი საზოგადოების თვალწინ მოხდა! საბედნიეროდ, ეროვნულ-სახალხო ძალისხმევამ და ჯიშისმიერმა მეხსიერებამ არ აჭაჭანა ასეთი რამ, თუმცა არა ერთი სულგაყიდული მაშინაც და დღესაც პირუმტკიცობაში ჯამაგირს ილებდა და ილებს.

ჰოდა, ეს გაუზედურებული კაცი, როგორც იტყვიან, „წვეთმა ქვა გახვრიტაო“, გაოგნებულ მდგომარეობაში მყოფი, გზაამქცევი ბილიკისკენ შეიტყუეს.

გასაგებია, ვინცაა იური ღვინჯილია, კი ბატონო, მას ესაუბრეთ უშიშროების სახაზინო ენით (მაგრამ, ვაითუ, იურის სვლაგეზის დამზუსტებელი თვით კომპრადორ საჭეთმპყრობელთა ზანაკშიაძ, მაგრამ პოეტ რინოს კვარაცხელიასთანა სულსა და გულში დაჭრილი ადამიანები იმსახურებენ იმას, თოლიგესა და შურიგუს წესით ვესაუბროთ მათ.

საერთოდ, ეს საკითხი არ არის იმ შინაარსის, მასზე ზედაპირული სტერეოტიპებითა და ჰავლაზრიანცული კილოკავით ვილადაოთ. მას სხვა, საჭირისუფლო გულისძგერა სჭირდება.

სამეგრელოს ეროვნულ-სახალხო განწყობაში არანაირი საფუძველი სეპარატისტული მოძრაობისათვის არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, რადგან იქ საკუთარი ვინაობის შთაგონებული სიძულვილის ის რესურსი არაა, რაც ამ საძრახობას სჭირდება, თუმცა სამიოდე არამზადა კი მოიძებნება რუსეთის (თუ სხვა იმპერიისძ საოკუპაციო თარეშის შესანილბად და მათზე დაყრდნობით ე.წ. სამეგრელოს ხსნის კომიტეტის მაგვარი რაღაც შეიქმნას, რომელსაც, კიდევ ერთხელ ხმამაღლა ვამბობთ, სამეგრელოდან შორს შეკერილი “დამოუკიდებელი სამეგრელოს დროშას“ აღამართვინებენ. ამავე დროს თბილისიდან ეროვნული სულის გაძევება და კოსმოპოლიტური განუკითხაობის დამკვიდრება, ქართული შინაარსის ყოფით ყოველდღიურობაში ამოძირკვა და მისი გაკვრა დასაცინ ბოძზე, ის საფრთხეა, რომელსაც დედაენის გაქრობამდე მივყავართ, ამასთან ერთად თუ ასე გაგრძელდა, ერთი-ორი ათეული წლის შემდეგ ჩვენს სივრცეში ჩაინაცვლებს შეკოწიწებული ინგლისურის ქართულ-ამერიკული ნაზავი და ქართული სააზროვნო წესისგან დაცლილი ახალი ე. წ. ერი, რომელზე დიდი მტერიც ქართულ ვინაობას არ ეყოლება.

**სერგი საჯაია,**
**ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიის ლაურეატი;**
**დაზმირ ჯოჯუა,**
**პროფესორი.**





***წერილი შეთანხმებულია აფხაზეთ-სამეგრელოდან გამოსულ ცალკეულ მეცნიერებთან, საზოგადო მოღვაწეებთან, ხელოვნებისა და მწერლობის წარმომადგენლებთან.***

***დამოწმებულ მასალებში ავტორთა სტილი დაცულია.***

***2008 წ. 30 ივნისი***

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

გლობუსი

# სხვისი მოიმედეობა საქმეს ვერ უშველის

(მეხუთე გვერდიდან)

დემოკრატიასთან, გამჭვირვალე არჩევნებთან და ოპოზიციასთან დაკავშირებით კიდევ ერთ, ზიმბაბვეს მაგალითს მოვიყვან. 28 წლის განმავლობაში, ბოლო 3-4 წლის გამოკლებით, ზიმბაბვე დემოკრატიას აშენებდა, ისე, როგორც ამას იჩემებს საქართველოს ხელისუფლება. პრეზიდენტმა საააკაშვილმა გამოკვეთილად აღნიშნა ამის შესახებ რაისთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე. დასავლეთი თავზე ხელს უსვამდა მუგაბეს და ალბათ ასეც გაგრძელდებოდა, რომ მუგაბეს დასავლეთის საწინააღმდეგოდ ბრძოლა არ დაეწყო. მხოლოდ ამის შემდეგ გახდა მუგაბე არადემოკრატი. ქალბატონმა რაისმა ყველა იმ პროცესს, რაც საქართველოში მოხდა გასული წლის ნოემბრამდე და ნოემბრის შემდეგ, დემოკრატიის მშენებლობა უწოდა და ამის საბოლოოდ გამოკვეთა აშშ-ს ადმინისტრაციის პოზიცია ქართველი ხალხის მიმართ. თბილისში ჩამოსვლამდე რაისის ნათქვამი, ნატოში შესვლით მოგვარდება საქართველოს ტერიტორიული საკითხიო, იმით მიმანიშნებელია, რომ ვაშინგტონის განცხადება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით მხოლოდ სიტყვებია და მეტი არაფერი.

დავუშვათ დასავლეთმა ისეთი პოზიცია დაიკავა, როგორიც ოპოზიციას სურს. საინტერესოა, როგორ შეცვლიდა ის(დასავლეთიძ ხელისუფლებას? არჩევნების ჩატარებას ისეთივე შედეგი მოჰყვება, როგორიც მოჰყვა. იმავე ზიმბაბვეს მაგალითიდან გამომდინარე, პოზიტიურ შედეგს არ უნდა ველოდეთ. ან რად გვინდა სხვისი მაგალითი, ჩვენიც საკმარისი გვაქვს. **1995 წლის არჩევნები მოქალაქეთა კავშირმა პირწმინდად გააყალბა, როგორც პარლამენტის ისე პრეზიდენტის, გამარჯვებულ პატიაშვილს ჩალა გამოავლეს პირში. ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლა არც 1999 წლის პარლამენტის და არც 2000 წლის პრეზიდენტის არჩევნებით განხორციელდა. ორივე შემთხვევაში დიდ გაყალბებას ჰქონდა ადგილი. 2003 წლის არჩევნებიც წინა არჩევნებივით ჩაივლიდა და ასეც მოხდა, მაგრამ სახალხო გამოსვლების და „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ შეიცვალა ვითარება, ცხადია არა არჩევნების გზით. მის შემდეგ თუ როგორ ჩატარდა არჩევნები, მკითხველმა კარგად იცის. თვალი შევავლოთ უფრო ადრინდელ პერიოდს, ანუ კონფლიქტს, რომელიც 1991 წელს დაიწყო გამსახურდიას ხელისუფლების წინააღმდეგ. მიუხედავად მოწინააღმდეგის თხოვნისა, გამსახურდიას დაენიშნა ვადამდელი არჩევნები, მან ბრძოლა ამჯობინა იმის იმედით, რომ საბოლოო გამარჯვება მას დარჩებოდა. ქვეყნის სათავეში მოსული ქართველი პოლიტიკოსისათვის ძნელია, უფრო სწორედ შეუძლებელი იმის გაფიქრებაც კი, რომ არჩევნების წაგების შემთხვევაში მან თანამდებობა უნდა დატოვოს. ჩვენდა სამწუხაროდ, ამ მოსაზრებას ზურგს უმაგრებს აშშ. ხელისუფლების ერთადერთი ცვლა გადატრიალება-რევოლუციით მოხდა.**

მიამიტურია იმათი მოსაზრებაც, რომ ქალბატონი რაისის საქართველოში ვიზიტი მარტო კონფლიქტებისა და დემოკრატიის შესწავლის წყურვილით იყო გამოწვეული. მთავარი საკუთარი პოზიციების განსამტკიცებელი პოლიტიკა იყო, ამაში საქართველოს ნატოში გაწევრიანებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს ის საკითხია, რომელშიც ასპროცენტიანი იდენტურობაა ხელისუფლება-ოპოზიციას შორის, უფრო მეტიც, ოპოზიცია ხელისუფლებაზე მეტად თავგამოდებულია. ნატოში გაწევრიანებას, თუნდაც ეტაპობრივ ეტაპზე გადაყვანისათვის არსებობს მრავალი, საშინაო დავალებები, რომელსაც საქართველო ვერაფრით შეასრულებს. გადაგვიყვანეთ შემდეგ ეტაპზე და თქვენის დახმარებით იქ გამოვსწორდებითო — იყო ოპოზიციის რაისისადმი თხოვნა. რაისს რად უნდა ამის თხოვნა, თბილისში ჩამოსვლამდე განაცხადა, რომ ვაშინგტონი ყველაფერს ილონებს, რათა დეკემბერში საქართველო გამააპდეს. მან ისიც თქვა, ნატოში შესვლა მოაწესრიგებს კონფლიქტებსო, რაც სრული აბსურდია. თუმცა მას რა ენაღვლება, მომავალი წლის იანვრიდან დღევანდელი ადმინისტრაცია ისტორიას ჩაბარდება. დარჩება გამააპებული და სეპარტისტულ რეგიონებჩამოცილებული საქართველო. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია — საქართველოს ხელისუფლებამ, როგორც წინამ, ისე დღევანდელმა ყველაფერი გააკეთა, რათა ქვეყანა დიდი სახელმწიფოების საჭილდაო ქვად ექცია. დიდი სახელმწიფოების თამაში კარგად გამოჩნდა დიდი რვიანის ბოლო შეხვედრასა და მის შემდეგ.



იბადება კითხვა — რა აზრი აქვს ისეთ შეხვედრას, რომელსაც შედეგი არ აქვს? ბუშ-მედვედევის საუბრის შემდეგ, რომელზეც მედვედევმა კატეგორიული ნეგატიური მიდგომა გამოხატა რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების ევროპაში განთავსების და ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებასთან დაკავშირებით, რაისმა ხელი მოაწერა ჩეხეთში სისტემის განთავსების ხელშეკრულებას და მხარი დაუჭირა საქართველოსთვის მაპის მინიჭებას. მან ისიც აღნიშნა, რომ რუსეთის აზრი არ ანაღვლებს. დიდ რვიანზე რუსეთმა მხარი დაუჭირა მუგაბეს საწინააღმდეგო პოლიტიკის შემოღების იდეას, მაგრამ გაეროს უშიშროების საბჭოზე მან ჩინეთთან ერთად ვეტო დაადო რეზოლუციას — სანქციების შემოღება ზიმბაბვეს საშინაო საქმეებში ჩარევას ნიშნავსო. ომი გაგრძელდება, გავიჭყლიტებით ჩვენ.

დასავლეთზე მოიმედეობა საკუთარი პრობლემების მოწესრიგებაში, ნაკლებად მისაღწევი ოცნებაა. დასავლეთისათვის ჩვეული რამ არის ხელისუფლებასთან ურთიერთობა. არის გამონაკლისებიც, როდესაც დასავლეთს არ მოსწონს ხელისუფლება. მაშინ ის ფარული მაქინაციებით აღწევს ხელისუფლების ცვლას, რაც აქ და სხვაგან მოხდა. ხშირად დასავლეთი იძულებულია ანგარიში გაუწიოს ხალხის მოთხოვნას, ოღონდ ამის შესახებ მან ზედმიწევნით კარგად უნდა იცოდეს და აქედან გამომდინარე ანგარიშს უწევდეს მოსალოდნელ სახალხო აღშფოთებას.

**სამწუხაროდ, ჩვენს შემთხვევაში მიუხედავად, ოპოზიციის მტკიცებისა, რომ მათ ამბავი მიაქვთ დასავლეთში, საქართველოს საკითხების არაჯეროვან შეფასებასთან გვაქვს საქმე. სამწუხაროდ, ოპოზიციამ ვერ შესძლო სახალხო აღშფოთების პოზიტიური გამოყენება. ისიც ვერ მოახერხა თქვა დასავლეთისათვის ამის შესახებ. ეს, რომ ასე ყოფილიყო, რაისთან შეხვედრის დროს მისი თანაშემწე ფრიდი არ ეტყოდა გაჩეჩილაძეს თქვენი ამომრჩეველი ვინ არისო.**

მხოლოდ საკუთარი ხალხით, მასთან სისტემატური კონტაქტით, მისი პრობლემების გაზიარებით, მასთან სიახლოვით არის შესაძლებელი წარმატების მიღწევა და არა იმის იმედით, რომ ვაშინგტონი შეცვლის ხელისუფლებას. აკი შეცვალა შევარდნაძე სააკაშვილით. მომავალში სააკაშვილს შეცვლის ბურჯანაძით. **ცხადია ხაშურში, ზუგდიდში, ოზურგეთში ჩასვლას, სჯობს ტაიმს სკვერზე, ელისეს მინდვრებზე, ვია ვენეტოზე გასეირნება, მაგრამ წარმატებისათვის პირველი აუცილებელია, მეორე — მეორეხარისხოვანი. პირველი ჩარხავს საკუთარ ბედს და არა მეორე.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი**
**პოლიტოლოგი**

◎ დედაბუნება

# ტყის-ჭამიები



*გასულ კვირას მე და ჩემმა მეგობრებმა ბუნების წიაღში დასვენება გადავწყვიტეთ. ვიფიქრეთ, უკეთეს ადგილს რას შევარჩევთო და ბაზალეთის ტბას ვეწვიეთ. ტბაზე სამ საათს დავყავით, ვიბანავეთ, მზეზე გავირუჯეთ და კარგად ნაგრილავებნი უკანვე გამოვბრუნდით. ცენტრალურ ტრასაზე ჩამოსულებმა, იქვე არაგვისპირა ტყეს შევაფარეთ თავი, შინიდან წაღებული საგზლით სახელდახელო სუფრა გავშალეთ, ჭიქები თავანკარა კახურით შევავსეთ და დედაბუნება დავლოცეთ.*

*ის იყო თამადამ მეორე სადღეგრძელო წამოიწყო, რომ თავზე ტყიდან გამომავალი უცნობი მამაკაცი წამოგვადგა. რა თქმა უნდა, შევიპატიჟეთ. უარი არ უთქვამს, პატარა ამოიქაქანა (ეტყობოდა ბევრი ეარა) და გაგვეცნო — ვალიკო მქვია, ამ ტყის რეინჯერი ვარო.*

— რეინჯერი? — ვცქვიტე ყურები.

— ჰო, რეინჯერი, არ შეგეშინდეთ, — დაგვამშვიდა ტუჩებში ღიმილჩამდგარმა, — სახელი დაგვარქვეს უცხოური, თორემ, ძველად ტყისმცველს რომ ეძახდნენ, ისა ვარ.

— ოოო, კარგია, კარგი, — მოვიწონეთ, ალბათ, ტყესაც უცხოურად იცავთ, არა?

— მაშ როგორ, — გაიბადრა, — ამერიკელები რომ არ მოგვხმარებოდნენ ტყეების მოვლა-პატრონობაში, ბოდიში, მაგრამ ამ ქოჩორა მუხის ქვეშ ველარ იჩრდილავებდით.

— კარგი ერთი, ნუ გიყვართ გადაჭარბება, ამერიკელები დემოკრატიის განვითარებაში რომ გვეხმარებიან, ეს მთელმა მსოფლიომ იცის, მაგრამ ტყესთან რა კავშირში არიან? — გავიკვირვეთ.

— აბა რას ამბობთ, — შემოგვედავა რეინჯერი, — ტყე თუ არ გვქონდა, ცარიელ დემოკრატიას რა თავში ვიხლით?

— ვალიკო, არ გვინდა ზოგადი ლაპარაკი, — ვეუბნებით, — იქნებ გვითხრა, ამერიკელები კონკრეტულად რაში დაგეხმარნენ?

— აი, მაგალითად, სატყეო რეფორმის გატარებაში. უკვე მერამდენე წელია, მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებით ვმუშაობთ.

— შედეგი როგორია?

— გადასარევი. ადრე დუშეთის სატყეო თუ პატარ-პატარა უბნებად იყო დანაწევრებული, ახლა მთელი 120 ჰექტარი ერთ სატყეო უბანშია გაერთიანებული, თანამშრომლებიც სულ თითზე ჩამოსათვლელიღა დავრჩით. როგორც ვიცი, ასევეა გორში და ქვეყნის სხვა რეგიონებში.

— მერე შტატების შემცირება და ხალხის უმუშევრად დატოვება მიგაჩნია მიღწევად?

— მე კი არა, უფროსობას მიაჩნია ასე. ამას წინათ თათბირზე გვითხრეს, საქართველოს სატყეო სისტემაში მომუშავე 14 ათასი კაციდან 1 ათასიც აღარ დარჩაო. მან თურმე დიდი ეკონომია მისცა ბიუჯეტს.

— და ამას ეძახიან რეფორმას?

— რა გიკვირთ, მარტო ჩვენთან ხომ არ ტარდება რეფორმა. ამას წინათ ტელევიზიით მოვისმინე, რეფორმის შედეგად ეროვნულ ბანკში 200 კაცი გამოთავისუფლდაო. თუ ეს იქ მიღწევად ითვლება, ჩვენთან ნაკლად რატომ უნდა მივიჩნიოთ? თანაც სხვა სიახლეებიც გვაქვს.

— მაგალითად?

— აი თუნდაც ის, რომ მეტყევეებად ახლა მარტო ამ დარგის სპეციალისტები კი არა, ეკონომისტები, იურისტები, ქიმიკოსები და, თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგჯერ ექიმებიც კი მუშაობენ.

— აი ეს გვესმის! — აღფრთოვანება ვერ დავმალეთ, — ექიმები ალბათ დაავადებულ ხეებს და უკანონოდ გაჩეხილ ტყეებს მკურნალობენ, არა?

— ეგ უკვე აღარ ვიცი. ადრე ლაფნიჭამია რო გაჩნდებოდა, მეტყევეები შხამქიმიკატებით თავადვე ვმკურნალობდით.

— ეგ ლაფნიჭამიებს, მაგრამ ტყისჭამიებს რით მკურნალობთ?

— რას გულისხმობთ? — ცოტა არ იყოს დაბნეულად შემოგვხედა რეინჯერმა.

— რას კი არა, ვის, ჩემო ვალიკო. დაგავიწყდა, ბოლო წლებში მაღალი თუ დაბალი რანგის ჩინოვნიკებმა, დაწყებული სამართალდამცავებით და დამთავრებული პარლამენტარებით, საზღვარგარეთ რა რაოდენობის ხეტყე გაზიდეს?

— მაგაში მართალი ხართ, — გამოტყდა მეტყევე, — მასეთი ტყისჭამიები ახლაც არ აკლია საქართველოს ტყეებს.

— თქვენ კი იმის მაგივრად, რომ ტყისჭამიებს ებრძოლოთ, ტყეში კენკრის მოსაკრეფად და ფიჩხის ასაგროვებლად შესულ გლეხებს ებრძვით.

— ეგ ჩვენი ბრალი არ იყო, ზემოდან რაც გვიბრძანეს, იმას ვაკეთებდით. მე თუ მკითხავთ, არც ის იყო სწორი, იგივე გლეხები, ზაფხულში მაყვლის მოკრეფას რომ ვუკრძალავდით, ზამთრის პირზე ვაუჩერებმომარჯვებულები ახლომახლო ტყეებს შეესივნენ და ერთიანად გააჩანაგეს.

— მერე თქვენ სად იყავით, ტყისმცველებო, ამის უფლება რატომ მიეცით?

— კაი ბიჭები ვიყავით და უარი გვეთქვა, არც ერთს არ დაგვტოვებდნენ ადგილზე. არ გახსოვთ, რა დრო იყო, ქუჩის აქციებით დამფრთხალი ხელისუფლება, ოღონდ ხალხისთვის ესიამოვნებინა და ყოველგვარ დათმობაზე მიდიოდა. თავად მიხეილ სააკაშვილის განკარგულება იყო, არც ერთი ოჯახი არ უნდა დარჩენილიყო უშეშოდ.

— ეგ სწორია, მაგრამ ადრე სად იყვნენ, ან ხელისუფლება და ან კიდევ პრეზიდენტი?

— არ იცით, მაგათი ამბავი, კვერცხი რო მოადგებათ, მაშინ აკაკანდებიან ხოლმე, — აჭიკჭიკდა კახურით შუბლგამთბარი რეინჯერი, — ეს პირველად ხომ არ ხდება, თავად რაღაცას დააშავებენ და ჯოხს მერე ჩვენზე გადმოტეხავენ ხოლმე.

— ფრთხილად იყავით, — ვუთხარი, — ვაუჩერებს ალბათ წელსაც დაარიგებენ.

— წელს რატომღა? — შეფიქრიანდა ტყისმცველი.

— არ იცი? შემოდგომაზე ადგილობრივი არჩევნები იმართება!

საუბარი აღარ გაგვიგრძელებია. თამადამ იმ ტყეების სადღეგრძელო დალია, რომლებიც ხელისუფლებას და ამერიკულ რეფორმას დღემდე რაღაც მაქინაციებით კიდევ გადაურჩა. სწრაფად წამოვიშალეთ, რეინჯერს დავემშვიდობეთ და გზას გავუდექით.

მოვდიოდი და ფიქრი არ მშორდებოდა: ვითომ რაც გვაქვს, მაგ ტყეებს მაინც უწერიათ გადარჩენა? არა მგონია, რადგან ამ ეგრეთწოდებული რეფორმის ბოლო ეტაპი, რომელიც უცხოელებისთვის ტყეების 20 და 50 წლით გადაცემას ითვალისწინებს, ჩვენს ტყეებს საბოლოოდ გამოუყვანს წირვას. საქართველოში დღეს ტყეების 50-55 პროცენტი დეგრადირებულია და აღდგენითი ღონისძიებების გატარებას საჭიროებს. რა თქმა უნდა, იტალიელი, ჩინელი, თუ გერმანელი აქ ჩვენი ტყეების მოსავლელად კი არა, ხეტყის მორიგი პარტიების გადასაზიდად ჩამოვა.

ამ ჩვენს მაოხრებულ ხელისუფლებასაც რომ არ სცალია? ახლა ის სილარიბესთან 50-თვიან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაშია ჩაბმული და პარალელურად ტყეებზე მზრუნველობის შეთავსებას, ბუნებრივია, ველარ მოვთხოვთ.

**ოთარ ხუციშვილი**

◎ მეზობლებთან



## ფასები ჩვენთან იზრდება და თითს დასავლეთისკენ ვიშვერთო?

**რუსეთის სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, ევროპაში პროდუქტები წლის დასაწყისიდან გაძვირდა 3,1 პროცენტით, რუსეთში კი — 11,6 პროცენტით.** არადა ჩვენს ჩინოვნიკებს რომ ჰკითხო ყოვლისა და ყველაფრის გაძვირების მიზეზზე, თავს მსოფლიო სასურსათო კრიზისისკენ გადააქნევენ. რატომ?... — ასეთი კითხვა დაუსვა მკითხველმა „არგუმენტი ი ფაქტის“ რედაქციას.

სპეციალისტების პასუხი: სინამდვილეში საკვები ჩვენთან ნახევარ წელიწადში გაძვირდა 11,6 პროცენტით კი არა, არამედ, როგორც მინიმუმი, 25 პროცენტით! რაც შეეხება ფასების ზრდის მიზეზს, არაა საჭირო დასავლეთისკენ თითის გაშვერა — გაჭირვებათა მთავარი წყარო რუსეთში იმყოფება. ეს არის მონოპოლიზმი, ინფლაციასთან საბრძოლველად მთავრობის მიერ მიღებული არაეფექტიანი ზომები, აგრეთვე ხელისუფალთა სურვილი ნებისმიერ „ფასად“ ფეხზე სოფლის მეწარმის დაყენებისა.

...საქართველოშიც უყვართ ხელისუფალთ მსოფლიო ფასებისაკენ, საყოველთაო სასურსათო კრიზისისკენ თავის გადაქნევა. საქართველოშიც ხომ არ უნდა ვეძიოთ „გაჭირვებათა წყარო“ ზემოთ ჩამონათვლის ორი პუნქტით (მონოპოლიზმი და არაეფექტიანი ზომები). აი, მესამისა კი რა მოგახსენოთ: რაღაც არა ჩანს, რომ მთავრობას სოფლად გლეხის ფეხზე დაყენება სურდეს, მით უფრო, ყოველი ღონის ხმარებით...

**თამაზ ილმელი**

◎ ინფორმაცია

## ლეიბორისტ თანამშრომლებს ხელფასებს არ აძლევენ

**ლეიბორისტული** პარტიის წარმომადგენლების განცხადებით, ყვარლის რაიონის საარჩევნო კომისიის წევრებს არჩევნების დროს გაწეული სამუშაოსთვის ხელფასებს უგვიანებენ.

როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე ლეიბორისტების იდეოლოგიურმა მდივანმა კახაბერ ძაგანიამ განაცხადა, ყვარლის რაიონში საარჩევნო კომისიის წევრთა სახელფასო თანხა შესაბამისი სამსახურების მიერ გადარიცხული არ არის.



მისივე თქმით, ხელფასები მხოლოდ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ და მდივანმა მიიღეს.

— თუ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს მისცეს ხელფასი, კომისიის წევრებმა რა დააშავეს? მაგრამ კომისიის წევრები ოპოზიციისა და ლეიბორისტული პარტიის წევრები არიან და მათ ხელფასებს ალბათ ადგილობრივი ხელისუფლება სხვა რამეში ატრიალებს,—განაცხადა კახა ძაგანიამ.

მისივე ინფორმაციით, თუ ყვარლის საარჩევნო კომისიის წევრებს ხელფასები უახლოეს პერიოდში არ ჩაერიცხებათ, „ლეიბორისტები“ იმ დაწესებულებების პიკეტირებას მოახდენენ, რომლებსაც ხელფასების გაცემა ევალებათ.

ძაგანიას განცხადებით, კომისიის წევრის ხელფასი 200 ლარს შეადგენს.

## საიდან აქვს აფხაზურ კომპანიას საქართველოს კოდი?

**საპარლამენტო** უმცირესობის წევრი, ოპოზიციური ფრაქცია „ძლიერი საქართველო — ქრისტიან-დემოკრატების“ წარმომადგენელი პაატა დავითაია გენპროკურატურას აფხაზეთში უკანონოდ მოქმედი მობილური კავშირგაბმულობის კომპანია „აკუაფონის“ წინააღმდეგ საქმის აღძვრის მოთხოვნით მიმართავს.



პაატა დავითაია და გია ცაგარეიშვილი აცხადებენ, რომ კომპანია არაღიარებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს სიხშირით 282-067 ჯეოთი სარგებლობს. დავითაიას თქმით, სიხშირეზე საქართველოს კავშირგაბმულობის მარეგულირებელ კომისიას აუქციონი არ ჩაუტარებია და შესაბამისად, ლიცენზია არ გაუცია.

— „აკუაფონი“ საქართველოს კანონმდებლობის გვერდის ავლით მუშაობს აფხაზეთის ტერიტორიაზე და სარგებლობს საქართველოს კოდით. ჩვენ გვაინტერესებს, საიდან აქვს აფხაზურ კომპანიას საქართველოს კოდი. კომპანია რეგისტრირებულია ბერმუდის კუნძულებზე. კომპანიის მფლობელის შესახებ ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, ის დანიის მოქალაქეა. ამ ფაქტთან დაკავშირებით უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და დაიწყოს გამოძიება, — განაცხადა პაატა დავითაიამ.

## ირანელები ქარის ელექტროსადგურებს აგვიშენებენ

**ამერიკული** „ქარიდანის“ შემდეგ, საქართველოში ქარის ელექტროსადგურის მშენებლობით ირანული კომპანია დაინტერესდა.

სადგურის მშენებლობის შესაძლო ადგილად გორის რაიონის სოფელი სკრა განიხილება; სიმძლავრე, დაახლოებით, 20 მეგავატი იქნება.

პროექტის განხორციელების შემთხვევაში, საქართველოს ენერგეტიკაში ეს პირველი ირანული ინვესტიცია იქნება.

ამასთან, ირანული კომპანია გურიაში ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შესაძლებლობასაც განიხილავს.

რაც შეეხება „ქარიდანს“, რომელიც ელექტროსადგურის მშენებლობას თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე გეგმავდა, კომპანიამ დროებით საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკებები შეწყვიტა.

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი

## ჩვენი ბიბლიოთეკა: ახალი თარგმანი

— **მე** მღვდელ-მონაზონი გაბრიელი ვარ. ჩემს პირველ სხეულში სიყვარული არა მქონია, ამიტომ როგორც კი სხვა სხეულში მოვხვდი, დავდექი და მარადისობის მქონებელ სამყაროში დავუწყე ძებნა, რადგან მარადისობა შეესაბამება სიყვარულს. ეს ჩემი ბეჭდის ლურჯად ფერის ცვლამ მიჩვენა, მაგრამ ამან სიკვდილს ვერც გადამარჩინა. ახლა უკვე ვიცი, რა განსხვავებაა ქრისტესა და ჩვენ შორის. სხვაობა სიკვდილშია. ეს ორი სხვადასხვა სიკვდილია.

რა გაგებით-მეთქი, გაოცებულმა ვკითხე სიზმარში.

— ის მარადისობისთვის აღდგა, ჩვენ კი სიკვდილის შემდგომ ჩვენი მომავლისკენ სვლას განვაგრძობთ.

— ეგ რას ნიშნავს?

— ჩვენ ჯერეთ კიდევ ვერ ვისწავლეთ, როგორ უნდა ავირჩიოთ სწორი მიმართულება მარადისობის ვერტიკალზე. როგორც საღვთო წერილი ამბობს, „ვისაც თვალები აქვს, ის ხედავს“, ჩვენ კი ვერა ვხედავთ, სად უნდა გავუხვიოთ. ჯერ არ მოვმწიფებულვართ. ჩვენი სხეული, პირველი სხეული, არასაკმარისად არის განწმენდილი. და ეს აისახება ჩვენს სხვა სხეულზე. ეგების ერთხელ, უკეთუ განვიწმენდთ იმ პირველ სხეულს...

— შენ რა დაგემართა?

— სივრცობრივად ბოლო, ოღონდ მარადისობაში ჩაძირულ კოსმოსში შევეხეტე, სადაც არანაირი დრო-ჟამი არ არის, სადაც ნამდვილად ვერ გადაურჩები სიკვდილს, რადგან მარადისობა იქ დრო-ჟამს არა კვეთს, იქ ხომ დრო-ჟამი არ არის, ამიტომ იქ არც ადამიანის სიცოცხლისთვის საჭირო გარემო და პირობებია. ასეთ ადგილას იმას ვერ იპოვი, რასაც „ღვთის ტარიგის ფარეხი“ ვუწოდეთ. არც უნდა ეცადო, ამაო შრომაა, ტყუილად იფაფხურებ...

ამის თქმისთანავე ეშმაკმა მონაზვნის ანაფორა განიძარცვა და წამოდგა, რათა ლოგინიდან რაღაცა აეღო. ის კვლავ მხოლოდ ერთი იყო, მეორე კი, საწოლზე ჩამომჯდარი, გაქრა. იქ მარტო ვიოლინო და ხემიღა ეწყო. როცა გამომეღვიძება, ნეტავი ამ ვიოლინოსა და ხემს ჩემს საწოლზე ისევ თუ მოვიხილავ-მეთქი, გავიფიქრე სიზმარში.

— ახლა მესამე ვარიანტის ჯერია, — განაგრძო ეშმაკმა, — კოსმოსის ამ მოდელს უსაკუთრესი, საგულისგულო მნიშვნელობა აქვს შენთვის. სამყაროს სიმძიმის ცენტრები თავდაპირველად განაწილებული იყო თანაბარზომიერად, მატერიის სიმკვრივე სულ მცირე იყო. თუმცა დაიწყო შეკუმშვა, კონტრაქცია, და როს ეს თვითშედედებადი სამყარო სიმკვრივის მაქსიმუმს მიაღწევს, კვლავ დაიწყება უსასრულობამდე გაფართოება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სუნთქავს დროც და არა მარტო სივრცე! დროც ფართოვდება და იკუმშება, მამიკუნა, დაფიქრდი ამაზე. დრო კონვერტირდება. ის თავის თავსა ჭამს. თუ იცი, რა ჩნდება იმ მომენტში, როცა დრო უსასრულოდ გაფართოებულია და ჯერ შეკუმშვა არ დაუწყია? რა ხდება და, ის დრო წამიერად მარადისდება, მარადისობა ხდება! ამრიგად, აქ ჩვენს განკარგულებაშია არა მარტო დრო და მარადისობა, არამედ სივრცეც. აი სწორედაც აქა ხდება ნამდვილი დიდი აფეთქება! ეს კი იმას ნიშნავს, რომ აფეთქებისას შენ, შენი სხვა სხეულისგან ადევნებული, აღმოჩნდები ძალიან, ძალიან შორს, მაგრამ მერე, თუ რომ შენს განკარგულებაში საკმარისი დროა, უკან დაბრუნებას მოასწრებ, სივრცისა და მარადისობის შეკუმშვას გამოყოლილი (არ დაგავიწყდეს, გაიხსენე, რომ ორივე სუნთქავს, სივრცეც და მარადისობაც). და იცი, რა იქნება მაშინ?

— რა?

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ“ № 100-131.

— მაშინ დაგიბრუნდება შენი სხვა სხეული და შენს პირველ სხეულს შეხვდება. და იმ წუთიდან უკვე შეგეძლება იმის მტკიცება, რომ სხვა სხეული არსებობს! შეგეძლება თქმა: ჩემს სხვა სხეულს სიკვდილისგან გადარჩენის ბედნიერება სამყაროს მხოლოდ ამ მესამე ნაირსახეობაში ექნებაო. მაგრამ დაუფიქრდი, აქვს კი აზრი ასეთ ბედნიერებას? საკუთარ თავთან შეხვედრას? უკეთუ ეს ისეა, როგორადაც უნდა იყოს ამდაგვარ სისტემაში, სადაც ცხონების იმედი არ უნდა გვქონდეს. მაშ, რა უნდა ვუყოთ, სად უნდა გადავკარგოთ ჩვენი სხვა სხეული ისეთნაირად, რომ აღარასოდეს არ შევიხვედროთ? თუკი ისეთ ადგილს მივაგნებდი, სადაც საკუთარი თავისგან გავიქცეოდი, ამას უკვე დიდი ხნის წინათ ვიზამდი! ამისავე თქმა შეიძლება შენზედაც!

— ვშიშობ, რომ არ შეიძლება. უკეთუ ჩვენი სხვა სხეულები ის უცხოპლანეტელები არიან, ვის არსებობასა თუ არარსებობაზეც საუკუნეობით ვიმტვრევთ თავს, უკეთუ ჩვენი სხვა სხეულები სამყაროში თავიანთი ახალი „აწმყო“-სა და წყლის წვეთების საძებნელად მიილტვიან, იქნებ ისეც მოხდეს, რომ ამ სამყარომ, რომელიც მუდმივად და სულ უფრო მზარდი სიჩქარით ფართოვდება, — ისინი, ჩვენი სხვა სხეულები, ჩვენგან იმდენად შორს წაიღოს, რომ ვეღარ შევძლოთ ურთიერთკავშირის შენარჩუნება აზრების მეშვეობითაც კი, ჩვენი აზრი უკვე ვეღარასოდეს ვერ დაეწევა იმათ, და ჩვენც ვეღარ შევძლებთ იმის დადგენას, გვაქვს თუ არა სხვა სხეული, ანუ, სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, არიან სამყაროში უცხოპლანეტელები თუ არ არიან...

— საოცრებაა! — შესძახა „გოგონამ“. — აი თურმე რა გეიმედება. სამყაროში გასაქცევად შენი მამოძრავებელი ძალა საკუთარ თავთან შეხვედრის შიში ყოფილა, უკეთეს რასმე ვერ მოიგონებს კაცი. იმედოვნებ, რომ სხვასხეულმოსილი ვერ შეხვდები შენს პირველ სხეულს. ნეტავი თუ იცი, რას ნიშნავს შენი პირველი სხეულის შეხვედრა შენსავე სხვა სხეულთან?

— რას ნიშნავს? ძალიან მინდა შენი აზრის გაგება.

— ასეთ შეხვედრას თქვენს საღვთო წიგნებში იესო განკითხვის დღეს უწოდებს, ხოლო ბუდა რეინკარნაციას. აქედან გამომდინარე, ვამტკიცებ, რომ ნამდვილად არ ისურვებდი შენი სხვა სხეულის შენსავე პირველ სხეულთან შეხვედრას, ხომ აგრეა? ანდა ამ შეხვედრას რაც შეიძლება შორს გადასწევდი, გააჭიანურებდი დროში. მართალს არ ვამბობ? ის შეხვედრა, ცხადია, თავზარს დაგცემდა. აბა, გაიხსენე! სწორს არ გეუბნები? თვითონ იესომაც ძლივს გაუძლო ამ ამბავს. გაიხსენე, რა უთხრა მარიამ მაგდალელს: „ნუ შემეხები, რადგან ჯერ კიდევ არ ავსულვარ მამაჩემთან...“ იესო რომ იესოა, იმასაც კი გაუძნელდა თავისი ორი სხეულის ალაგმვა, როცა ისინი ერთად აღმოჩნდნენ ერთხანს. ისუსტა!

— მაინც რა დასკვნა უნდა გამოვიტანო მაგ შენი ნათქვამიდან? — ვუთხარი და საწოლზე ჩამოვჯექი.

— შენდა საბედნიეროდ, არც ერთი ეს მოდელი ნამდვილი არ არის. არც ერთი არ შეესაბამება კოსმოსში ამჟამინდელ მდგომარეობას.

— აბა, ნამდვილი რომელიღაა? — ვკითხე და ისე დავიძაბე პასუხის მოლოდინში, კინაღამ თვალები არა ვჭყიტე.

— ნამდვილი მეოთხე მოდელია, რომელიც არც დასიზმრებია შენს ასტრონომიას.

— მერედა, რა არის იქ, იმ ნამდვილში?

— მაგას ვერ გეტყვი. ეგ ნამდვილი და უტყუარი სულაც არ მანაღვლებს. თავად გაიგებ, რაც არის.

— როდის?

— როგორც კი მოკვდები, — წერტილი დასვა ეშმაკუნა ბაფომეტმა, კვლავ დაისრუტუნა სამიდან ერთ-ერთი ცხვირით და კარებისკენ წავიდა. ცოტას კოჭლობდა. რაც უფრო მემანძილებოდა, ხემი თანდათან ემრუდებოდა და




ბოლოს კუდად ექცა, ვიოლინო კი გაუუკანალდა. კარებთან რომ მივიდა, მომიტრიალდა და დააწონა:

— გაითვალისწინე, რომ მე კი არ გესიზმრე, შენ მესიზმრე.

### 3. თავი იმათთვის, ვისაც ფიქრი არ უყვარს

— **რას** იტყვი, მზეთუნახავი და ურჩხული ყაბულს ხომ არ იქნებიან, რომ უახლოეს სამშაბათს ვახშმად მეწვიონ? — მკითხა როგორღაც პარასკევს თეოდორ ილიჩ ჩეშლიარმა.

ლიზას, რომ გადავეცი, ასე და ასე-მეთქი, თქვა:

— ჩემთვის მაინცადამაინც მთლად შესაფერისი დრო ვერ არის, ყველაფერი შენზეა დამოკიდებული, შენ გინდა წასვლა? რამდენადაც მახსოვს, შენა და მაგ თეოდორს დიდი სიყვარული არ უნდა გაკავშირებდეთ. ნეტავი ვისი ჩვენება უნდა ჩვენთვის?

— ალბათ, თავისი გულის ვარდი უნდა წარმოგვიდგინოს. ცოლის მოყვანას აპირებს, და რაღაც ნიშნობასავით გამოუვა. ასაკმცირე ზვიგენის ხორცი და რომელიღაც საგანგებო ღვინო შეუკვეთია რესტორანში.

— ცოტა გვიან ხომ არ არის მაგის ქორწინება?

როცა დანიშნულ დღეს თეოდორის ბელგრადულ ბინაში გამოვჩნდით, ყველაფერი უკვე მზად იყო, სუფრა გაშლილი დაგვხვდა, ოღონდ ჯერეთ ჰორიზონტზეც არა ჩანდა ის არსება, ვინც ჩვენთვის სიურპრიზი უნდა გამხდარიყო. თეოდორი დიდებულად გამოიყურებოდა,



მხრებზე აჭიმები გადაეჭიმა და ჩიბუხს ეწეოდა, რომლის ბოლიც ოთახს დარიჩინიანი ვაშლის მსუბუქი სუნით ავსებდა. თეოდორი ნერვიულობდა, ხოლო ბოლოსა და ბოლოს შემოსასვლელი კარის ზარის ხმა რომ გაისმა, ოთახში ქალბატონი შემოიყვანა, რომლის დანახვამ ლიზაც შეაცბუნა და მეც. თითოეული ჩვენგანი სულ სხვადასხვა მიზეზით შევცბით. ნანინანატრ სტუმარს თეთრი კაბის ზემოდან კანაფის ქსოვილის გრძელი შავი ჟილეტი ეცვა, და თეთრად მოქათქათე კბილების სიუხვე კიდევ უფრო მომხიბლავს უხდიდა ღიმილს. კაბაზე ქამრად ნაირფერზოლიანი მამაკაცის ჰალსტუხი ერტყა.

— მადმუაზელ ლიდია საკაჩის წარმოდგენის პატივი მაქვს, — დაიწყო თეოდორმა, მაგრამ ჩემდა გასაკვირად, ლიზამ სიტყვა გააწყვეტინა და, ცოტა არ იყოს, უკმეხად უთხრა:

— წარმოდგენა აუცილებელი არ არის, ისედაც ვიცნობთ ერთმანეთს.

და იმწუთასვე, ახლა უკვე ლიზას გასაკვირად, ლიდიამ ეგრევე მომახალა:

— ჩვენც ვიცნობთ ერთმანეთს. ერთ სკოლაში ვსწავლობდით.

— სამივენი! — დასძინა თეოდორმა და ლიდიას ჰკითხა: — ქალები საიდანღა იცნობთ ერთმანეთს? რაზედაც ლიდიამ ცივად მიუგო, მე და ლიზა ერთმანეთს ჩინეთში გათხრების დროს შევხვდითო.

— ყველაფერს ველოდი, მაგრამ ნამდვილად არ მეგონა, თუ დღეს საღამოს აქ შეგხვდებოდი. ისე, საერთოდ, ფრანგი მეგონე, — დასძინა ლიზამ. და მზერა ლიდიას თმაზე შეაჩერა.

ჩემი მეგობრის სტუმარ ქალს კვანძად შეკრულ თმაში უჩვეულო ჩინური ჩხირი ერჭო, როგორ ჩხირსაც ჭამისას იყენებენ. ჩხირი წითელი ხისა იყო, გამსხვილებული ზედა ნაწილი ისე ჰქონდა გამოყვანილი, კაცს პეპელა ეგონებოდა!

მაგიდას რომ მივუსხედით, თეოდორმა იისფერი ყინულოვანი ღვინო დაგვისხა, რომელსაც ვარდის სურნელი დაჰკრავდა, შეჭირხლული სასმისი ასწია და საზეიმოდ წარმოთქვა:

— ამ საღამოს ჩემთვის ერთი ფრიად მნიშვნელოვანი რამ უნდა გაუწყოთ. მადმუაზელ ლიდიას ცოლობა ვთხოვე, და ამ საღამოს პასუხს შევიტყობთ.

ეს პასუხი ჩვენი სტუმრობის განმავლობაში მეორე შოკი იყო, რაც მალევე კი არა, ვახშმის დამთავრების წინ მოხდა, რომელი ვახშამის დროსაც არც ის გვესმოდა, რა უნდა მომხდარიყო და არც სინამდვილეში რა ხდებოდა. ოთახში დაძაბულობა სუფევდა, ღვინიდან, რომელსაც ვსვამდით, თითქოსდა ორთქლდებოდა და თავს დაგვტრიალებდა მარილის, შაქრის, ლიმონისა და აბზინდის ენერგია, ყოველივე იმის ენერგია, რის ერთობლიობაცა და შეხამებაც აკეთილშობილებს ღვინოს. თუმცაღა, იმ საღამოს ვერცრა ეს ენერგია ხასიათს ვერ გვისწორებდა, სახადელზე ვერ ვიყავით. სურნელში გადასული ყველა ეს ენერგია თავს კი დაგვტრიალებდა, მაგრამ თითქოს თავის გამომჟღავნებას ვერ ბედავდა, და ამიტომაც ღვინო ვერ გვახალისებდა. ვერც ერთი ვერ მივმხვდარიყავით, რით უნდა გაგველვიძებინა კბილი, რა უნდა გვეჭამა. ჩვენი ლაპარაკი დანისა და ჩანგლის წვერზე იყო ჩამოკიდებული...

ბოლოს, ლიდია აძრახდა, თან ფიქრიანად ატრიალებდა ხელში სასმისს:

— სანამ გიპასუხებდე, ჩემო ძვირფასო თეოდორ, საჭიროა, რომ ჯერ ზოგი რამ შეიტყო ჩემს ცხოვრებაზე, მეტადრე იმ პერიოდზე, როცა ერთმანეთისგან თვალითაც შორს ვიყავით და გულითაც, როცა წლობით არ ვჩანდით არც ამ ქალაქში და არც ამ ქვეყანაში. შესაძლოა, სუყველას ერთად ხაფანგიც დაგვიგე, რადგან ჩემს აღსარებას აქ დამსწრე მოწმენიც მოისმენენ, მაგრამ რას ვიზამთ, მეტი გზა არ არის... დაწყებით კი იმ შორეული დღეებიდან დავიწყებ, როცა ერთად დავდიოდით სასწავლებელში, ბელგრადის ერთ-ერთ გიმნაზიაში ტაშმაიდნის მახლობლად და როცა მე და შენ „გართობა“ დავიწყეთ, როგორც ამას მაშინ ეძახდნენ. შენი არ ვიცი, მე კი არცროდის არ დამავიწყდება ის საციგურავო მოედანი, სადაც პარკის ყინულოვან ჰაერზე ერთმანეთს ცეცხლს ვუკიდებდით უთვალავი დამდაგველი კოცნით და მუსიკის ხმა აღარც კი ჩაგვესმოდა ხოლმე. ყველაფერი ჩინებულად დაიწყო და შენც კარგად იცი, გიმნაზიამ ორივენი დაგვიმახსოვრა როგორც ერთ-ერთი ის იდეალური წყვილი, როგორიც სუყოველ თაობაში მხოლოდ ერთხელ გვხვდება. მერე შენ იტალიაში წახვედი, ძალუაშენთან, მე კი მიმატოვე. ქალწულობა მაშინ მხოლოდ იმიტომ არ დამაკარგვინე, რაკი საოცრად ეჭვიანი იყავი და გეშინოდა, რომ უშენოდ თავს ავიშვებდი. დაშორებით კი დავშორდით, მაგრამ გვჯეროდა, რომ ისევ მალე შევხვდებოდით ერთმანეთს. გეხსომება, მაშინ ყველგან ერთი სიმღერა ისმოდა, რომელიც სუყველამ ვიცოდით:

ხუთს რომ ხუთი დააკლდება, მოდი
და გულიდან ჩამომხსენი ლოდი,
ხუთს რომ ხუთი დააკლდება, მოდი,
ვერ დაგიწყებ უსასრულოდ
ლოდინს...

მე მართლაც მოვედი, ხუთს რომ ხუთი აკლდა, შენ კი არ მოსულხარ. შენ, ჩემო ხატუნიავ, დაახლოებით ოთხი ათასი წელიწადი დაიგვიანე. არ ვიცი და სულაც არ მინდა იმის ცოდნა, რა იპოვე იტალიაში, ხოლო მერე კიდევ სადმე, მაგრამ რახან ბოლოს ხელი მაინც მთხოვე, თავს მოვალედ მივიჩნევ, რომ ყველაფერი წვლილად გაუწყო, რაც თავს გადამხდა ჩვენი ურთიერთობის ამ პაუზაში, რაც აგრერიგად გაჭიანურდა.

სუფრაზე დუმილი ჩამოვარდა, იმაზე ბევრად უფრო ღრმა, ვიდრე ჩვენი მიმოგონება იყო, ერთგზის მხოლოდ ლიზას დანა გაჩხაკუნდა. მერმე ლიდია კვლავ აძრახდა, და რაღაც დაუჯერებელი რამ მოვისმინეთ. ის ნელა, მკაფიოდ ლაპარაკობდა და ხან ერთ თვალს უმიზნებდა თეოდორს, ხან მეორეს, სახის წინ ჩანგალი რომ ეჭირა, იმის კბილებს შორის აპარებდა მზერას.

— როგორაც სუყოველ ცხოვრებაში ხდება, ჩემს ცხოვრებაშიც ბევრი მომსვლელ-წამსვლელი ყოფილა. ზოგნი ნაკლებად, ზოგნი უფრო ღრმად მეჭრებოდნენ სხეულში. სუყველა ამ სხვა, უცხო სხეულს, როგორც რომ სუყველა მომსვლელ-წამსვლელს, მეტი ან ნაკლები გულითადობით ვიღებდი. სუყველანი მეტად ან ნაკლებად მიყვარდნენ.

გადმოაენა
**გურამ გოგიაშვილმა**

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რისთვის სჭირდება სააკაშვილს ახალი ჯარისკაცები?



**საქართველოს პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ გაზარდა შეიარაღებული ძალების რიცხოვნობა — 29-დან 37 ათასამდე. პარლამენტარებმა, მათ შორის მცირერიცხოვანმა ოპოზიციონერებმაც, მიხეილ სააკაშვილის ინიციატივას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი იმასთან დაკავშირებით, რომ „საქართველოს თავზე გამოჩნდა ახალი სერიოზული დაშინებანი“.**

ამ დღეებში „იზვესტია“ იტყობინებოდა, რომ საქართველოს არმია ზრდის თავის წლიურ ბიუჯეტს დამატებით 200 მილიონზე მეტი დოლარით. და შედეგად თავის განკარგულებაში მიიღებს თითქმის მილიარდ დოლარს — ასტრონომიულ თანხას ადგილობრივი საზომით. მორიგი გაზრდა შეიარაღებისა პირდაპირ არის დაკავშირებული ახალი სპეციალისტების მომზადებასთან „დეფიციტური მიმართულებების“ საჭიროებისათვის. ეს რიგით მესამე გაზრდაა არმიისა უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში.

ხელისუფლება ფიქრობს: დამატებითი ფული, რასაც სამხედრო უწყება მიიღებს, მნიშვნელოვანწილად წავა ავიატორებისა და მეზღვაურების მომზადებისათვის. თავდაცვის მინისტრის მოადგილის ბათუ ქუთელიას სიტყვებით, „განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შეიარაღებულ ძალებში მაღალკვალიფიციური პერსონალის მოზიდვას“.

სახსრების ნაწილი დაიხარჯება საბრძოლო მასალების შეძენაზე, რეზერვისტების მომზადებაზე, სწავლებათა მოწყობაზე, ტექნიკის მოდერნიზაციაზე და ერაყსა და ავღანეთში სამხედროების გაგზავნაზე. აგრეთვე, თბილისის გაზეთების ცნობით, ავიაბაზების ხელახლად გადაიარაღებაზე, რეზერვისტების მომზადების ცენტრის მშენებლობაზე და უკვე არსებული სამხედრო ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქციაზე. ყველა ეს ობიექტი მოდერნიზებული უნდა იყოს „ნატოს სტანდარტების დონემდე“.

მაგრამ სამხედროების ზრდის მთავარი მიზეზია „შინაგანი უშიშროების საფრთხე“. კერძოდ კი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის გამწვავება, აგრეთვე დაძაბულობა ქართულ-რუსულ ურთიერთობებში.

ზოგიერთი მონაცემებით, სააკაშვილი აპირებდა სამხედრო ბიუჯეტის გაზრდას მილიარდ დოლარამდე ჯერ კიდევ შარშან. მაგრამ ხელი შეუშალეს საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებმა. „სიღარიბესთან ბრძოლის“ წინასაარჩევნო კამპანიამ გეგმების რეალიზაცია გადაიტანა უფრო მოგვიანებით ვადებზე.

დღეს არმია — პრეზიდენტ სააკაშვილის ყველაზე საიმედო დასაყრდენია. სამხედროებთან შეხვედრის დროს, ეს კი ხდება თითქმის ყოველ თვე, ის მუდმივად იმეორებს ერთსა და იმავე ფრაზას: „როდესაც ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში, არმიას არ ჰქონდა საბრძოლო მასალები. სურსათი ეყოფოდა მხოლოდ დღენახევრისათვის. აი შეხედეთ, როგორი სიძლიერე გვაქვს დღეს ჩვენ!“.

საქართველოს შეიარაღებულ ძალებს არ შეუძლიათ დაიჩივლონ არც მატერიალურ უზრუნველყოფაზე, არც შეიარაღების დეფიციტზე. და რაც მთავარია — უყურადღებობაზე. აი, ამჟამადაც თითქმის ორი მილიონი დოლარი ახლახან გამოყოფილი სახსრებიდან მოხმარდება ჯარისკაცებისა და ოფიცრების სამედიცინო დაზღვევას. სამხედროებიც არ რჩებიან ვალში. ოპოზიციონერების სიტყვებით, გასული წლის 7 ნოემბრის სამშვიდობო დემონსტრაციის მკაცრ დარბევაში მონაწილეობდნენ არმიის ნაწილებიც.

რისთვის სჭირდება სააკაშვილს ახალი ჯარისკაცები? ხომ არ მოწმობს ეს იმას, რომ საქართველოს ხელისუფლება ემზადება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში „გადამწყვეტი ნაბიჯისათვის“? თბილისში ექსპერტების უმრავლესობა, ვისაც „იზვესტიამ“ მიმართა ამ შეკითხვით, უარყოფითად უპასუხებდნენ. მათი აზრით, მიუხედავად „ასტრონომიული ჩარიცხვებისა“, ქართული არმია ამჟამად მზად არაა მასშტაბური ოპერაციებისათვის „ამბოხებულ რეგიონებში“. და, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ მოსკოვმა აშკარად აგრძნობინა: თუ თბილისი შეეცდება ძალით დაიბრუნოს სოხუმი და ცხინვალი, მას საქმე ექნება რუსეთის ჯარებთან, რომლებიც დისლოცირებული არიან რეგიონში. ეს კი უკვე სხვა წონითი კატეგორიაა.

### ძალთა განაწილება „კავკასიის ფრონტზე“

სახმელეთო ჯარები. შედგება ხუთი ქვეითი ბრიგადისა და რამდენიმე ცალკეული ბატალიონისაგან. თითქმის ყველა სამხედრო მოსამსახურემ გაიარა სწავლება ამერიკული პროგრამით და „წრთობა“ ერაყსა და კოსოვოში.

საარტილერიო ბრიგადა, ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი, ქვეითი ჯარის ბატალიონის 2 განყოფილება, რადიოელექტრონული დაზვერვის ცალკეული ბატალიონი, ცალკეული საინჟინრო ბატალიონი, ცალკეული სამედიცინო ბატალიონი.

**ტანკები:** ტ-72 სხვადასხვა მოდიფიკაციისა — 165 ერთეული; ტ-55 ამ - 40 ერთეული.

**დაჯავშნული მანქანები:** ბმპ-1, ბმპ-2, ჯავშანტრანსპორტიორი — 80, ჯავშანავტომობილი „კობრა“ — 187 ერთეული.

**ლულიანი არტილერია:** 218 ერთეული.

**ზალპური ტიპის სარაკეტო სისტემები:** 42 ერთეული.

**ნაღმსატყორცნები:** 180 ერთეული.

**თვითმფრინავები:** 10 მოიერიშე თვითმფრინავი სუ-25კმ „მიმინო“ (მოდერნიზირებული ისრაელის ფირმაშიძ; ორი მოიერიშე თვითმფრინავი სუ-25უბ; 6 - სასწავლო საბრძოლო ლ-39; 9 — სასწავლო-საბრძოლო ლ-29;

**შვეულმფრენები:** „მი“ სხვადასხვა მოდიფიკაციისა — 28 ერთეული. ბელ-212-6 ერთეული.

**სამხედრო საზღვაო ფლოტი:** სარაკეტო კატერი „დიოსკურია“, სარაკეტო კატერი „თბილისი“, საარტილერიო კატერი „ახმეტა“, და სხვა.

### აფხაზეთის შეიარაღებული ძალები

სახმელეთო ჯარები. რიცხობრივი შემადგენლობა ხუთი ათას კაცამდე, რომლებიც გაერთიანებული არიან 3 სამხედრო ოლქში. 3 მოტომსროლელი ბრიგადა. ყოველ 3-4 მოტომსროლელ ბრიგადაში ერთი სატანკო ბატალიონია. მშვიდობიან პერიოდში ყველა ბატალიონი შემცირებულია 40-50 პროცენტით. იარაღის ქვეშ შეიძლება დადგეს კიდევ 25 ათასი რეზერვისტი. საარტილერიო პოლკი, სასწავლო-სამხედრო პოლკი, საინჟინრო ბატალიონი, სამთო მსროლელი ბატალიონი და სხვა შეიარაღება.

### სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალები

მოქმედ არმიაში 3 ათასი კაცია, 15 ათასი — რეზერვში.

შეიარაღებაში იმყოფება 87 ტანკი, 95 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი და სხვა შეიარაღება.

### რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარები

ოლქის ტერიტორიაზე დისლოცირებულია 58-ე საერთოსაჯარისო არმია, რომლის შემადგენლობაშიც შედის 42-ე და 19-ე მოტომსროლელი დივიზია — 135 ცალკეული მოტომსროლელი პოლკი, 5 ცალკეული მოტომსროლელი ბრიგადა და სხვა მრავალი.

ამას გარდა, ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის ტერიტორიაზე განლაგებულია 20-ე მოტომსროლელი დივიზია, 7-ე საჰაერო-სადესანტო დივიზია, ცალკეული შვეულმფრენების პოლკი და ესკადრილიები, საზენიტო-სარაკეტო ბრიგადები და პოლკები და სხვა.

ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის თანაშემწემ ინფორმაციისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა დარგში ვიცე-პოლკოვნიკმა ანდრეი ბობრუნმა სამხედრო საიდუმლოება არ გასცა. მან თქვა, რომ არა აქვს უფლება, დაასახელოს ოლქის საშტატო რიცხოვნობა. „შემიძლია მხოლოდ განვაცხადო, რომ იგი საკმარისია მის წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად“.

ალექსანდრე იაშვილი

ИЗВЕСТИЯ

# უშიშროების საბჭომ თბილისს დაუთმო

**გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სასწრაფო სხდომის მოწვევის შესახებ „საქართველოს საკითხთან დაკავშირებით“. ამრიგად, უშიშროების საბჭოს წევრებმა დადებითად უპასუხეს დეპეშას თბილისიდან, რომელიც გაეროში გაიგზავნა ხუთშაბათს და რომელშიც საქართველოს მხარე მოითხოვდა გამოეტანა უშიშროების საბჭოს განსახილველად მის საჰაერო სივრცეში რუსეთის თვითმფრინავების შემოჭრა.**

წერილში მოყვანილ ინციდენტს ადგილი ჰქონდა 9 ივლისს, იმ საღამოს, როდესაც თბილისში ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი. საღამოს 9 საათისათვის სამხრეთ ოსეთის ცაზე 4 რუსული გამანადგურებელი გამოჩნდა: მათ გადაკვეთეს საზღვარი როკის ხეობის რაიონში, იფრინეს ულიარებელი რესპუბლიკის ტერიტორიის თავზე და 40 წუთის შემდეგ დაბრუნდნენ უკან. ფრენის ფაქტი უმალვე დაადასტურა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც განაცხადა, რომ საჰაერო დაზვერვა მოხდა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ვითარების დასაზუსტებლად, სადაც იყო ქართული ფორმირებების შეჭრის ალბათობა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის



მოქმედებას უწოდა „აგრესიის ცინიკური გამოვლენა მთელი მსოფლიოს გაერთიანების წინაშე“ და გამოიწვია მოსკოვიდან თავისი ელჩი კონსულტაციებისათვის. საგარეო უწყებას მხარი დაუჭირა პარლამენტმა: დეპუტატებმა მოუწოდეს საერთაშორისო გაერთიანებასა და პარტნიორ ქვეყნებს მკაცრი შეფასება მისცეს რუსეთის აგრესიულ მოქმედებებს“.

უშიშროების საბჭო „რუსეთის აგრესიას“ თავის შეფასებას მისცემს 21 ივლისს, სწორედ ამ დღისათვისაა დანიშნული რიგგარეშე სხდომა. როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან იტყობინებიან, სხდომა გაიმართება დახურულ რეჟიმში. მოხსენებას გააკეთებს გაეროსთან მუდმივი წარმომადგენელი ირაკლი ალასანია, რომელიც ნიუ იორკში გაფრინდა გასულ პარასკევს. „სპეციალური სხდომის ოპერატიული მოწვევა ცხადია მიუთითებს გაერთიანების უკიდურეს შეშფოთებაზე რუსეთის მხრიდან უპასუხისმგებლობის გამოჩენასთან დაკავშირებით“, მიაჩნიათ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში.

აღვნიშნავთ, რომ ამჟამად უშიშროების საბჭოს ექსპერტების განსახილველად შეტანილია რუსეთის რეზოლუციის პროექტი ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონებში სიტუაციის შესახებ. დოკუმენტი მოუწოდებს საქართველოს, შეწყვიტოს სამხედრო პროვოკაციები ულიარებელ რესპუბლიკებში და დაუბრუნდეს კონფლიქტის მოწესრიგების მშვიდობიან საშუალებებს. თუმცა პროექტის შემდგომი ბედი ჯერჯერობით უცნობია. ვის მხარეს დაიკავებს სინამდვილეში უშიშროების საბჭო, ჩვენ გავიგებთ მომავალ ორშაბათს.

უკვე ამ კვირაში საქართველოს დიპლომატია შეეცდება მიიღოს მხარდაჭერა კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი მოთამაშის მხრიდან მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე — ევროკავშირიდან. გასულ პარასკევს ევროკავშირის წარმომადგენელმა საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის დარგში ჰავიერ სოლანამ სატელეფონო საუბარში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან ეკატერინე ტყეშელაშვილთან უკვე დაგმო რუსეთის შემოჭრა. დღეს და ხვალ ქალბატონი ტყეშელაშვილი შეეცდება მიაღწიოს ანალოგიურ შედეგს ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის საფრანგეთის ხელისუფლებისაგან. მინისტრი ორდღიანი ვიზიტით მიემგზავრება პარიზში, სადაც თავის ფრანგ კოლეგასთან ბერნარ კუშნერთან, საფრანგეთის პრეზიდენტის დიპლომატიურ მრჩეველთან ჟან-დავიდ ლევიტთან და ეროვნული თავდაცვის გენერალურ მდივანთან ფრენსის დელონთან ერთად განიხილავს ოსურ-აფხაზურ საკითხს.

ალექსანდრ სტარკოვი

Утро.ru

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველო დანის პირზე

**საქართველოსა და რუსეთს შორის დაძაბულობამ გასულ კვირას მიაღწია დიდი ხნის განმავლობაში უნახავ დონეს. ცნობილი გახდა, რომ გაურკვეველი დროით გადაიდო ივლისის ბოლოსათვის დაგეგმილი საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის შეხვედრა. საქართველომ გაიწვია სამშობლოში „კონსულტაციებისათვის“ თავისი ელჩი მოსკოვიდან, ეს კი გახდა საგანგებო ვითარებათა სიგნალი.** ვადამდე ადრე შეწყვიტა თავისი ვიზიტი ლატვიაში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ეკატერინე ტყეშელაშვილი. მან გააკეთა რაც საჭირო იყო – ხელი მოაწერა ორ სამთავრობათშორისო ხელშეკრულებას და სასწრაფოდ გაემგზავრა შინ. კონცერტზე „სიმღერის დღესასწაული“ ვერ დაესწრო. ასე თუ ისე ნორმალურ სიტუაციაში მინისტრი ასე არ მოიქცეოდა.

თბილისში რუსეთის ელჩმა უარი თქვა შეხვედროდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს, რომლებსაც მისთვის საპროტესტო ნოტის გადაცემა სურდათ. უკანასკნელი 2 თვის განმავლობაში რუსეთის სამხედრო თვითმფრინავებმა მრავალგზის დაარღვიეს საქართველოს საჰაერო საზღვარი. რუსეთი კი ყოველთვის უარყოფდა საჰაერო საზღვრების დარღვევის ფაქტებს. ამჯერად რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოვიდა სპეციალური განცხადებით. იგი აცხადებს, რომ გააკეთა ეს ყველაფერი, რათა „გააციოს გახურებული თავები“, და „სიტუაციის გამორკვევისათვის“.

საქართველო ითხოვს, რომ ეს ინციდენტი, რომელსაც იგი აფასებს როგორც აშკარა აგრესიის აქტს რუსეთის მხრიდან, შეტანილი იქნეს გაეროს უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში.

ცხინვალის მახლობლად მოხდა კონფლიქტი. სამხრეთოსეთელმა პოლიციელებმა დააკავეს 4 ქართველი ოფიცერი, რომლებიც რამდენიმე საათის შემდეგ გაათავისუფლეს. თბილისის მხრიდან გაისმა: თუ დაკავებულებს წესიერად არ გაათავისუფლებთ, მათ ჩვენ თვითონ გავათავისუფლებთ. ასეთი ინციდენტები სამხრეთ ოსეთში ხდება ხშირად, მაგრამ არასოდეს მათ არ მიუყვანივართ ასეთ სახიფათო შედეგებამდე.

დაძაბული კვირის შუა პერიოდში საქართველოში ორდღიანი ვიზიტით ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი, რომელმაც მოუწოდა კონფლიქტის მხარეებს გამოიჩინონ თავშეკავებულობა, რუსეთს კი – „გახდეს ის მხარე, რომელიც მონაწილეობს პრობლემის გადაჭრაში და არა მის გამწვავებაში“. რაისმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მისი სახელმწიფო ხელს შეუწყობს საქართველოს მიერთებას ნატოსთან.

მოსკოვში სასწრაფოდ გამოძახებული მარიონეტული რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში გამოვიდა განცხადებით იმის შესახებ, რომ საქართველოს შესვლა ნატოში ვერ დაეხმარება მას აფხაზეთზე კონტროლის აღდგენაში. წინა დღით ანალოგიური სიტყვები წარმოსთქვა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა. რუსეთი და საქართველო ფაქტობრივად ომის ზღვარზე იმყოფებოდნენ. ომი არ სჭირდება არც ერთ ამ ქვეყანას. საქართველოს იმიტომ, რომ არა აქვს გამარჯვების იმედები, ვინაიდან ძალები ერთობ არათანაბარია. რუსეთს კი იმიტომ, რომ მეტად მძიმე იქნება საერთაშორისო შედეგები ასეთი ომისა. თუმცა მოსკოვმა განაცხადა, რომ მზადაა თავისი მოქალაქეების ინტერესების დასაცავად.

სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის გამწვავების მიზეზი შეიძლება უნდა ვეძებოთ კავკასიიდან შორს – ჩეხეთის დედაქალაქში. იქ სწორედ იმ დღეს, როდესაც დაირღვა საქართველოს საჰაერო სივრცე, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ჩეხეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას რაკეტსაწინააღმდეგო სარადარო სისტემის განთავსების შესახებ ჩეხეთის ტერიტორიაზე.

რამდენიც უნდა ილაპარაკოს კრემლის პროპაგანდამ, ვლადიმერ პუტინის პრეზიდენტობის წლები აღინიშნა რუსეთის მთელი რიგი მძიმე საგარეოპოლიტიკური წარუმატებლობით. მათი მიზეზია რუსეთის ამბიციების შეუსაბამობა მის საერთაშორისო რეალურ წონასთან გაეროს ფარგლებს გარეთ, სადაც მოსკოვმა მემკვიდრეობით მიიღო სსრ კავშირისაგან ვეტოს უფლება უშიშროების საბჭოში. მიუხედავად მოსკოვის კატეგორიული „არასი“, თებერვალში გამოცხადდა კოსოვოს დამოუკიდებლობა და იგი აღიარა ევროკავშირის ბევრმა წევრმა ქვეყანამ, აგრეთვე ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოხდა ის, რის დაშვებასაც რუსეთი არ ისურვებდა და რისი ვალდებულებაც მას ჰქონდა ნაკისრი. გააწბილა იგი სერბეთმაც. სერბებმა აირჩიეს ისეთი პარლამენტი, რომელიც ორიენტირებულია ევროატლანტიკური სტრუქტურების ინტეგრაციაზე და არ აპირებს კოსოვოს ბრძოლით დაბრუნებას.

მაგიდაზე და მკერდზე მუშტების ცემა იყო ამერიკის შეერთებული შტატების რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განთავსების საკითხიც ცენტრალურ ევროპაში. ბავშვური მსჯელობა თემაზე „რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა ემუქრება რუსეთს, იცვლებოდა დაშინებებით, რომ გასცემდნენ ასიმეტრიულ პასუხს“. ერთი „ასიმეტრიული პასუხი“ უკვე იყო – რუსეთის თავდაცვის მინისტრის პოსტზე გენერალი შეცვალა მენეჯერმა ავეჯის ვაჭრობის დარგში.

იმედი ვიქონიოთ, რომ რუსეთის მხრიდან იარაღის ჟღარუნი აიძულებს ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოს მოაწყოს რევიზია თავისი მეტად მომთმენი დამოკიდებულებისა რუსეთის კაპრიზებისადმი და თავისებურებებისადმი.

**ასკოლდს როდინსი**

Diena



# მხარი დავუჭიროთ საქართველოს, შევაჩეროთ რუსეთი

**თუ ვინმეს სჭირდებოდა რწმუნებანი დღევანდელი კრიზისის მნიშვნელობის შესახებ, რომელიც უდგას კავკასიის მრავალტანჯულ სახელმწიფო საქართველოს, მან ისინი უკვე მიიღო – სამხედრო სწავლებათა დაწყებით, რომელშიც მოქმედებენ ამერიკის შეერთებული შტატების ათასამდე სამხედრო მოსამსახურე.**

ოფიციალური ვაშინგტონი ამტკიცებს, რომ მეცადინეობა დაგეგმილი იყო დიდი ხნის წინათ და არაფერი მას საერთო არა აქვს საქართველოსა და რუსეთს შორის ამასწინანდელ დავასთან დაკავშირებით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პროვინციების გამო, რომლებსაც არ სურთ აღიარონ საქართველოს ხელისუფლება. მიუხედავად ამისა, ვაშინგტონს გაუჩნდა კარგი შესაძლებლობა, მხარი დაუჭიროს პროდასავლურ თბილისს მისთვის ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში.

სწავლების დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე მოსკოვმა უხეშად აღიარა, რომ გასულ კვირას გაგზავნა სამხრეთ ოსეთის ცაზე სამხედრო თვითმფრინავები, თითქოსდა იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა მიხეილ სააკაშვილის მხრიდან თავდასხმა. რუსეთი უკვე მრავალჯერ შეიჭრა საქართველოს საჰაერო სივრცეში, რითაც მხარს უჭერდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, მაგრამ პირველად უკანასკნელი წლების განმავლობაში მან აშკარად აღიარა დანაშაულის შესახებ, რაც კვალიფიცირებულია, როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უხეში დარღვევა. და ვინაიდან სწორედ ამ დროს თბილისში ჩამოვიდა ვიზიტით ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი, რათა „წაეკითხა“ დასავლეთისათვის გაგზავნილი სიგნალი: თავი დაანებეთ, ეს – ჩვენია.

მაგრამ არც შეერთებულ შტატებს, არც ევროკავშირს არა აქვს უფლება დაეთანხმონ ასეთ სიგნალებს. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, როგორც ასეთი, რუსეთს არ აინტერესებს. იგი არ აღიარებს მათ სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ, ვინაიდან ეშინია არ შექმნას პრეცედენტი საკუთარი ეთნიკური უმცირესობებისათვის კავკასიაში, მაგრამ მოსკოვი მეტადაცაა დაინტერესებული, რომ არ მისცეს საქართველოს ააშენოს პროდასავლური სახელმწიფო – აგრეთვე იმაში, რომ შეაჩეროს მისი გზა ნატოსაკენ.

დასავლეთმა უნდა გამოამჟღავნოს ასეთივე სიმტკიცე და დაეხმაროს საქართველოს, იაროს თავისთვის არჩეული კურსით.

საქართველო ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას დასავლეთისათვის, ვინაიდან დღეს რჩება დემოკრატიული ბუნტის მედროშე ქვეყნად მოსკოვის წინააღმდეგ. დიახ, თავისუფლების დროშაზე, რომელიც ფრიალებს თბილისის თავზე, არის რამდენიმე ლაქა სააკაშვილის ავტორიტარული შეცდომებისა – მაგრამ მთლიანად საქართველოს ლიდერები მიესალმებიან დემოკრატიულ ფასეულობებს. ამას გარდა, საქართველო – ეს არის ერთადერთი მარშრუტი, რომლითაც კასპიის ზღვის ნავთობი და გაზი მიდის მსოფლიო ბაზარზე რუსეთის გვერდის ავლით.

რასაკვირველია, დასავლეთი უნდა ეცადოს, იქონიოს კონსტრუქციული ურთიერთობა რუსეთთან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებთან დაკავშირებით. ამის საფუძველი ხომ არის საქართველოს სუვერენიტეტი. დასავლეთმაც უნდა გააკეთოს ყველაფერი, რათა შეაჩეროს გახურებული თავები თბილისში ძალადობისაგან. მაგრამ როდესაც რუსეთი ცდილობს საქართველოს დაშინებას, დასავლეთმა მხარი უნდა დაუჭიროს თავის მოკავშირეს.

FINANCIAL TIMES

დედამიწის ზურგზე



**ბუშის** საოჯახო ცხოვრებას მისი პრეზიდენტობის დამთავრების შემდეგ კრახს უწინასწარმეტყველებენ. მიზეზი კონდოლიზა რაისი გახდა. ცოლ-ქმარი ბუში ელოდება მხოლოდ საპრეზიდენტო მანდატის დამთავრებას 2009 წელს, რათა ოფიციალურად განაცხადონ გაყრის შესახებ. წყვილს გაყრისაგან აკავებს ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს ცოლქმრული ხელშეკრულების მოქმედების დამთავრებას მხოლოდ საპრეზიდენტო მანდატის დამთავრების შემდეგ.

* * *

**ბელორუსიის** შინაგან საქმეთა სამინისტრო „ჩხრეკს“ მთელ მინსკს: მოსახლეობის 100 პროცენტს უწყობენ დაკითხვას 4 ივლისის აფეთქებასთან დაკავშირებით. მოსახლეობის გამოკითხვაში მონაწილეობენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა ქვედანაყოფების თანამშრომლები, მათ შორის სასწავლებლების კურსანტებიც. მილიციის მუშაკები ამოწმებდნენ კვარტალების მცხოვრებთა დოკუმენტებს, მათ აინტერესებდათ, თუ რას აკეთებდნენ ისინი 4 ივნისის ღამით.

* * *

**იაპონიაში** 14 წლის ბიჭმა გაიტაცა ავტობუსი 10 მგზავრით. მგზავრების გატაცების ფაქტი იაპონიის პოლიციელებმა აღკვეთეს ქალაქ ნაგოიდან ტოკიოსაკენ მიმავალ გზაზე. მათ გააჩერეს ავტობუსი, შეცვივდნენ მასში და ხელები გადაუგრიხეს ნორჩ გამტაცებელს.

* * *

**პირველად** მოლაპარაკებებში ირანთან ბირთვულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მონაწილეობას მიიღებენ ამერიკის მაღალჩინოსნები. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე პოლიტიკურ საკითხებში უილიამ ბერნსი შეუერთდება მოლაპარაკებებს შვეიცარიაში, სადაც მოლაპარაკებას მეთაურობს ჰავიერ სოლანა. თეირანს სთავაზობენ შეწყვიტოს ურანის გამდიდრება ეკონომიკური სანქციების რეჟიმის შემცირების საპასუხოდ.

* * *

**ირლანდია** იმუქრება, რომ გამოვა ევროკავშირიდან, თუ იგი არ მოახდენს ლისაბონის ხელშეკრულების რატიფიკაციას. ირლანდიამ უნდა მოაწყოს განმეორებითი რეფერენდუმი ლისაბონის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, განაცხადა ნიკოლა სარკოზიმ. ელისეის სასახლეში დეპუტატების წინაშე გამოსვლის დროს, საფრანგეთის პრეზიდენტმა დაადასტურა, რომ ვეტოს დაადებს ევროკავშირის შემდგომ განვითარებას „იმ მომენტამდე, ვიდრე არ შეიქმნება ევროკავშირის ახალი ინსტიტუტები“.

* * *

**აშშ** კონგრესის იურიდიულ კომიტეტს გადასცემენ მეორე რეზოლუციას ბუშის იმპიჩმენტის შესახებ. „სიმშვიდის“ ამრევი გახდა იგივე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი, კონგრესმენი-დემოკრატი დენის კურსინიჩი. გასულ თვეს მან წარმომადგენელთა პალატაში ასეთი თხოვნა წაიკითხა. საბაბი – ბუშმა გამოიყენა ყალბი დასკვნები და შეცდომაში შეიყვანა ამერიკის კონგრესი, რათა მიეღო მხარდაჭერა ერაყის წინააღმდეგ ომის გაჩაღებაში.

* * *

**მასობრივი** ინფორმაციის საშუალებები: ტონი ბლერის „მოტაცება და ყელის გამოჭრა“ სურდათ ღაზის ტერიტორიაზე. ღაზაში ბლერის ვიზიტის წინა დღეს ერთ-ერთ ისლამურ საიტში გაჩნდა მოწოდება ამ დაჯგუფებისა, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ „ძმები“ მზად არიან გაუსწორდნენ ბლერის



ამალას და მოიტაცონ ყოფილი პრემიერი, რომლებსაც ისინი უწოდებენ „დამნაშავეს“, „ძაღლს“, და „ალაჰის მტერს“.

**საუკუნეთა სიგრძეზე**

**ეხმაურებიან ჩვენს მიმართვას: ვინ არის, თქვენი აზრით, 100 ყველაზე ღირსეული და 100 ყველაზე უღირსებო ქართველი**

# ყველას ჩვენი არჩევანი გვაქვს....



**ერთობ რთული კითხვები დაუსვა თავის მკითხველს გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“. მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ჩვენმა ქვეყანამ იმდენი ღირსეული შვილი გაზარდა, მთელ მსოფლიოს ეყოფოდა. ამიტომ ათიათასეებიდან ასის „ამოხშირვა“ არცთუ ისე ადვილია. იწყებ ამორჩევას და ხელი გითრთის, თითქოს აგერ შენ გვერდით სხედან ბუმბერაზი გმირები, ბრძენთმთავრები და საკუთარ მიწასა და რწმენას შეწირული მამულიშვილები.**

ძალზე ძნელია მათი სასწორის პინაზე დადება.... თუმცა ეს საჭიროა და, ალბათ, ყველამ უნდა გამოხატოს საკუთარი გულის კარნახი. ბუნებრივია, ეს პასუხები პირადული იქნება და არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ რომელიმე ჩვენგანის „ღირსებიანთა“, მეორემ „უღირსებოთა“ სიაში შეიყვანოს.

მართლაც რამდენი გვყავს დიდებული პიროვნება, რომელთაც არაფერი დაიშურეს საკუთარი ერისა და მამულის საკეთილდღეოდ, მაგრამ ცხოვრების სირთულეებმა ზოგჯერ იძულებით ისეთი რამ ჩაადენინათ, რაც ჭეშმარიტ ერისკაცს არ ეკადრება. დიახ, იდეალური ადამიანი ამქვეყნად არ არსებობს, ამიტომ ჩვენს გონებაში თითოეული მათგანის საქმე (კარგიც და მანკიერიც) კარგად უნდა ავწონოთ, კეთილსინდისიერად შევაფასოთ და ამის შემდეგ ან ერთ, ან მეორე პოლუსზე .მივუჩინოთ მათ ძირფესვიანად განსხვავებული ადგილი.

„ქართლის ცხოვრებას“ ჩვენს დედაისტორიას დიდმა ილიამ მეფეთა ისტორია უწოდა, სადაც უბრალო ადამიანები ჩრდილში არიან მიყენებული. მართლაც, ჩვენმა წერილობითმა ძეგლებმა მხოლოდ მეფეებზე, კათალიკოსებზე და მხედართმთავრებზე შემოგვინახეს ცნობები, იშვიათად თუ გამოერევა უბრალო ადამიანი, რომელმაც საკუთარი სიცოცხლე მიიტანა სამშობლოს სამსხვერპლოზე. ასეთები კი, ალბათ, მრავალია. ჩვენი მართალი სიტყვის წინაშე ეს მდგომარეობაც (უისტორიობა) ქმნის ერთგვარ სიძნელეს, მაგრამ არც ესაა ცუდი, რადგანაც გვაიძულებს უფრო კარგად ჩავიხედოთ ჩვენს მატიანეებში და ვინ იცის, იქნებ სრულიად ახალი გმირი გავუცოცხლოთ ერსა და ქვეყანას.

**რამაზ სურმანიძე**
12 ივლისი, 2008წ.

**მაშ ასე, ჩვენი პირადული აზრით, ათიათასეებიდან ამორჩეული ასი ღირსეული ქართველი:**

**1. აბაშიძე ირაკლი; 2. აბაშიძე მემედ; 3. აბუსერისძე ტბელი; 4. ამაშუკელი ვასილ; 5. ამირანაშვილი შალვა; 6. ანდრია მცხეთელი; 7. არსენ იყალთოელი; 8. ასათიანი ლადო; 9. ბაგრატ IV; 10. ბარათაშვილი ნიკოლოზ; 11. ბატონიშვილი ალექსანდრე ერეკლესძე; 12. ბაქრაძე დიმიტრი; 13. ბერიტაშვილი ივანე; 14. გაბაშვილი ეკატერინე; 15. გამსახურდია ზვიად; 16. გელოვანი არჩილ; 17. გიორგი V ბრწყინვალე; 18. გოგებაშვილი იაკობ; 19. გრიგოლ ხანძთელი; 20. გუდიაშვილი ლადო; 21. გურამიშვილი დავითი; 22. დადიანი ნიკო; 23. დადიანი ცოტნე; 24. დავით III კურაპალატი; 25. დავით IV აღმაშენებელი; 26. დოდაშვლი სოლომონ; 27. ერეკლე II; 28. ეფრემ მცირე; 29. ერისთავი გიორგი; 30. ერისთავი რაფიელ; 31. ვაჟა-ფშაველა; 32. ვაჩნაძე ნატო; 33. ვახტანგ გორგასალი; 34. ვახტანგ VI; 35. ვახუშტი; 36. ვეკუა ილია; 37. ვოლსკი გრიგოლ; 38. ზურაბაშვილი ავლიპი; 39. თამარ მეფე; 40. თარხნიშვილი ივანე; 41. თაყაიშვილი ექვთიმე; 42. იოანე მტბევარი; 43. იოანე პეტრიწი; 44. კალანდაძე ანა; 45. კირიონ II; 46. კლდიაშვილი დავითი; 47. ლეონიძე გიორგი; 48. ლეონტი მროველი; 49. მარჯანიშვილი კოტე; 50. მაჩაბელი ივანე; 51. მედეა; 52. მელიქიშვილი პეტრე; 53. მელქისედეკ I; 54. მესხი სერგეი; 55. მუსხელიშვილი ნიკო; 56. ნიკოლაძე იაკობ; 57. ნიკოლაძე ნიკო; 58. ნუცუბიძე შალვა; 59. ოპიზარი ბექა; 60. ორბელიანი მარიამ ზაალის ასული; 61. ორბელიანი სულხან-საბა; 62. პაიჭაძე ბორის; 63. იბერიელი პეტრე; 64. ჟორდანია თედო; 65. ჟორდანია იოსებ; 66. ჟღენტი სულიკო; 67. რაზმაძე ანდრია; 68. როინიშვილი ალექსანდრე; 69. რუსთაველი შოთა. 70. სააკაძე გიორგი; 71. სარაჯიშვილი ვანო; 72. სახოკია თედო; 73. სოლომონ II; 74. სტალინი იოსებ; 75. სუხიშვილი ილიკო; 76. ტაბიძე გალაკტიონ; 77. უზნაძე დიმიტრი; 78. ფალიაშვილი ზაქარია; 79. ფანასკერტელი-ციციშვილი ზაზა; 80. ფარნავაზ I; 81. ფიროსმანი; 82. ქებურია ბესარიონ; 83. ქეთევან დედოფალი; 84. ყაზბეგი ალექსანდრე; 85. ყაზბეგი გიორგი; 86. ყაუხჩიშვილი სიმონ; 87. ყიფიანი დიმიტრი; 88. შანიძე აკაკი; 89. ჩიქოვანი არნოლდ; 90. ჩოლოყაშვილი ქაიხოსრო; 91. ცურტაველი იაკობ; 92. წერეთელი აკაკი; 93. ჭაბუკიანი ვახტანგ; 94. ჭავჭავაძე ილია; 95. ჭიჭინაძე ზაქარია; 96. ჭყონდიდელი გიორგი; 97. ხარაძე ევგენი; 98. ხორავა აკაკი; 99. ჯავახიშვილი ივანე; 100. ჯავახიშვილი მიხეილ.**

**მოდით ერთად შევადგინოთ ეს ნუსხა**
**თქვენ ვის ნახვას ისურვებდით ამ ნუსხაში?**

**უთქმელობა არ ეგების**

# სენსაცია?.. კარგი, რა!!



**ვიღაცამ „გამოიგონა“ და დღევანდელ ქართულ მედიაშიც ერთი ასეთი „ბრძნული კანონი“ დაინერგა, – ჟურნალის თუ გაზეთის (თუ ტელეარხზე) ბოლო გვერდზე (ზოგჯერ პირველზეც!) მიაწერენ: – „გამოქვეყნებული რეკლამის ტექსტუალურ მხარეზე რედაქცია პასუხს არ აგებს!“ და ამით ყოველგვარ პასუხისმგებლობას იხსნიან, როგორც ქვეყნისა და ერის, ასევე მშობლიური ენის წინაშე. ვბეჭდავთ (ეთერში ვახმოვანებთ) ათასგვარ აბდაუბდას და ამას ისიც ემატება, რომ შინაარსს თავი რომ დავანებოთ, კორექტურასაც არავინ აქცევს ყურადღებას! და სუფევს განუკითხაობა, ტექსტუალური, სინტაქსურ-მორფოლოგიური თუ პუნქტუაციური ქაოსი მედიაში.**

ამ თემასთან დაკავშირებით არაერთხელ წერდა გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. მოუწოდებდა ზემდგომ ინსტანციებს შეექმნათ პროფესიონალური სამსახური, რომელიც განახორციელებდა ქვეყნის სახელმწიფო ენის დაცვას, მაგრამ გაზეთის ეს ხმა დაიკარგა, სადღაც, უდაბნოში...

...მაგრამ, ჩემი აზრით, არის კიდევ ერთი „უხერხული“ თემა:ჩვეულებრივი, კლასიკური სარეკლამო განცხადებების გარდა პრესაში ხშირად იბეჭდება რედაქციების მიერ შეუკვეთავი წერილები, სტატიები, რეპორტაჟები, ნარკვევები, რომლებშიც შემკვეთები (ავტორები) სათანადო ანაზღაურებას იხდიან და ამ „მასალებზეც“ იგივე კანონი მოქმედებს (ნაწილობრივ მაინც!), – ტექსტის გამართულობას, და რაც მთავარია, მის შინაარსს, მაინცდამაინც განსაკუთრებული ყურადღება არ ექცევა.

მე, მართალი გითხრათ, თითქმის ყველა გაზეთს და ჟურნალს (თუ ტელევიზიას) ვადევნებ თვალყურს, მინდა ვიცოდე რითი სუნთქავს მსოფლიო, რითი სუნთქავს ჩემი ქვეყანა, ვინ რად გვირჩევს, ვინ რას „ბჟუტუროზს“ და საით მივექანებით, რომ, როგორც ჟურნალისტმა და მოქალაქემ ჩემი სიხარული თუ გულისტკივილი გამოვხატო ყოველივეზე.

ამიტომ, ამას წინათ პატიოსნად გადავიხადე ერთი ლარი და შევიძინე ერთ-ერთი (ამჯერად თავს შევიკავებ და არ დავასახელებ) ლამაზად გაფორმებული, სასიამოვნო, დარგობრივი ჟურნალი, რომლის რედაქტორი გახლავთ ფრიად პატივცემული მოღვაწე. შევიძინე და ჟურნალში გამოქვეყნებულ სხვა „მასალათა“ მხატვრულ, შინაარსობრივ თუ აქტუალურ დონეს თავი რომ დავანებოთ, განსაკუთრებით მომჭრა ყური და გამაოცა სტატიის პათოსმა: – ვიღაც (გვარს არ დავასახელებ) დალოცვილ ქართველს სიზმარი უნახავს, ანგელოზებს მიუთითებიათ რომელიღაც ბალახებზე და გამოღვიძებულს სასწაულმოქმედი სამკურნალო პრეპარატი შეუქმნია, რომელიც: –

**„...არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურ დაავადებებს, პარკინსონს, ასთმას, ჩიყვს, გულისა და თირკმლის დაავადებებს, სპობს აზოტს თირკმლებში, კურნავს გაფანტულ სკლეროზს და შიდსს, შვილის ცერებრალურ დამბლას, ყურიდან ჩირქდენას, ოსტეოქონდროზს, ჰაიმორიტს, სისხლის გათეთრებას, სეფსისს, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიაში, „ც“ ჰეპატიტს, ბოტკინს, ელენთის, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, ქლამიდიას, კლიმაქსს, წყლულს, ფსორიაზს, სახსრების დაავადებებს, ეპილეფსიას, ამყარებს იმუნიტეტს, ახდენს თავის ტვინის უჯრედების აღდგენა-შენარჩუნებას, დადებითად მოქმედებს სექსუალურ დარღვევებსა და ნარკოტიკებზე დამოკიდებულებაზე...“**

ღმერთო, ჩემო! ეჭვიანი კაცი სულაც არა ვარ, მაგრამ ამ ციტატის გადაწერითაც კიდ დავიღალე და მეპატიება, ალბათ, ეჭვმა მაინც რომ გამკრა გულში! – როდის, სად და რომელმა საერთაშორისო თუ რესპუბლიკურმა კლინიკამ და ინსტიტუტმა, რომელმა მედიკოსმა თუ ბიოლოგმა გამოსცადა ეს სასწაულმოქმედი პრეპარატი? პატარა საქმე ხომ არ არის? თურმე მთელი კვლევითი ინსტიტუტი და ფართოპროფილის კლინიკა, აგერ აქვე გვქონია კახეთში (ზუსტ მისამართს ვერ გეტყვით, რეკლამაში ჩამეთვლება). და რაღა სხვაგან მივდიოდით სამკურნალოდ? ამდენ ხანს რატომ არ შევატყობინეთ ეს სენსაციური ამბავი მთელ მსოფლიოს? რატომ არ წარვადგინეთ ნობელის პრემიაზე, დაბოლოს, ამ „ციტატაში“ დასახელებული ავადმყოფობებით რატომ ვიტანჯავდით თავს? ვინ იცის, ჩვენს ქვეყანაშიც რამდენს აწუხებს ბუასილი, რამდენს ფაღარათი და რამდენს შიდსი???

ჰოდა, აგერ, ყურისძირში გვქონია წამალი, შე კაცო, და სტატიის ავტორი, რომელიღაც მეცნიერების **საპატიო დოქტორი** (არ წერია, რისი დოქტორია), ბატონი სტატიის ავტორი გვიმალავდა ამას?

შეიძლება იმ ნიჭიერ კახელ კაცს, მართლა აქვს გარკვეული მიგნებები (და ღმერთმა ქნას, მნიშვნელოვანიც!), მაგრამ...

კარგი, რა!! სირცხვილი ნიჭიერი კაცის სადიდებლის თქმა კი არ არის, არამედ, ასე თქმაა სირცხვილი!!

**ზაურ ფიფია**

**ინფორმაცია**

## ტრენინგები მესაზღვრეთა და მებაჟეთათვის

**სასაზღვრო პოლიციის სამმართველო „წითელი ხიდის“ ბაზაზე ეუთოს ეგიდით სწავლებები დაიწყო.**

**სასაზღვრო პოლიციის პრესსამსახურის ინფორმაციით, ერთობლივ სწავლებებში, რომელიც ტრანსსასაზღვრო დანაშაულის აღკვეთის საკითხებზე ტარდება, საქართველოსა და აზერბაიჯანის 20 მესაზღვრე და მებაჟე მიიღებს მონაწილეობას.**

**ტრენინგები ეუთოს ახალი სასწავლო პროგრამის ფარგლებში ხორციელდება, რომელიც საზღვრის დაცვაში ჩართული სახელმწიფო უწყებების საქმიანობის კოორდინაციასა და თანამშრომლობის გაღრმავებას ისახავს მიზნად.**

**ორი დღის განმავლობაში ქართველი და აზერბაიჯანელი მესაზღვრეები და მებაჟეები ყალბი დოკუმენტების ამოცნობის, საზღვარზე მასობრივი განადგურების იარაღის კომპონენტების გავრცელების აღკვეთის, არალეგარული მიგრაციის, ტრეფიკინგის საკითხებზე გაივლიან თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს.**

**მსაგავსი სწავლებები სამმართველო „ბათუმის“ ბაზაზე უკვე ჩატარდა, რომელშიც საქართველოსა და თურქეთის სასაზღვრო და საბაჟო უწყებების წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.**

ინტერპრესნიუსი

ოლიმპიზმი

# პატრიარქმა ათლეტებს გზა დაულოცა

პეკინის ოლიმპიურ თამაშებამდე 23 დღე დარჩა. ზოგიერთი ქართველი სპორტსმენი, რომლებსაც ზაფხულის თამაშების ლიცენზია აქვს, საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფება. მაგალითად, მოკრივეები წახკაძორში გადიან ფიზიკურ მომზადებას, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები მინსკში მასპინძლებთან და ფრანგებთან ერთად ემზადებიან. ოლიმპიელთა დიდი ნაწილი თბილისში იმყოფება. ისინი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მიიღო და გზა დაულოცა, წარმატებები უსურვა ოლიმპიურ თამაშებზე.

პატრიარქმა ათლეტებთან ერთად სეოკის, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელები, დელეგაციის ოფიციალური წევრები და ჟურნალისტებიც დალოცა.

ამგვარი შეხვედრები საქართველოს პატრიარქთან 1996 წლიდან ეწყობა, რაც დადებითად მოქმედებს ჩვენი ოლიმპიელების სულიერ განწყობაზე. შედეგად — ყოველ მომდევნო ოლიმპიადაზე უმჯობესდება მონაგარი. ღმერთმა ქნას, ქართველმა სპორტსმენებმა პეკინშიც უკეთ იასპარეზონ, ვიდრე ათენში.



სურათზე: პატრიარქთან შეხვედრისას.
გიორგი ჭანიშვილის ფოტო.

რეგიონი

# სჯერა, რომ შედეგები გაუმჯობესდება

**პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს სპორტულ დელეგაციაში მზიური აჭარის ორი წარმომადგენელი გაემგზავრება. ესენი არიან ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონი დავით ბედინაძე და მშვილდოსანი ხათუნა ნარიმანიძე, რომელიც ათლეტთა დიდ ფორუმზე ზედიზედ მესამედ იასპარეზებს.**

**გვესაუბრება სეოკის აჭარის ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტი თენგიზ ბოლქვაძე.**

— ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკა ყოველთვის იყო ცნობილი სახელოვანი სპორტსმენებით, — გვითხრა მან. — მარტო ის რად ღირს, რომ ზღვისპირეთიდან სიდნეისა და ათენის ზაფხულის ოლიმპიადებზე 7 სპორტსმენი გამოდიოდა. მათგან მუხრან ვახტანგაძემ მწვანე კონტინენტზე „კლასიკურ“ ჭიდაობაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, მომდევნო წელს კი მსოფლიო ჩემპიონიც გახდა. მის გზას ღირსეულად განაგრძობს დავით ბედინაძე, რომელსაც პეკინშიც შეუძლია, გვასახელოს ისევე, როგორც ხათუნა ნარიმანიძეს. ქართველ ჩუბინს საამისოდ არც გამოცდილება აკლია და არც ოსტატობა. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პეკინის ოლიმპიურ კვარცხლბეკზე ასვლა ბევრად უფრო ძნელი იქნება, ვიდრე სხვა თამაშებზე. ამის მიუხედავად, მაინც მგონია, რომ საქართველოს წარგზავნილები ათენის ოლიმპიადის შედეგებს რაოდენობრივად და ხარისხობრივადაც გააუმჯობესებენ...

ბატონ თენგიზს დაეჯერება, რადგან იგი სპორტში გამოცდილი პიროვნებაა და ბევრ ნიუანსშიც ჩინებულად ერკვევა. ტანვარჯიშში სპორტის ოსტატსა და საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს საკუთარი წვლილი აქვს შეტანილი მსოფლიო ჩემპიონ რუსუდან სიხარულიძის აღზრდაში. წლების განმავლობაში უნარიანად ხელმძღვანელობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის „კოლმეურნეს“ ორგანიზაციას, შემდეგ კი — სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს, ამჟამად კი ოლიმპიელთა დასაფრთიანებლად არ იშურებს ძალასა და ენერგიას.

ბატონ თენგიზ ბოლქვაძეს ამას წინათ 70 წელი შეუსრულდა. ამაგდარ პიროვნებას იუბილეს ვულოცავთ.

ჭიდაობა

# ახალგაზრდების ჯერიც დადგა

**ამას წინათ გაუწყეთ, რომ ჭაბუკ მოჭიდავეთა ევროპის პირველობაზე შესანიშნავად იასპარეზეს საქართველოს წარგზავნილებმა. ორივე სახეობაში (თავისუფალი და ბერძნულ-რომაულიძ მათ სამი ოქროს, ოთხი ვერცხლისა და ამდენივე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს.**



დღეიდან კონტინენტის პირველობაზე, რომელსაც სლოვაკეთის ქალაქი კოშიცე მასპინძლობს, ახალგაზრდები მოსინჯავენ მკლავისა და მუხლის ძალას.

წონითი კატეგორიების მიხედვით საპრიზო ადგილებზე გასასვლელად იბრძოლებენ: **ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში** — ზურაბ მაჭარაშვილი (50 კგ., ოზურგეთიძ, ქემალ ხარაბაძე (55, აჭარაძ, ლევან აბჟანდაძე (60, თბილისიძ, ლაშა ლოლაშვილი (66, თბილისიძ, არსენ კახაბრიშვილი (74, მარტყოფიძ, გიორგი ღვინიაშვილი (84, ქუთაისიძ, ვასილ იმერლიშვილი (96, რუსთავიძ, რამინ შაქარაშვილი (120, თბილისიძ. მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ ადეიშვილი; **თავისუფალ ჭიდაობაში** — ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (50, გორიძ, გიორგი ედიშერაშვილი (55, თბილისიძ, გიორგი მაყიშვილი (60, გორიძ, ზაურ აბრამიშვილი (66, გორიძ, გიორგი მარსაგიშვილი (74, ყაზბეგიძ, თორნიკე სვანიძე (84, თბილისიძ, გიორგი ჩიქოვანი (96, თბილისიძ, ლევან ბერიანიძე (120, თბილისიძ, მთავარი მწვრთნელი ნუგზარ სხირელი.

კრივი

## 11 ოქტომბერს, ბერლინში

**დაზუსტდა მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის WBC ვერსიით მძიმე წონის მოკრივეების — ნიგერიელი სემ პიტერისა და უკრაინელი ვიტალი კლიჩკოს ორთაბრძოლის ზუსტი ადგილი. ბრძოლა 11 ოქტომბერს ბერლინში გაიმართება. ადრე ამ შეხვედრის მასპინძლობაზე პრეტენზიას ნიგერია აცხადებდა.**



ინტერნეტიდან

## ნადალი ცაში ააფრინეს



**დაუჯერებელ წარმატებებს აღწევს კორტზე ესპანელი ჩოგბურთელი რაფაელ ნადალი, მართალია, მან უკვე რამდენიმეჯერ, თანაც ზედიზედ, დაამარცხა მსოფლიოს პირველი ჩოგანოსანი, შვეიცარიელი როჯე ფედერერი, მაგრამ უკვე 156 კვირაა, ის რეიტინგში მეორე ადგილზეა. თუმცა მისი სახელი უფრო გაბრწყინდა პირველად კარიერაში ახლახან „უიმბლდონის“ მოგების შემდეგ.**

სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს მისმა თაყვანისმცემლებმა მაიორკის ასტრონომიული ობსერვატორიიდან, სახელოვანი თანამემამულის, „დიდი მუზარადის“ ტურნირების ხუთგზის ჩემპიონის სახელი ეწოდებინათ ოთხკილომეტრიან ასტეროიდისთვის, რომლის ნომერია 128036 და რომელიც მოძრაობს წამში 20 კილომეტრი სიჩქარით, სადღაც მარსსა და იუპიტერს შორის. ის ჯერ კიდევ 2003 წელს აღმოაჩინეს. როგორც ამბობენ, 22 წლის ნადალი უკვე მიიწვიეს ობსერვატორიაში, რათა ტელესკოპის საშუალებით თავისი თვალით ნახოს მისი სახელობის ციური სხეული.

## თვითმფრინავი დაჯაბნა



**ეს უჩვეულო შეჯიბრება სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისის ქალაქ ფანბოროში მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟული საერთაშორისო საავიაციო სალონის მე-60 გახსნის ზეიმზე გაიმართა.**

„ფორმულა-1“-ის საჯინიბო „მაკლარენას“ პილოტი ლუისი ჰემილტონი, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე სწრაფ მრბოლად არის მიჩნეული, სიჩქარეში შეეჯიბრა რეაქტიულ თვითმფრინავს Learjet 60XR. ორთაბრძოლა სულ 10 წამს გაგრძელდა — ჰემილტონის ბოლიდი ასაფრენ ზოლზე მიქროდა, თვითმფრინავი კი მის პარალელურად — ცაში. როგორც ამ შეჯიბრის ორგანიზატორები აღნიშნავენ, მათი მიზანი გამარჯვებულის გამოვლენა კი არ იყო, არამედ მაყურებელთათვის იმის ჩვენება, თუ რა შეუძლია კარგ ავტომანქანასა და თვითმფრინავს, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ ამ უთანასწორო ბრძოლაში გაიმარჯვა იმან, ვინც მინაზე საათში 280 კილომეტრის სიჩქარით მიქროდა.

„ძალზე მომეწონა ამ შეჯიბრების იდეა, — შენიშნა ჰემილტონმა, — ჩვეულებრივად, როდესაც თვითმფრინავით მივფრინავ, აფრენისას და დაჯდომისას ცოტა ვღელავ, მაგრამ ჩემს ავტომანქანაში რომ ვიჯექი, ძალზე მშვიდად ვიყავი. თუმცა უჩვეულო სიჩქარით მივქროდი. ჩემს მაღლა თვითმფრინავს ვერ ვხედავდი, მაგრამ კარგად მესმოდა მისი ხმა, ის ხომ რაღაც 200 ფუტის სიმაღლეზე მიფრინავდა“.

## მედვედევი — ოლიმპიელებთან

**ქალაქ კლინში სამუშაო ვიზიტად მყოფი რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი ყინულის სასახლეში შეხვდა პეკინში მიმავალ სპორტსმენებს და წარმატება უსურვა ოლიმპიურ თამაშებზე.**

პრეზიდენტმა დაათვალიერა ყინულის მოედანი, დაესწრო ადგილობრივ ჰოკეისტთა ვარჯიშს, შეიხედა ტრენაჟორების, მძლეოსნობისა და აერობიკის დარბაზებში, გაეცნო რუსეთის ოლიმპიური ნაკრების წევრებს.

პრეზიდენტი განსაკუთრებით მოეფერა ძალოსნობაში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონს ოქსანა სლივენკოს, გადაიღო სამახსოვრო სურათი და უსურვა წარმატებები ოლიმპიადაზე.

## რონალდუმ დედას დაუჯერა?

**ძალზე ბევრი ითქვა და დაიწერა „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და პორტუგალიის ნაკრების ნახევარმცველის კრიშტიანუ რონალდუსა და მოდელის ნერეიდა გალიარდოს ურთიერთობის შესახებ, მაგრამ აი, როგორც პორტუგალიური გაზეთი იტყობინება, რონალდუ დაიქანცა მათი ურთიერთობისა და ნერეიდას წარსულის შესახებ ჭორებით და გასცილდა საცოლეს.**



როგორც ამბობენ, აქ გადამწყვეტი როლი შეასრულა რონალდუს დედამ, რომელსაც არ მოსწონდა ქალიშვილი და თავისი შვილისთვის შეუფერებლადმიაჩნდა. მისი მრავალგზის განცხადებით, ნერეიდას რონალდუ კი არ აინტერესებდა, არამედ მისი ფულები და სახელი, უნდოდა ახალი ვიქტორია ბექჰემი გამხდარიყო.

თავად ნერეიდამ კი ინგლისურ გაზეთს The Sun განუცხადა, რომ არავითარ განშორებაზე ლაპარაკი არ შეიძლება, რის დამადასტურებლად რონალდუს ნაჩუქარი ბრილიანტებიანი ბეჭედი მოიტანა — „ჩვენ ძველებურად ერთად ვართ!“.

◉ რაც გვინახავს ვეღარ ვნახავთ?

# ქართველ ფიზიკოსებს იმ აუდიტორიას ართმევენ, სადაც ნილს ბორი ლექციებს კითხულობდა

**25 ივნისს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის II კორპუსში ფიზიკის დიდი აუდიტორია ხალხით იყო სავსე: „ჩარეცხილები“ და „ხულიგნები“ ჩვენი ცნობილი ფიზიკოსის ვაგან მამასახლისოვის დაბადებიდან 100 წლისთავს აღნიშნავდნენ. ყველანი ნოსტალგიით ვიგონებდით იმ დროს, როდესაც უნივერსიტეტში ჩქეფდა სრულყოფილი ინტელექტუალური ცხოვრება, ყალიბდებოდა სინამდვილის ასახვის ახალი, ხელოვნებისა და კონკრეტულ მეცნიერებათა ინტეგრაციის ბაზაზე ჩამოყალიბებული მეთოდი, რომელიც ავლენს მეცნიერის მთლიან კულტურას, მისი მუშაობის მანერას, სტილს, ინდივიდუალურ აზროვნებას და, აქედან გამომდინარე, ამჟღავნებს მისი, როგორც პიროვნების ძალას და ღირებულებას.**

ჩვენი დროის დიდი ფიზიკოსი ჰაიზენბერგი წერდა: „ალბათ, საჭირო იქნება კიდევ ერთი ასწლეული იმისათვის, რომ კარგად გავიგოთ მთელი ეს ახალი მეცნიერული მასალა და მისი პრაქტიკული, პოლიტიკური, ეთიკური და ფილოსოფიური შედეგები“. ჩვენ ვიგონებდით იმას, თუ აქ, ფიზიკის დიდ აუდიტორიაში ბ-ნი ვაგანის ლექციებთან ერთად როგორ შემოდიოდა „თავისუფლების“ ცნების ახალი შინაარსი და მასთან დაკავშირებული ემოციური სამყარო. აქ ვიგრძენით პირველად დროის საოცარი დინამიზმი და ახალი თეორიებისა და ცნებების შემოტანის აუცილებლობა. დავინახეთ, თუ როგორ ხდება ტრადიციულ ღირებულებათა ძირეული გადაფასება და როგორი დრამატული კონფლიქტები ჩნდებიან პროგრესის გზაზე. ჩვენ თვალწინ იბადებოდა ახალი ეპოქა: რთული, მრავალფეროვანი და წინააღმდეგობებით აღსავსე; ხდებოდა ახალი ცნებების, ახალი ადამიანის ფორმირება, ადამიანისა, რომელსაც უნდა განესხვავებინა ერთმანეთისგან მთავარი: თავისუფლება და აღვირახსნილობა.

ამ აუდიტორიაში კითხულობდა ლექციებს ნილს ბორი, იგი აღფრთოვანებული იყო ქართველი ფიზიკოსების მიერ ახალი მეცნიერული მიღწევების ფილოსოფიური ინტერპრეტაციით, სადაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო „ბორის დამატებითობის მეთოდის“ შემეცნებითი ასპექტის შესანიშნავი და ღრმა გააზრება, რამაც თავის დროზე ჩვენში თეორიული აზრის ისეთი რევოლუცია მოახდინა, რაც ალბათ არც კი დაესიზმრებათ ჩვენს ე. წ. „რეფორმატორებს“ და რის გამოც სწორედ ფიზიკის ფაკულტეტი უნდა გამხდარიყო ჩვენში განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების შუქურა და მთავარი ორიენტირი.

აქ, ფიზიკის აუდიტორიაში, ბ-ნი ვაგანის ფილოსოფიურ სემინარებზე, სადაც ერთმანეთს ცვლიდნენ კათედრაზე სხვადასხვა დარგის წამყვანი მეცნიერები, პირველად საქართველოში დაიწყო ახალი დიალოგი სამყაროსთან; მიმდინარეობდა მეცნიერების ინტეგრაციის საოცრად საინტერესო პროცესი, იგრძნობოდა თეორიული აზრის ძლიერი სწრაფვა სინთეზისაკენ და ისიც, რომ ეს სინთეზი მეცნიერებაში ფილოსოფიური ანალიზით უნდა განხორციელებულიყო. აღარ იყო ერთმანეთისაგან იზოლირებული საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული დარგები, ხელოვნება... ვხედავდით იმას, რომ სამყარო არა მხოლოდ შეიმეცნება, არამედ შეიგრძნობა კიდეც. მიმდინარეობდა კვლევის რაციონალური მეთოდის უდიდესი პოპულარიზაცია და უნივერსიტეტი მთლიანად წარმოგვიდგებოდა ერთ, მთლიან, ძლიერ და საოცრად ქმედით ინტელექტუალურ ძალად, რომელსაც უმაღლეს დონეზე ჰქონდა გათავისუფლებული ქვეყნის ინტერესები.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეს იყო პერიოდი, როდესაც, ერთის მხრივ, ჩვენში ბევრი გულმოდგინედ ლანძღავდა ბორსა და ჰაიზენბერგს, როგორც იდეალისტური მსოფლმხედველობის წარმომადგენლებს და წერდნენ იმასაც კი, რომ მათ არ ესმოდათ თურმე კვანტური მექანიკა, პერიოდი, როდესაც ასეთივე „მშვენიერი“ ფილოსოფიური ანალიზით მიმდინარეობდა ბრძოლა კიბერნეტიკისა და გენეტიკის წინააღმდეგ და ყველამ კარგად უწყოდა შესანიშნავი მეცნიერისა და მკვლევარის დუბინინის ბედი, ხოლო, მეორეს მხრივ, პოზიტივისტები (იდეალისტური ფილოსოფიაძ თავიანთ წარმომადგენლებად მიიჩნევდნენ ბორსა და ჰაიზენბერგს; თვით ბორი კი „სულელურ ფილოსოფიას“ უწოდებდა ამ ფილოსოფიას; და აი, სწორედ ამ პერიოდში ჩვენს უნივერსიტეტში და კერძოდ, ფიზიკის ფაკულტეტზე ჩამოყალიბდა თვისებრივად ახალი, თამამი, საოცრად გაბედული და მეცნიერულად ბრწყინვალედ გააზრებული მსოფლმხედველობრივი პოზიცია, რომელიც მთლიანად გაიზიარა ბორმა.



**დღეს უნივერსიტეტში უკვე აღარ არის აღარც ფიზიკა და აღარც ფილოსოფია. თავისი აუდიტორიიდან მალე ალბათ ფიზიკოსებს გამოაძევებენ. მიზანდასახულად ნადგურდება XXI საუკუნის ის წამყვანი მეცნიერული დარგი, რომელიც უმაღლეს დონეზე წარმოაჩენს ადამიანის გონების უდიდეს ძალასა და შესაძლებლობებს და წარმოადგენს მთავარ ორიენტირს ახალი ადამიანის ცნობიერების ფორმირებაში. ბეთჰოვენი წერდა: „ჩვენი ეპოქა საჭიროებს ძლიერი გონების მქონე ადამიანებს, რათა მათ მთელი ძალით შეუტიონ სხვა ადამიანებში ჩაბუდებულ უდაბრუკ, ჭირვეულ, მდაბიო და ღარიბ სულებს“.**

იგივე შეიძლება ითქვას დღესაც – აუცილებელია რეფორმები გადავიყვანოთ მეცნიერულ რელსებზე, ვინაიდან აშკარაა, რომ ნებისმიერი რეფორმა არსებული სულიერი კულტურის და მეცნიერული მიღწევების ინტეგრირებული გააზრების გარეშე იქცევა უაზრო ლაყბობად და ვერ მოახდენს ადამიანის მონაცემებისა და უნარების ვერავითარ კულტირებას; უამისოდ შეუძლებელია ინდივიდის განვითარება, საზოგადოებრივი პროგრესი და საერთოდ რაიმე გონივრული მიდგომა სამყაროსთან. ასე რომ, დროა ღია და საჯარო დისკუსიებით მთელი ძალით შევუტიოთ ქვეყნის ინტერესების უგულებელმყოფელ და მეცნიერულ ფასეულობათა დამანგრეველ „უბადრუკ, ჭირვეულ, მდაბიო და ღარიბ სულებს“.

**გილდა სიხარულიძე**

**სურათზე: ნილს ბორი (ზის მარჯვნიდან მეორე) საქართველოში, 1961 წ.**

◉ ინფორმაცია

## ათწელმისჯილ პატიმარს თერთმეტი წელიც დაუმატეს

**თანასწორობის ინსტიტუტის წარმომადგენლები ციხეებში არსებულ ვითარებას აპროტესტებენ. გუშინ თანასწორობის ინსტიტიტის ქუთაისის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა გოჩა ბაძგარაძემ პრესკონფერენცია გამართა და ჟურნალისტებს ქუთაისის №2 საპყრობილეში მომხდარი ფაქტის შესახებ უამბო.**

**23 წლის პატიმარი არჩილ რობაქიძე, რომელიც სასჯელს ყაჩაღობისთვის იხდიდა და 10 წელი ჰქონდა მისჯილი, ახლა ციხეში 21 წელს დაჰყოფს.**

**ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მას 11-წლიანი პატიმრობა ციხის კონტროლიორებზე თავდასხმის გამო მიუსაჯა, თუმცა რობაქიძის ადვოკატი ციცინო ბაბუნაშვილი ამტკიცებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს არავინ უცემია, პირიქით 2007 წლის 29 ნოემბერს რობაქიძე კონტროლიორებმა სასტიკად სცემეს, რის შემდეგაც 15 დღე კარცერში დაამწყვდიეს.**

**ბაბუნაშვილის თქმით, იმისათვის, რომ ციხის თანამშრომლებს დაეფარათ თავიანთი ქმედების კვალი, პატიმარს არ მისცეს საშუალება ადვოკატს და ოჯახის წევრებს დაკავშირებოდა.**

**თანასწორობის ინტიტუტის წარმომადგენლები აღნიშნულ ფაქტს ვანდალურს უწოდებენ და აცხადებენ, რომ ის, რაც ციხეებში ხდება, ყოველგვარ ზღვარს სცდება.**

**ოჯახის წევრებმა და ადვოკატმა ციხის ადმინისტრაციისგან გამოითხოვეს ვიდეოჩანაწერი, მაგრამ გაურკვეველი მოტივით მათ ჩანაწერი არ მისცეს, რომელზეც უნდა ყოფილიყო ასახული რობაქიძეზე თავდასხმის ფაქტი.**

**რობაქიძის ადვოკატი შესაბამის საბუთებს აგროვებს და აპირებს მიმართოს სააპელაციო სასამართლოს, რის შემდეგაც სტრასბურგში აპირებს ჩივილს.**

ჯი-ეიჩ-ენი

## განჩინება

### გაკოტრების კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ

15 ივლისი 2008 წ. ქ. გორი

**გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე დავით პაპუაშვილმა ზეპირი მოსმენის გარეშე ერთპიროვნულად განიხილა შპს „მეჯვრისხევის მეფრინველეობის სანაშენე რეპროდუქტორის“ გაკოტრების მმართველის ირაკლი ხაჩიძის განცხადება გაკოტრების კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ.**

**დაადგინა:**

შპს „მეჯვრისხევის მეფრინველეობის სანაშენე რეპროდუქტორის“ გაკოტრების მმართველის ირაკლი ხაჩიძის განცხადება დაკმაყოფილდეს.

მოწვეულ იქნეს შპს „მეჯვრისხევის მეფრინველეობის სანაშენე რეპროდუქტორის“ კრედიტორთა კრება 2008 წლის 22 ივლისს 16 საათზე გორის რაიონული სასამართლოს შენობაში (მისამართი ქ. გორი, ჯორბენაძის ქუჩა №30ძ, შპს „მეჯვრისხევის მეფრინველეობის სანაშენე რეპროდუქტორის“ ქონების რეალიზაციით მიღებული თანხის განაწილებისა და საბოლოო ანგარიშის გარკვევის მიზნით.

ამ განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილები გამოქვეყნდეს ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში, აგრეთვე განთავსდეს სასამართლო დაფაზე. განჩინების ასლები გადაეგზავნოს კრედიტორებს.

განიმარტოს, რომ განჩინების გავრცელებიდან ორი დღის შემდეგ გამოქვეყნება შესრულებულად ითვლება გაკოტრების საქმის წარმოების ყველა მონაწილის მიმართ.

განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება.

**მოსამართლე დავით პაპუაშვილი**

— — — — — — — — — — — — — — — —

***საქართველოს კანონის „გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ“ 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად საბოლოო ანგარიში შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად წარედგინება გაკოტრების საქმის განმხილველ სასამართლოს მონაწილეთათვის გასაცნობად სასამართლო სხდომამდე არა უგვიანეს სამი დღისა. ვალაუვალ მოვალეს და კრედიტორს უფლება აქვთ აღძრან შეგებებული სარჩელი საბოლოო ანგარიშის წინააღმდეგ. თუ შეგებებული სარჩელი არ აღიძვრება სხდომაზე, ანგარიში ჩაითვლება მოწონებულად და აღიარებულად.***

**შპს „მეჯვრისხევის მეფრინველეობის სანაშენე რეპროდუქტორის“ გაკოტრების მმართველი ირაკლი ხაჩიძე**

**შპს „ბი-სი-ჯი იურიდიული ოფისი“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებული პირები, გთხოვთ, დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 899-21-73-72.**

⊙ ნეტავი ჩემი იყოს

## კომფორტის მოყვარულთა საყურადღებოდ!



სასოფლო უნივერსიტეტის სიახლოვეს, პრესტიჟულ ქოშიგორაზე იყიდება მრავალი სახეობის ხეხილით, ვერცხლისფერი ნაძვებით, ტალავრებით განაშენიანებული ელიტური აგარაკი, 1700 კვმ მიწის ნაკვეთი, 250 კვმ ფართის უცხოვრებელი 2 სახლი (5 საძინებელი ოთახი, 3 სასადილო, 3 სამზარეულო კედლის კარადებით, 3 ბუხარი, 4 სველი წერტილი, 2 კეთილმოწყობილი აბაზანა, 6 აივანი, ყველაფერი ჟალუზებში), კეთილმოწყობილი საუნა, საწყობები, კაპიტალური ავტოფარეხი, ფანჩატური მაგიდა-სკამებით, მუდმივი ელდენი, ნატახტარის წყალი, გამაცხელებლები, სარწყავი სისტემა, კანალიზაცია, სახლამდე მისასვლელი გზა (ტრასიდან 500 მეტრშიძ ახლახან მოასფალტდა. ფასი შეთანხმებით.

899 93-01-04; 23-37-37 რეზო. 36.50.33 მაია.

⊙ ინფორმაცია

## მაქსიმალური მობილიზება ზღვის სეზონთან დაკავშირებით

**აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე ყველა სამთავრობო უწყებას მაქსიმალური მობილიზაციისკენ მოუწოდებს, რათა რეგიონში დამსვენებლებს სრულყოფილი დასვენების საშუალება მიეცეთ.**

ტურისტული სეზონი აქტიურ ფაზაში შედის, რაც მნიშვნელოვანია, რადგან ამ დროს იქმნება სამუშაო ადგილები და იზრდება თითოეული ოჯახის შემოსავალი, – აღნიშნა ვარშალომიძემ.

გარდა ამისა, აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს ინვესტორებთან მოლაპარაკებები დაავალა, რათა ყოველ ახალ ობიექტზე ადგილობრივი კადრები დასაქმდნენ.

მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა დაწესებულებებში, იქნება ეს ადგილობრივი თუ უცხოური ინვესტიცია, ადგილობრივი მოსახლეობის სულ მცირე 75-80 პროცენტი დასაქმდეს, – განაცხადა ლევან ვარშალომიძემ.

**ინტერპრესნიუსი**

⊙ სულიერება

## ათანასე ათონელი – დედით კოლხი



**18 ივლისს საქართველოს სამოციქულო ეკლესია წმინდა მამა ათანასე ათონელს იხსენიებს.**

**წმინდა ათანასემ ხანგრძლივი მარხვით, ღამისთევით, მუხლმოდრეკით, დღედაღამ შრომით ისეთ სრულყოფილებას მიაღწია, რომ წმინდა ილუმენმა იგი აკურთხა მდუმარების ღვაწლზე, მონასტრიდან მოშორებით.**

ათანასე ათონელმა ათონის მთაზე ააშენა მრავალი ტაძარი, კელია, სატრაპეზო, საავადმყოფო და მოგზაურთა მისაღებები.

ათანასე ათონელს ღმრთისგან მიღებული ჰქონდა კურნებისა და სასწაულთმოქმედების ნიჭი...

ამბობენ, რომ ერთხელ შიმშილობისას, ათანასეს ღვთისმშობელი გამოეცხადა და უბრძანა მას კვერთხი დაერტყა ქვისთვის, რის შემდეგაც, ნაპრალიდან ამოხეთქა სუფთა წყარომ, რომელიც დღესაც კურნავს ადამიანებს.

იმ სასწაულებრივ მადლთაგან, რომელიც წმინდა მამას ჰქონდა მინიჭებული, განსაკუთრებით გამოირჩევა სწრაფი დახმარება სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ადამიანების მიმართ.

საგულისხმოა, რომ ათანასე ათონელი დედით კოლხი იყო.

**გიული ლიპარტია**

## განცხადება

**სააქციო საზოგადოება „ჩხოროწყუჭესის“ 2 771 000 აქციის (საწესდებო კაპიტალის 80,324%ძ მფლობელი აქციონერის შპს „ზაჰესი 06“-ს მოთხოვნით გიწვევთ სააქციო საზოგადოების აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2008 წლის 7 აგვისტოს 13 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ზაჰესი, კასკადის ქუჩა №1.**

**სააქციო საზოგადოება „ჩხოროწყუჭესის“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ საერთო კრების სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2008 წლის 23 ივნისი.**

**დღის წესრიგი:**

1. შპს „ზაჰესი 06“-ის და სს „ჩხოროწყუჭესის“ შერწყმა ორი საწარმოს გაერთიანების და ახალი საწარმოს (სააქციო საზოგადოებისძ მიღების გზით;

2. შერწყმის შედეგად დაფუძნებული ახალი საწარმოს საწესდებო კაპიტალის, საფირმო სახელწოდების, იურიდიული მისამართის, საქმიანობის საგნის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ოდენობის და შემადგენლობის არჩევა და შერწყმასთან დაკავშირებული სხვა საკითხების განსაზღვრა (მათ შორის შერწყმის ხელშეკრულებაზე და შერწყმის სხვა პროცედურების განხორციელებაზე ვალდებული, ხელმომწერი პირის არჩევაძ.

დღის წესრიგის საკითხების გამო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სს „ჩხოროწყუჭესის“ იურიდიულ მისამართზე: ქ.თბილისი, ზაჰესი, კასკადის ქუჩა №1. ხოლო განმარტებების მისაღებად, მოთხოვნა წერილობით უნდა იქნეს დაყენებული დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე კრებამდე 10 დღით ადრე.

სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი რეკომენდაციას უწევენ, რომ აქციონერებმა მხარი დაუჭირონ დღის წესრიგში აღნიშნულ ყველა საკითხს, მათ შორის შპს „ზაჰესი 06“ და სს „ჩხოროწყუჭესის“ შერწყმასთან დაკავშირებულ საკითხსაც, რომლითაც მოხდება ორი საწარმოს გაერთიანება და დაფუძნდება ახალი საწარმო სააქციო საზოგადოების სახით.

**კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან:**

ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები (ან მათი წარმომადგენლები წერილობითი მინდობილობის საფუძველზეძ, თუ ისინი რეგისტრირებულნი არიან საზოგადოების აქციონერთა რეესტრში 2008 წლის 23 ივნისის მდგომარეობით და საერთო კრებაზე წარმოადგენენ საკუთარ პირადობის მოწმობას.

**კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში აქციონერებს შეუძლიათ შეამოწმონ კრებაზე მონაწილეობის მიღების უფლება სს „ჩხოროწყუჭესის“ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან შპს „ეროვნულ რეესტრში“, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ.41, მე-6 სართული. ტელ: 311173, 311174, 311175, 899 535337.**

2008 წლის 14 ივლისი

ხსოვნა

## გივი გელენიძე



მოულოდნელად გარდაიცვალა სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის ღვაწლმოსილი მუშაკი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ღირსების ორდენის კავალერი გივი გელენიძე.

იგი დაიბადა 1941 წლის 20 იანვარს ქ. თბილისში. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით და, წლების მანძილზე სამეცნიერო მოღვაწეობის შემდეგ, მთელი თავისი შინაარსიანი ცხოვრება ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობას მიუძღვნა. 1967 წელს იგი სათაო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს სექტორის გამგეა, კვების მრეწველობის სამინისტროს უფროსი და გაერთიანება „საქპურმრეწვის“ უფროსის მოადგილე, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების გამგე. 1991 წელს დაინიშნა კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მინისტრის მოადგილედ, ხოლო შემდგომ – პურპროდუქტების კორპორაციის ვიცე-პრეზიდენტად. 1996 წელს იგი სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის მოადგილეა, ასევე სახელმწიფო მარეგულირებელი საბჭოს გენერალური დირექტორი. იმხანად რესპუბლიკაში მიმდინარე რესტრუქტურიზაციის გამო იგი სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროდან „საწარმოთა მართვის სააგენტოში“ ერთ-ერთ ხელმძღვანელ თანამდებობაზე გადაიყვანეს.

სამსახურებრივი დამსახურება ერთია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია შენი პიროვნული თვისებები და სიკეთის განსაკუთრებული ნიჭით გამორჩეული ადამიანის ცხოვრება. ამ მხრივაც მაღალი ზნეობის გამომხატველი იყო ბატონი გივი, უანგარობისა და გულისხმიერების სასწაულებრივ მაგალითს იძლეოდა. გამოირჩეოდა ღრმა პროფესიონალიზმით, მინდობილი საქმისადმი ერთგულებით, დიდი გულისხმიერებით ოჯახის, მეგობრების და საზოგადოების მიმართ.

ჩვენ, მის მეგობრებს ყოველთვის გვწამდა მისი კაცური სიტყვისა და შექმნილი სიძნელეების გადასალახავად სწორი გადაწყვეტილების უნარიანობის, მოყვასისადმი ღრმა პატივისცემის თვისებებისა.

ვეთხოვებით საყვარელ ადამიანს, რომელიც დაგვაკლდა თითოეულ ჩვენგანს და, საერთოდ საქართველოს.

თამაზ გაფრინდაშვილი, ალეკო კაკულია, ლორიკ მარშანია, თამაზ დოჭვირი, შოთა კიკალიშვილი, დავით კეკენაძე, არჩილ ორაგველიძე

## გივი გელენიძე



საქართველოს პურის მრეწველთა კავშირი მწუხარებას გამოთქვამს შესანიშნავი პიროვნების, დარგის, ღირსეული ხელმძღვანელის, ჩინებული მოქალაქის გივი გელენიძის უეცრად გარდაცვალების გამო.

გულისხმიერი, მაღალი ინტელექტისა და ერუდიციის პიროვნებამ, საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ჩვენგან წავიდა საუკეთესო მოქალაქე, მეგობარი, რომლის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება.

საქართველოს პურის მრეწველთა კავშირი
ი. ოსიპოვი, ო. კაჭარავა, ლ. ჯიბუტი, გ. გელაძე, ბ. კვინიხიძე, ბ. კალანდაძე, მ. დოლიძე, ს. გოგინავა, ი. კუხიანიძე, ო. ჭავჭანიძე.

---

სოსო კუხიანიძე, ვახტანგ ლომია ღრმა მწუხარებას გამოხატავენ კვების მრეწველობის დარგის ღირსშესანიშნავი პროფესიონალის, უაღრესად კეთილშობილი პიროვნების, უანგარო მეგობრის, რომელიც წლების განმავლობაში კურირებას უწევდა პურისა და მაკარონის მრეწველობას
გივი გელენიძის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

თინათინ შენგელაია და ფრიდონ თოდუა ღრმა მწუხარებას გამოხატავენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, მორფოლოგიური სკოლის ფუძემდებლის
გულნარა გერსამიას
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება ქართული ონკო-მორფოლოგიის ფუძემდებლის, პროფესორ
გულნარა გერსამიას
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს

---

ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის ლ. ჩარკვიანის სახ. გინეკოლოგიური კლინიკა ღრმა მწუხარებით იუწყება უმშვენიერესი ქალბატონის, სათნო ადამიანის, ყველასათვის საყვარელი პიროვნების
გულნარა გერსამიას
გარდაცვალებას.

---

ზოოლოგიის ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება ინსტიტუტის ყოფილი დირექტორის მოადგილის, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის
ავთანდილ ჭოლოკავას
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შეიძინეთ ფართები „ოლიმპიურ ვარსკვლავში“ და უგულშემატკივრეთ საქართველოს ოლიმპიურ ნაკრებს ოლიმპიურ ვარსკვლავებთან ერთად!!!

გისურვებთ დროის სასიამოვნოდ გატარებას



ყურადღება,

ყურადღება!!!

სამშენებლო კომპანია „ოლიმპიურმა ვარსკვლავმა“ დაიწყო პეკინის ოლიმპიადისადმი მიძღვნილი აქცია

ვინც 1-დან 30 ივლისამდე ყველაზე დიდ საცხოვრებელ ან საოფისე ფართს შეიძენს, პეკინის ოლიმპიადის საგზურით დასაჩუქრდება.

საგზურში შედის: მგზავრობისა და სასტუმროს ხარჯები, ასევე ოლიმპიურ თამაშებზე დასწრების ბილეთები

მის: კანდელაკის ქ.№1. ტელ; 38-14-12. 899 62-32-32, 877 76-62-62

სამ და ოთხდღიანი ტურები თურქეთში

ყოველ პარასკევს და შაბათს



ტაო-კლარჯეთი: ოშკი, ხახული, იშხანი, ბანა, არტანუჯი, ტბეთი.

ერზერუმი: მუზეუმები, ციხე-სიმაგრე, ბაზრობა.

ტრაპიზონი: აია სოფია, სუმელა, ზღვა, ბაზრობა.

ტურის ღირებულება: 200-250 $

„მეგზური“, ალ. დიუმას ქ. №5. ტელ: 92-31-32, 899 97-46-44, 92-34-32.

www.megzuri.com.ge

## ინფორმაცია

# ჩრდილოეთ ოსეთში აფრიკული ღორის ჭირი მძვინვარებს

ჩრდილოეთ ოსეთში, ალაგირისა და სხვა რაიონებში აფრიკული ჭირით კიდევ 58 ღორი დაიხოცა.

სააგენტო „რია ნოვოსტი“ რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს სამხრეთის რეგიონული ცენტრის პრესსამსახურის განცხადებას აქვეყნებს.

— ბოლო დღე-ღამეში 58 ღორი გაწყდა, სულ აფრიკული ჭირით 275 ღორია დახოცილი, — ნათქვამია განცხადებაში.

აფრიკული ჭირი (მონტგომერის დაავადება) პირველად 1903 წელს სამხრეთ აფრიკაში დაფიქსირდა. ბუნებრივ პირობებში დაავადება შინაურ და გარეულ ღორებში ვრცელდება. ინფექცია ვრცელდება დაავადებული და ჯანმრთელი ცხოველების კონტაქტისას, საკვების, საძოვარის, ტრანსპორტის მეშვეობით. ადამიანისთვის ვირუსი საშიში არის.

ინტერპრესნიუსი

რეკლამა კოსტავას 12

„საქართველოს რესპუბლიკაში“

98-65-87; 899 32-85-76.

## კადრი



გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა პარასკევს, 19 ივლისს.

## ანეკდოტები

— მამი, როდესაც გაიზრდები, მინდა, რომ პრემიერ-მინისტრი გახდე, — ეუბნება შვილი ივან ივანიჩს.



— შვილო, პრემიერ-მინისტრობამდე ჯერ იმხელა გზა გაქვს გასავლელი!.. დასაწყისისთვის პრეზიდენტი მაინც გახდი.

* * *

რეალითი-შოუს წამყვანებმა ვოვამ და დიმამ რუსეთელ ტელემაყურებლებს აცნობეს, რომ პროგრამის მონაწილე ხოდორკოვსკი ცუდი საქციელისთვის ცალკე სახლში შეასახლეს.

* * *

გუშინ ბაზრობაზე უჩინმაჩინის ქუდი ვიყიდე. დღეს ვერაფრით მივაგენი, თუ სად დავდე.

* * *

— მოიტა, ერთი მეც ვითამაშებ, — ეუბნება ცოლი კომპიუტერთან მჯდარ მიხოს.

— ქალო, სინდისი არა გაქვს? მე მომბაძე — ერთხელ მაინც მითქვამს შენთვის, ჩვარი მომეცი-მეთქი, როდესაც იატაკს წმენდდი?

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი 98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.